K 16582
2

K 16582
2

10

ს. ი. ძიმისტარიშვილი და დ. თ. უჩანეიშვილი.

საქართველოს ისტორია

ნაწილი პირველი

მოწონებულია და ნებადართულია სახალხო განათლების კომისარიატის მიერ შრომის სკოლის მეორე საფეხურისათვის, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა.

ტფილისი
1925 წ.

ე. ზარნაშვილი
9 (47.922)

ს. ი. ძიმისტარიშვილი და დ. თ. ზარანეიშვილი.

К 6382/2 - 1030

საქართველოს ისტორია

ნაწილი პირველი

ეკ-ე. 2021-353887

ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა.

მოწონებულია და ნებადართულია სახალხო განათლების კომისარიატის მიერ შრომის სკოლის მეორე საფეხურისათვის, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო.

ტფილისი
1925 წ.

მეოთხე სტამბა ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტისა.

მთავსამლიტგამი № 2088 ტირაჟი 12.000

შესავალის მაგიერი.

ჩვენს სასკოლო ლიტერატურაში დღემდე არ მოიპოვება საქართველოს ისტორიის არც ერთი ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც უდგებოდეს და აშუქებდეს საზოგადო მოვლენებს მარქსისტული თვალსაზრისით.

პლეხანოვის განმარტებით „მარქსიზმი არის მთელი მსოფლმხედველობა, ანუ მოკლეთ, მარქსიზმი თანამედროვე მატერიალიზმია“

რა არის მატერიალიზმი თავისი ფილოსოფიური შინაარსით? იგივე პლეხანოვი ამ კითხვაზე ასე უპასუხებს: მატერიალიზმი არის დიამეტრალური დაპირდაპირება იდეალიზმისა. იდეალიზმი ისწრაფვის ახსნას ბუნების ყველა მოვლენანი, მატერიის (ნივთიერების) ყველა თვისებანი სულის ამა თუ იმ თვისებებით. მატერიალიზმი იქცევა სწორედ ამის წინააღმდეგ: ის ცდილობს ახსნას სულიერი (ფსიქიური) მოვლენანი მატერიის ამა თუ იმ თვისებებით, ადამიანის და ზოგადოთ ცოცხალ არსებათა სხეულის (ორგანიზმის) ამა თუ იმ თვისებებით.

ყველა ის მოაზროვნე, ვის თვალშიც მატერია არის პირველდასაბამი ფაქტორი, **მატერიალისტთა** ბანაკს მიეკუთვნება. ვისაც ასეთ ფაქტორად **სული** მიაჩნია—იდეალისტია.

აი მოკლეთ ის, რაც შეიძლება ითქვას მატერიალიზმზე „ზოგადათ“, ზოგადფილოსოფიური გაგებით იმიტომ, რომ დროთა მსვლელობა ყოველთვის აგებდა მის ძირითად დებულებაზე ამა თუ იმ ზედნაშენებს, რაც (ზედნაშენები) ერთ ეპოქის მატერიალიზმს სულ სხვა სახეს აძლევდა შედარებით მეორე ეპოქის მატერიალიზმთან.

მატერიალიზმი და იდეალიზმი ამოსწურავენ ხოლმე მთავარ ფილოსოფიურ მიმართულებებს.

მართალია, ამ ორ მთავარ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა გვერდით ყოველთვის სუფევდა ესა თუ ის დუალისტური (დულ—ორი) სისტემები, რაც სცნობს სულის და მატერიის ცალცალკე, დამოუკიდებელ სუბსტანციებათ არსებობას, მაგრამ ის (დუალიზმი) ვერას დროს ვერ იძლეოდა დამაკმაყოფი-

ლებელ პასუხს იმ გადაუდებელ კითხვაზე, თუ როგორ ახდენენ ერთმანეთზე გავლენას ეს ორი ურთერთ შორის არაფერ საერთოს მქონე და დამოუკიდებელი სუბსტანციები?"[1])

რა არის მატერია?

„მატერია არის ის, რაც უშუალოთ თუ შუალობით მოქმედებს ცოცხალ ორგანიზმთა გარეგან გრძნობებზე" და განიზომება.

ცნობილია, რომ ყოველი ნივთი შესაძლოა დანაწილდეს მის შემადგენელ ელემენტებათ, ატომებათ. ატომის ოდნობის შესახებ დაახლოებით შეიძლება ითქვას, რომ ყვავილის მტვრის ერთ მარცვალში ატომთა რიცხვი ტრილიონამდე ადის.

მეცნიერებმა (როზერფორდმა და ბორამ) შესძლეს ატომების დანაწილება. აღმოჩნდა, რომ ატომი შესდგება ბირთვისა და არამცირე რიცხოვან „უუწვრილესი წერტილებისგან".

პირველი (ბირთვი) დატვირთულია დადებითი, ხოლო მეორენი — უარყოფითი ელექტრობით. ეს „უუწვრილესი წერტილები" ელექტრონებათ იწოდებიან და გარს უვლიან ბირთვს განსაზღვრული ორბიტით ისე, როგორც ცის მნათობნი—მზეს და ერთმანეთს ატმოსფერაში.

არაა გამორიცხული შესაძლეობა ეს უკანასკნელნიც დანაწილდეს და დაყვანილ იქმნას „პირველ ნივთიერებამდე".

მატერია თავის შინაბუნებით უცვლელია: ის არც ისპობა, არც ხელახლა ჩნდება და არც მისი რაოდენობა განიცდის ცვალებადობას. ის მხოლოთ გაერთიანებაში იძლევა მრავალ ფორმათა სხვადასხვაობას. მატერია თავის კომბინაციებში იძლევა ყოველ ორგანიზმს, დაწყებული უუმარტივესით და გათავებული უურთულესით—ადამიანის ნერვიული სისტემით.[2])

ამ მიმართულებით სიტყვის გაგძელება შორს წაგვიყვანდა, რაც არაა სასურველი ჩვენთვის, მით უმეტეს, რომ ჩვენ უფრო გვაინტერესებს მარქსისტული შეხედულება ადამიანთა საზოგადოებასა და მის ისტორიაზე.

როგორ უყურებს იდეალიზმი ისტორიას?

---

[1]) პლეხანოვი: „К вопросу о развитии монистического взгляда на историю. стр. 3—4

[2]) მატერიალისტური თვალსაზრისი ძალიან პოპულიარულად აქვს დალაგებული ორესტ ტრახტენბერგს თავის „Беседы с учителем по историческому материализму"-ში. ამ წიგნაკით ჩვენ ვისარგებლეთ.

იდეალისტური თვალსაზრისით მსოფლიოს განაგებს „მსოფლიო სული“, „მსოფლიო იდეა“, „აბსოლუტური გონება“ [3]), არსებობს „მსოფლიო მიზნები“.

ადამიანთა საზოგადოებაშიც არის „წინასწარი“ აუცილებელი მიზნები. ამ მიზნების განსახორციელებლათ „მსოფლიო იდეა“ ირჩევს პიროვნებებს, აჯილდოებს მათ მაღალი ნიჭით, გონებით („კრიტიკულათ მოაზროვნე“ პიროვნებანი, გმირნი, ჰენიოსები). ისინი ჰქმნიან ისტორიას.

მართლაც, ამ მიმართულებით შედგენილ შრომებში არა იშვიათია ასეთი სტრიქონები: „ისტორია არის დიდ პიროვნებათა ბიოგრაფია“, „ისტორია იცნობს მხოლოთ საკუთარ სახელებს“ და სხ.

ერთის ხმრით „დიდი პიროვნებანი“, „კრიტიკულათ მოაზროვნენი“, გმირნი, ჰენიოსები, მეორის მხრით — ბრბო. პირველნი ყოვლაფრის შემძლენია, მეორენი — არაფრის.

ერთს ძველ ბერძენს ასეთი კითხვა დაუსვამს: „რომელი ლაშქარი უფრო ძლიერია: ლომებისა, რომელსაც კურდღელი მეთაუროობს, თუ კურდღლებისა, ლომის მეთაუროობით?“ ამ უბრალო, მაგრამ ბრძნულ კითხვაზე არა ყველა „ბრძენი“ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს.

ჩვენ — მატერიალისტები — სრულიადაც არ უარვყოფთ მაღალ ნიჭს, „დიდპიროვნებათ“, „კრიტიკულათ მოაზროვნეთ“. პირიქით, ამნაირ ადამიანთ ჩვენ შესაფერის მნიშვნელობას ვაკუთვნებთ, მაგრამ ეს ჩვენ ჩვენებურათ — მატერიალისტურათ — გვესმის. ჩვენთვის ცხადია, რომ დიდი პიროვნება მასის შვილია. ის თავის ნიჭით და მაღალი გონებით პროდუქტია ამა თუ იმ დროში და გარემოებაში მცხოვრებ მასისა, ის მასის „სისხლთაგან სისხლია და ხორცთაგან ხორცი“.

დიდი პიროვნებანი ხელმძღვანელობენ მასას, მაგრამ მათი ღვაწლი და ხელმძღვანელობა ვერას დროს ვერ გაცილებია განსაზღვრულ საზოგადოებაში დაგროვილ მოთხოვნილებებს. ისინი მხოლოთ უმოკლებენ მასას მიზნებისადმი მისაღწევ გზას, ისინი აცილებენ თავიდან ხალხს ამა თუ იმ ხიფათს, შეგნებულათ გამოსახავენ ფართო მასის მიერ ჯერ კიდევ შეუგნებელ მოთხოვნილებებს და სხ.

---

[3]) ამ მიმართულებაშიც არის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ მთავარ დებულებებში ისინი მაინც ეთანხმებიან ერთმანეთს.

ახლა გადავიდეთ თვით საზოგადო მოვლენებზე, ისტორიის შინაარსზე და განვსაზღვროთ იგი მატერიალისტურათ —მარქსისტულათ.

ყოველ ცოცხალ არსებას აქვს მისწრაფება არსებობის შენარჩუნებისა. ადამიანში ახლა ეს შეგნებულათ ხორციელდება, სხვა ცხოველებში კი არა, მაგრამ მაინც ყოველი ცოცხალი არსება ახორციელებს ამ მიზანს. თევზი გაურბის ბადეს; მას არ აქვს გათვალისწინებული, რომ ბადეში მოყოლა მას სიცოცხლეს მოუსპობს და სხვის ლუკმათ გახდის, მაგრამ მაინც ინსტინქტიურად გაურბის ის ამ მის დამღუპველ საშიშროებას.

თავდაპირველად ადამიანსაც არ ჰქონდა ეს შეგნებული, მაგრამ ის მაინც იბრძოდა სიცოცხლის შენარჩუნებისთვის. მას საშიშროება გაოს ეხვია: მისი მტერი იყო ბუნება და მასზე უფრო ძლიერი ცხოველები. ბუნება თავისი სიმკაცრით და სიძუნწით სიცოცხლეს უმწარებდა მას. ადამიანისთვის საჭირო იყო საქმელი, სასმელი და სიცხე-სიცივისგან თავდასაფარავი ადგილი. ბუნება მას თავის ნებით არაფერს არ აძლევდა. საჭირო იყო ბრძოლა: ადამიანს ბუნებისთვის ძალით უნდა გამოეგლიჯა ყველაფერი ის, რაც მას ესაჭიროებოდა.

მხეცებისთვის ცალკე უნდა გაეწია წინააღმდეგობა და დაეცვა თავი მათგან.

ამ **არსებობისთვის ბრძოლაში** მრავლათ იღუპებოდა ადამიანი; უფრო ძლიერნი და მოხერხებულნი კი ინარჩუნებდენ სიცოცხლეს და განარგძობდენ ბრძოლას.

ამ ბრძოლის პროცესში ადამიანმა ისწავლა ქვის და ჯოხის გამოყენება; შემდეგ ქვა გახვრიტა, ჯოხი გაუყარა, შემდგომ კიდევ ქვის გათლაც ისწავლა და ამრიგად მის ხელში გაჩნდა ქვის ცული, შუბი და უფრო გვიან—შვილდ-ისარი.

ამ იარაღებით მან საგრძნობი წინააღმდეგობა გაუწია ბუნებას და მხეცებს. ბუნებას მან გამოგლიჯა საზრდო— ნადირის ხორცის, თევზის და პურეულ მცენარეულობის სახით.

„ადამიანი იარაღის მკეთებელი არსებაა“, თქვა ამერიკელ მეცნიერმა ფრანკლინმა, მაგრამ მეორე მეცნიერის (არისტოტელის) თქმით, „ადამიანი საზოგადო ცხოველიცაა.

მართლაც, ამ განუწყვეტელ ბრძოლაში მას განა შეეძლო ცალკე—პერსონალურად—რამე წარმატებისთვის მიეღწია? რა თქმა უნდა, არა.

ადამიანები თავიდანვე ჯგუფდებოდენ და ასე ჯგუფურად უწევდენ წინააღმდეგობას მათზე მოტანილ იერიშებს.

ადამიანის მიერ წინ წარდგმული ყოველი ნაბიჯი დამოკიდებული იყო მისი ტეხნიკის — იარაღების — გაუმჯობესებისგან: ტეხნიკის განვითარება იცავდა მას მტრებისგან და საარსებო საშუალებებს უმრავლებდა. რამდენათაც ის ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა, რაც დამოკიდებული იყო ტეხნიკის განვითარებისაგან, იმდენათ მისი შეგნებაც — იდეოლოგიური მხარეები — წინ იწევდა. მისი კეთილდღეობა თანდათანობით გაუმჯობესდა და საზოგადოებრიობა განვითარდა.

ბრძოლა არსებობისათვის და მასთან დაკავშირებული ძალთა ეკონომია წინ სწევს კაცობრიობას მისი ტეხნიკის განვითარების გზაზე და პირიქით, ტეხნიკის განვითარება ანიჭებს მას გამარჯვებას და ძალთა ეკონომიას.

ადამიანთა საზოგადოება, როგორც ყველაფერი ბუნებაში, მუდმივ მოძრაობს და მუდმივ განვითარებაშია.

განვითარების პროცესში ჩვენ ვამჩნევთ ერთს განსაკუთრებულ მოვლენას: ყოველი მოვლენა თავის განვითარების პროცესში ისპობა, წარმოშობს რა მის მოწინააღმდეგე მოვლენას — ახალ ფორმას, — რაც (ესა ხალი ფორმა) თვით თავის ზრდასთან ერთად ანვითარებს მის მომსპობ ახალ მოვლენას და ასე შემდგომ.

იყო პირველყოფილი კომუნიზმი. მან თავის განვითარების პროცესში წარმოშვა ახალი, მისი საწინააღმდეგო მოვლენა — კლასიური საზოგადოება, — რამაც მოსპო იგი.

კლასობრივ საზოგადოების განვითარებაში ჩვენ სხვადასხვა საფეხურებს ვარჩევთ. ავიღოთ მაგალითისთვის ერთი, ან ორი ასეთი ეტაპი. მაგალითად, ფეოდალურ საზოგადოებაში ეკონომიურმა განვითარებამ მოითხოვა თავისუფალი მუშა ხელი. ფეოდალურ წყობილებას ეს პრინციპიალურად ეწინააღმდეგებოდა. ერთის მხრით ეს წარმოების აუცილებელი მოთხოვნილება და მეორის მხრით ფეოდალების სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესები (დამოკიდებული და თავისუფლებას მოკლებული გლეხობის ყოლა) დაეჯახნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა ახალმა საზოგადოებამ — ბურჟუაზიამ. დაეცა და მოისპო ფეოდალიზმი.

ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ — კაპიტალისტურმა მეურნეობამ — თვით იწყო განვითარება. ორთქლის და ელექტრობის გამოყენებამ გასაოცარის სისწრაფით გაზარდა და გააფართოვა

კაპიტალისტური წარმოება. მაგრამ რა არის ამ განვითარების შინაარსი, მისი მამოძრავებელი ფაქტორი? რაზე ემყარება კაპიტალიზმი?—ტექნიკის განვითარებასა და მუშის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებაზე.

რამდენადაც პირველად კაპიტალისტური მეურნეობა სუსტი იყო, იმდენათ ის ელემენტები, რაზედაც ის ემყარებოდა—პროლეტარიატი – მცირერიცხოვანი იყო და ნაკლებათ იყვლიფებოდა. ვითარდებოდა კაპიტალიზმი—პროლეტარიატიც რიცხვობრივად იზრდებოდა. მის ყვლეფაც მეტად შესაძლებელი ხდებოდა.

ამრიგად, პროლეტარიატი კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად კავშირდებოდა, წელში მაგრდებოდა... ამ ორ კლასს შორის ეკონომიური ინტერესები თანდათანობით შორდებოდა ერთმანეთს, თვით კლასები კი უფრო და უფრო მკაფიოდ ყალიბდებოდენ. პროლეტარიატი იწრთვნებოდა, მობილიზაციას უკეთებდა თავის ძალებს, ვარჯიშობდა მრავალ დემონსტრაციების სახით; ის ემზადებოდა ბრძოლის ველზე გამოსასვლელად.

კაპიტალიზმის განვითარება დღეს უმწვერვალესობამდეა მიღწეული. მისი დამანგრეველი ძალა—პროლეტარიატი—ვერ ეტევა კაპიტალისტურ საზოგადოების საშოში... კვანძი უნდა გაიხსნას, კაპიტალიზმის ნანგრევებზე ახალი საზოგადოება—კომუნიზმი უნდა აღმოცენდეს ისე, როგორც ოდესმე ფეოდალიზმის ნანგრევებზე ბურჟუაზიული საზოგადოება აღმოცენდა. ეს ახალი კომუნიზმი თავისი შინაბუნებით პირველყოფილ კომუნიზმს ემსგავსება, ხოლო თავისი ტექნიკით ის კაპიტალიზმის გაგრძელებაა და უმაღლესი განვითარებაა კაცობრიობის საწარმოო ძალების.

„ყოველი მოვლენის განვითარება თავის თავის წინააღმდეგობაში გადასვლაა იმ თვალსაზრისით, რომ ის თავის საშოშივე ანვითარებს იმ ელემენტებს, რამაც მას ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოუღოს. ეს ახალი ელემენტებიც თავის განვითარებაში თავისივე წინააღმდეგობათ იქცევა და ასე შემდგომ“. (პლეხანოვი). სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, დავასკვნით: **ისტორია არის არსებობისათვის ბრძოლა, ისტორია არის ტექნიკის განვითარება, კლასთა შორის ეკონომიურ ნიადაგზე წარმოშობილი შეჯახებანი, რევოლუციები და სხ.** დანარჩენი სხვა: პოლიტიკა, მეცნიერება, რელიგია, ხელოვნება და სხვა იდეოლოგიური მხარეები ზედნაშენია მთავარ ჩონჩხის – საწარმოო ძალთა განვითარების.

„ჯერ ცხოვრება, შემდგომ კი ფილოსოფოსობაო“, უყვარდა თურმე ხშირად თქმა ჩვენს მასწავლებელს კარლ მარქსს.

საზოგადო მოვლენების ყოველი საფეხური ზედმიწევნილობით ემყარება ეკონომიკას, მისგან გამომდინარეობს და მისი ზედნაშენია.

ჩვენ ასე ვუყურებთ ისტორიას. ისტორია არკვევს საზოგადო მოვლენათა წესებს, ის ზედმიწევნილობითი მეცნიერებაა. ერთხელ და სამუდამოთ უკუუნდა ვაგდოთ დახავსებული სქოლასტიური მეთოდები ისტორიის სწავლებაში და ის უნდა დავუკავშიროთ ყოველთდღიურ მოვლენებს. საქმე ფაქტების გადალეჭვაში კი არაა, არამედ იმაში, რომ მსურველმა და—ამ შემთხვევაში—მოზარდმა თაობამ ისტორიის გაკვეთილების საშვალებით შესძლოს გაერკვიოს ამა თუ იმ საზოგადო მოვლენებში, შეიგნოს საზოგადო მოვლენათა წესები, რაც გაუადვილებს ისტორიულ პერსპეკტივების გათვალისწინებას.

ისტორიის ასეთი გაგებით და სათანადო მეთოდების გამოყენებით შესაძლოა ისტორია საზოგადოთ და კერძოთ საქართველოსი გახდეს ჩვენს სკოლებში ცოცხალ და საყვარელ საგნათ.

რამდენად ჩვენ შევძელით ამ მძიმე მიზნების მიღწევა წინამდებარე სახელმძღვანელოში, ეს კრიტიკის საქმეა. მხოლოთ ორს მთავარ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება ამ წიგნის შეფასების დროს.

ერთი: მარქსისტულად შედგენა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსი სრულიად ახალი და ძლიერ საძნელო საქმეა. მაგრამ ნათქვამია: „წინა კაცი უკანასი ხიდიაო“ და, დეე, ეს ჩვენი წიგნაკი იყოს უფრო წარჩინებულ ნაშრომთა წინაპარი. ეს ჩვენი ნატვრაა.

მეორე დამაბრკოლებელი მიზეზი ისაა, რომ, ჯერჯეროობით მაინც, ჩვენი ისტორიოგრაფია ძალიან ღარიბია შესაფერი მასალებით. ამაში ჩვენ ბევრნი დაგვეთანხმებიან. საქმე შემდეგშია: ჩვენი ძველი მეისტორიენი უმეტეს შემთხვევებში მაღალ წოდებიდან იყვნენ გამოსული. ისინი არსებულ წესწყობილების მომხრენი იყვნენ და აბა როგორ დაწერდნენ რამეს მის საწინააღმდეგო მოვლენების შესახებ.

ისინი მართველობის სათავეში მდგომ მეფეებს და დიდკაცებს ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის, ქება-დიდებით იხსენიებენ და სხივოსან შარავანდედით ჰმოსავენ მათ.

ზოგ შემთხვევებში, როდესაც მეფეების და სხვა დიდ-კაცების ზნედაცემულობა, ავაზაკობა, ანუ სირეგვნე ისეთი თვალის მომჭრელი მოვლენებია, რომ ამის დაფარვა ყოვლად შეუძლებელი ხდება, მაშინაც ისინი ამ უზნეობას და უვარ-გისობას ცუდ კარისკაცებს აწერენ და ნამდვილ დამნაშავეთ ამ „სხვების“ მსხვერპლათ ჰხადიან.

ასე იქცევა ლაშა-გიორგის დროინდელი ისტორიკოსი, ასეთია მეფე რუსუდანის შესახებ მოთხრობა. ეს უკანასკნელი (რუსუდანი) ნამდვილი განსახიერება იყო გარყვნილებისა. ამა-ზე, მაგალითად, სომეხი ისტორიკოსი ჯეროვანათ მოგვითხრობს, ჩვენი მეისტორიე კი—მკრთალ ცნობას გვაძლევს. ასეთი მა-გალითები ბევრია ჩვენს საისტორიო წყაროებში.

უეჭველია, ჩვენს ძველს მეცნიერებსა და ისტორიკოხებს შორისაც იყვნენ ოპოზიციონერები, არსებული წესწყობილების მოწიმაალმდეგენი, მაგრამ ისინი საშინელს დევნას და შევი-წროებას განიცდიდნენ გაბატონებული წრეებისაგან და, რო-გორც „მოლალატენი“, იდევნებოდნენ სამშობლოდან „ექსო-რია“ ქმნილნი. მათი ნაწერები კი ხელოვნურად ისპობოდა.

შედარებით ახლა-ხან, მეთვრამეტე საუკუნეში, საქართვე-ლოში გაბატონებულმა კლერიკალურმა მიმართულებამ სახი-ფათოდ დაინახა „ვეფხვის ტყაოსნის“ არსებობა და ეს ქართუ-ლი კულტურის საუკეთესო ნიმუში გარყვნილობისა და „ულვ-თოობის“ წყაროთ მიიჩნია.

მოუყარეს თავი, რამდენადაც შესძლეს, ამ წიგნის ხელთ-ნაწერებს და ნაცარ-ტუტათ აქციეს. ამ „საგმირო საქმეს“ მე-თაურობდა „განათლებული“ ქათალიკოსი ანტონი. რა დღე დაადგებოდა თვით ავტორს რუსთაველს, რომ, ხუცების საუ-ბედურო, ის იმ დროს ცოცხალი ყოფილიყო?!

ამ მცირედი მაგალითებიდანაც შეიძლება ადამიანმა ნათე-ლი წარმოდგენა იქონიოს იმის შესახებ, თუ რატომაა ჩვენი ისტორიოგრაფია ამზომ ღარიბი ნამდვილ ისტორიის მამოძრა-ვებელ მოვლენების აღნუსხვით.

ავტორები.

P. S. დიდს მადლობას ვუძღვნით პატივცემულთ: **მა-რიამ ორახელაშვილს,** რომლის ინიციატივამ საგრძნობი რო-ლი ითამაშა ჩვენს მუშაობაში, **დავით კანდელაკს და გიგო ნა-თაძეს,** რომელთაც წაგვახალისეს და გაგვაბედინეს ამ საქმის ხელის მოკიდება.

ავტორები.

პირველყოფილი ადამიანი და მისი ყოფა-ცხოვრება.

ველური.

იყო დრო, როდესაც დედამიწა წარმოადგენდა გახურებულ სითხეს. გარდა იმისა, რომ მას (დედამიწას) არ ჰქონდა განსაზღვრული ფორმა, იმაზე წარმოუდგენელი სიცხე იყო და ამის გამო არ არსებობდა არავითარი მცენარეულობა და ცხოველები. მრავალი მილიონი წლების განმავლობაში ეს გახურებული სითხე ცივდებოდა, მაგრდებოდა და ბოლოს დედამიწამ მიიღო დაახლოვებით ის სახე, რომელიც დღეს აქვს მას. როდის და როგორ გაჩნდა პირველად სიცოცხლის ჩანასახი მასზე, დანამდვილებით ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ, მეცნიერების დაკვირვებით და დასკვნით, ეს უნდა მომხდარიყო მრავალი ასი ათასი წლების წინეთ. მსოფლიოში არაფერი არ ჩერდება ერთ წერტილზე; ყველაფერი განიცდის ცვალებადობას, განვითარებას. სიცოცხლის ჩანასახიც არ შეიძლებოდა გაყინულიყო ერთ წერტილზე. ამ ცვალებადობამ და განვითარებამ მოგვცა ყველაფერი ის, რასაც დღეს ვხედავთ.

ადამიანი წარმოიშვა უფრო დაბალ არსებათაგან, თანდათანობითი განვითარების საშვალებით. პირველ ხანებში ის ძალიან ემსგავსებოდა თავისი მოყვანილობით მაიმუნს.

მაგრამ შემდგომ ამ განვითარების გზაზე მან გაასწრო მაიმუნსაც და ბოლოს მიიღო თავისი დღევანდელი სახე. ადამიანის წარმოშობის საკითხი გამოკვლეული და დასაბუთებული აქვს ინგლისელ მეცნიერს, დარვინს.

ყოველ ცოცხალ არსებას სიცოცხლის შესანარჩუნებლად და შთამომავლობის გასაგრძელებლად სჭირდება საჭმელი, მტრისაგან თავის დაცვა და სიცხე-სიცივისაგან თავის და-

ფარვა. ადამიანსაც უნდა ეზრუნა ამ ბუნებრივ და აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. მას აწუხებდა შიმშილი და სიცივე, იგი არ იყო უზრუნველყოფილი არც მი-



სურათი № 1
მაიმუნის მსგავსი ადამიანები (Pithecanthropus).

სი მსგავსი ადამიანებისა და არც უზარმაზარ მხეცების თავდასხმისაგან. მაშინდელი ადამიანის ჩლუნგ გონებას არ შეეძლო სათანადო წინააღმდეგობა გაეწია მკაცრი ბუნებისათვის. პირ-

ველყოფილი ადამიანი ამ დროს იკვებებოდა მით, რასაც ბუ-
ნებაში მზამზარეულად პოულობდა. ეს იყო ხილი, მწერები
და მცენარეების ძირი. ერთადერთი იარაღი, რომელიც მას

სურათი № 2
უბრალო ქვით შეიარაღებული ადამიანი.

გააჩნდა ბუნებასთან საბრძოლველად, იყო მინდორში ნაპოვნი
ქვა და ჯოხი, ხოლო მხეცების თავდასხმის დროს ველური
მიმართავდა ხეებსა და გამოქვაბულებს და მით თავს აღწევდა
მოსალოდნელ საშიშროებას.

ველურს თავისი პრიმიტიული იარაღებით არ შეეძლო ბუნებას გამკლავებოდა, მაგრამ სამაგიეროთ ველურები გამოდიოდენ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად, ჯგუფურად.

გადიოდენ ათი ათასი წლები და ადამიანიც ბუნებასთან ბრძოლის დროს იძენდა გამოცდილებას. სრულიად შემთხვევით ველურმა აღმოაჩინა ცეცხლი; მანვე მიაგნო მდინარეში თევზს,

სურათი № 3

გამოქვაბულებში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანები.

დროგამოშვებით ჰკლავდა მასზე უფრო სუსტ ცხოველებს. ცეცხლის აღმოჩენა და საარსებო საშვალებათა გამრავლება დიდი და პირველი გამარჯვება იყო ველურთა ცხოვრების გზაზე; ამ დროდან ბუნების ბატონობა ადამიანზე საგრძნობლად შემცირდა. შესაძლებელი გახდა უმი ხორცის და თევზის შეწვა, უფრო გვიან კი მოხარშვაც. ამავე დროს არა-

ეშვიათი იყო აგრეთვე მცენარეულობით კვება, თუმცა ამ დროს მცენარეების თესვა და მოყვანა იმ სახით, როგორც მას შემდეგ აწარმოებდენ, არ იცოდენ.

მცენარეების დარგვა და მოვლა დედაკაცის საქმე იყო. დროებით სადგომების მახლობლად დედაკაცები რგავდენ სხვა-



სურათი № 4

ქვის ცულები

დასხვა მცენარეებს და მით იკვებებოდენ. ანგოლაში, სამხრეთ აფრიკაში, ახლაც განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ტომის ქალები ჯოხით ამოსთხრიან ხოლმე მიწას და სთესავენ მცენარეს, ეგრედ წოდებულ მანიოკს, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იძლევა ნაყოფს, ხოლო შემდგომ მცენარეს ძირი უხმება და ის ხელახლა უნდა დაითესოს. აი, სწორეთ

მცენარეების ასეთ მოვლას და მის საზრდოთ გამოყენებას უძველეს დროშიც ჰქონდა ადგილი.

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ პირველი იარაღი ადამია-



სურათი № 5

ქვის შუბით და ჯოხით შეიარაღებული ადამიანი.

ნის ხელში იყო უბრალო ქვა და ჯოხი. დროთა განმავლობაში მან ისწავლა ქვის იარაღების კეთება და ხმარება. ასეთი იყო, მაგალითად, ქვის ცული, შუბი და უფრო გვიან

შვილდ-ისარი. ახალმა გამოგონებამ პირველყოფილ ადამიანს შეჰმატა არსებობის ახალი წყარო — ნადირის ხორცი. აქ დასაბამი მიეცა ნადირობას. თუ კი წინეთ ნადირის ხორცი შემთხვევითი და იშვიათი მოვლენა იყო, ამ დროდან ნადირობა იქცა მუდმივ ხელობათ.



სურათი № 6
შ ვ ი ლ დ - ი ს ა რ ი

სურათი № 7
პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფური ნადირობა.

იარაღების ტეხნიკურმა გაუმჯობესებამ წარმოშვა მეურნეობის ახალი ფორმა. მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრებოდა მიღწეული წარმატების მნიშვნელობა. ქვის ცული და ცეცხლი ადამიანმა გამოიყენა ჟურჟლის დასამზადებლად და ტივის გასაკეთებლად, რომელიც მაშინ ნავის მაგიერობას სწევდა. პირველყოფილი ადამიანი ამ დროს იწყებს ხის სახლების შენებასაც ხმელეთსა და ტბებზე. ევროპაში, შვეიცარიის

სურათი № 8

ტივი—პირველი სამიმოსვლო საშუალება ტბებსა და მდინარეებზე.

ტბებზე, დარჩენილია დღემდე ველურების მიერ სვეტებზე აშენებული სახლების ნაშთები. ასეთი ნაშთები იპოვნეს აგრეთვე საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში და სხვაგან. ბოძებზე (სვეტებზე) სახლების შენებას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ აქ ადვილი იყო თავის დაცვა მტრისა და ნადირის თავდასხმისაგან. ამაზე შორს არ წასულა ველურობის დროს საწარმოო იარაღების და მეურნეობის განვითარება.

მეურნეობა და ნადირობა მოითხოვდა ადამიანთა შეჯგუფება-შეკავშირებას. მეურნეობის გავლენის ქვეშ იქმნებოდენ ადამიანთა ჯგუფები. ხშირად ძველი ჯგუფები იშლებოდენ და საჭიროების მიხედვით ახალი ჯგუფები სდგებოდენ.



სურათი № 9
შვეიცარიის ერთ-ერთ ტბაზე აგებული სახლი.

სქესობრივი დამოკიდებულება მამაკაცსა და დედაკაცს შორის პირველ ხანებში იყო სრულიათ თავისუფალი: ყოველი დედაკაცი ყოველი მამაკაცის ცოლად ითვლებოდა და ყოველი მამაკაცი ყოველი დედაკაცის ქმრად. ოჯახის პირველი ჩანასახი არის ცოლ-ქმრობის თაობრივი ანუ ასაკობრივი ფორმა-

ეს ნიშნავს: ყველა პაპები და ბებიები ერთმანეთის ცოლ-ქმრები არიან; მათი შვილები კიდევ ერთმანეთის ცოლ-ქმრები, ამ უკანასკნელთა შვილებიც ერთმანეთის ცოლ-ქმრები და ასე შემდეგ. ესე იგი, აქ სქესობრივი კავშირი აკრძალულია მხოლოდ შვილებსა და მათ მშობლებს შორის და ნებადართულია ძმებსა და დებს შორის. შემდგომ ჩვენ ვხვდებით ქორწინების კიდევ უფრო ვიწრო ფარგლებში მომწყვდევას; აქ ერთი დედის შვილებს შორის აკრძალულია სქესობრივი კავშირი — ცოლ-ქმრობა. ამ დროს ჯერ კიდევ არ არის ცნობილი ბავშის მამა, მაგრამ ამ შემთხვევაში და-ძმებათ ითვლებიან ერთი დედის შვილები. ახლო ნათესავებს შორის სქესობრივი კავშირის აკრძალვა იყო შედეგი ბუნებრივი შერჩევისა, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოების უფრო ჩქარი ნაბიჯით განვითარებას. საქმე ის არის, რომ როდესაც შეუღლება ხდება ახლო ნათესავებს შორის, ასეთი ცოლ-ქმრობის შთამომავლობა არც ფიზიკურად არის ჯანსაღი და არც გონებრივი ნიჭით არის დაჯილდოვებული; ხოლო შეუღლება როდესაც ნათესავებს გარეშე ხდება, ასეთი მშობლების შთამომავლობა ყოველთვის უფრო ნიჭიერი და ფიზიკურად ჯანსაღი გამოდის. ბუნებრივი შერჩევა შემდგომ კიდევ უფრო განმტკიცდა.

დედის როლი ოჯახში მეტად მნიშვნელოვანი იყო. ის იყო ბავშვების აღმზრდელი, ოჯახის მომვლელი და უფროსი. მამაკაცსა და დედაკაცს შორის მოხდა შრომის განაწილება. ქალი მიწათმოქმედებას მისდევდა, მოჰყავდა სხვადასხვა საკვები მცენარეულობა, ხოლო მამაკაცი—თევზის ჭერასა და ნადირობას. ნადირობისთვის აუცილებელი იარაღები მამაკაცის საკუთრებას შეადგენდა, ხოლო მცენარეულობის მოყვანისათვის საჭირო საგნები და საოჯახო ნივთები — დედაკაცისას. დედაკაცის შრომის ნაყოფი ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო, მამაკაცი კი ხშირად მიზანს ვერ აღწევდა და ნადირობიდან ხელცარიელი ბრუნდებოდა. მეურნეობაში დაწინაურებამ დედაკაცს ოჯახში უპირატესობა მიანიჭა და მისი გავლენა და უფლება დიდი ხნით განამტკიცა. იმ წყობილებას, როდე-

საც ოჯახის უფროსად დედაკაცი ითვლებოდა, ეწოდება მატრიარქატი (დედის უფლება). ველურთა ცხოვრებაში სოციალური ურთიერთობა მატრიარქალურ მდგომარეობას არ გასცილებია.

ბ ა რ ბ ა რ ო ს ე ბ ი.

ჩვენ დავინახეთ, რომ ველურობა დამთავრდა ქვის ცულის, შუბისა და შვილდ-ისრის გამოგონებით, ხის სახლების შემოღებით და მეურნეობაში ნადირობის გაბატონებით. ბარბაროსული მდგომარეობა კი შეიცავს საწარმოო იარაღების და მიწათმოქმედების შემდეგ განვითარებას, საქონლის მოშინაურებას და მეჯოგეობის წარმოშობას. მეურნეობის ამ ახალი ფორმის წარმოშობა მოითხოვა თვით ცხოვრებამ: ხალხის გამრავლებამ, მოჭარბებული მოსახლეობის წარმოშობამ. რაც დრო გადიოდა, ხალხი მით უფრო მრავლდებოდა. მას სჭირდებოდა წინანდელთან შედარებით გაცილებით უფრო მეტი საარსებო საშვალებები, ხოლო წარმოების წესები ისევ ძველი რჩებოდა და გამრავლებული ხალხის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა. შეუძლებელი გახდა საზოგადოებისთვის ასეთ პირობებში არა თუ შემდეგი განვითარება, არამედ არსებობის შენარჩუნებაც. აი, სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ხელი მიჰყვეს მცენარეულობის მოყვანას და მიწათმოქმედების გაუმჯობესებას და აგრეთვე საქონლის მოშინაურებას. ამგვარათ, მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას, რომელნიც წარმოადგენდენ ერთი-მეორის დამატებას და ხელს უწყობდენ ერთმანეთის განვითარებას. მიწათმოქმედება საკვებ მასალას აწვდიდა ზამთრისთვის ჯოგს, ხოლო პირუტყვი გამოყენებულ იქმნა მიწადმოქმედებაში, როგორც სამუშაო ძალა.

მეურნეობაში ამ ახალმა მიღწევამ საზოგადოებრივი შრომა გაანაყოფიერა. თუ წინეთ, ნადირობის დროს, ადამიანის შრომა ხშირად უშედეგოთ რჩებოდა და მისი არსებობა უზრუნველყოფილი არ იყო, მეჯოგეობისა და მიწათმოქმედების

გაბატონებამ ადამიანს მისცა იმდენი საარსებო საშვალება, რამდენიც მისთვის აუცილებელი იყო. ჩვენ პირველ თავში დავინახეთ, რომ ნადირობის ბატონობისა და პრიმიტიულ მიწათმოქმედების დროს დედაკაცი ოჯახის უფროსი და მეთაური იყო, ხოლო მამაკაცს ამ დროს არავითარი გავლენა არ ჰქონდა, რაც ნაკარნახევი იყო იმ დროს არსებულ მეურნეობის მდგომარეობით. მაგრამ დედაკაცმა შეინარჩუნა ასეთი გავლენა მხოლოდ მანამდე, სანამ მეურნეობის წესები მის ბატონობას ხელს უწყობდენ. გავიდა დრო და მეურნეობამაც ცვლილება განიცადა: მონადირეობამ ადგილი დაუთმო მესაქონლეობას, ხოლო მიწათმოქმედების წესები გაუმჯობესებული იარაღების გამოყენების გამო განვითარდენ. ამან გავლენა იქონია ოჯახში დედაკაცსა და მამაკაცს შორის დამოკიდებულებაზე. საქონლის მოშინაურება და ჯოგის გაძღოლა მამაკაცის საქმეთ იქცა. აგრეთვე ის ჩაუდგა სათავეში მიწათმოქმედების განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეს. დედაკაცმა დაჰკარგა თავის მბრძანებლობის ეკონომიური საფუძველი. თუკი ის წინეთ შვილებს თავის შრომით ასაზრდოებდა და ოჯახის ბატონ-პატრონიც თვითონ იყო, ამ დროდან უმთავრესად მასაც და მის შვილებსაც მამაკაცი ასაზრდოებდა და ოჯახში ბატონ-პატრონიც იგი გახდა. ფაქტიური გავლენა და უფროსობა მამაკაცის ხელში გადავიდა. მატრიარქატმა ადგილი დაუთმო პატრიარქატს (მამის უფლებას).

მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებაში დაწინაურებამ საზოგადოებას შემატა ახალი, აქამდის მისთვის უცნობი, საარსებო საგნები: რძე, მატყლი და ზოგიერთი კულტურული მცენარეების ნაყოფი. დაიწყეს ამ ნედლი მასალისაგან სხვადასხვა ნაწარმოებთა მზადება, მაგალითად, ამზადებდენ რძის ნაწარმოებს, ქსოვილებს და სხვას.

საგნების მრავალფეროვანებამ და ნაწარმოებთა გამრავლებამ ნიადაგი მოუმზადა ცვლის წარმოშობას. მეჯოგეებს უძველეს დროში გაცვლა-გამოცვლის საშვალებათ მიღებული ჰქონდათ საქონელი, ხვადაგი. შემდგომ ამან საზოგადო ხა-

სიათი მიიღო და ხვადაგს მიენიჭა ფულის მნიშვნელობა. ბარ-
ბაროსულ ხანის დასაწყისში. ფეხი მოიკიდა აგრეთვე თიხის
ჭურჭლის დამზადებამ. თიხის ჭურჭლებს ხმარობდენ საჭმლის
მოსახარშავად. დროთა განმავლობაში და ხანგრძლივი დაკვირ-
ვების შემდეგ ადამიანმა ისწავლა ლითონების დამუშავება.
ეს ნივთიერება გამოყენებულ იქმნა, როგორც მასალა, ჭურჭ-
ლისა და იარაღების გასაკეთებლად. პირველ ხანებში გავრცე-
ლებული იყო სპილენძი. შემდეგ სპილენძისა და კალასაგან
აკეთებდენ აგრეთვე ბრინჯაოს. რკინის დამუშავება ჯერ კი-
დევ არ იცოდნენ, ხოლო ოქროსა და ვერცხლისაგან აკეთებ-
დენ სამკაულებს. ამგვარათ, მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა
წარმოებაში ხელოსნობამ. მეჯოგეობის, მიწათმოქმედებისა და
ხელოსნობის წარმოშობა-განვითარებამ ადამიანის შრომა გაა-
ნაყოფიერა, საზოგადოებრივი სიმდიდრე იზრდებოდა და მასში
დაგროვილ ნაწარმოებთა ჯამი არა თუ უზრუნველყოფდა
საზოგადოებას, არამედ კიდევაც აღემატებოდა მის მოთხოვ-
ნილებებს.

ამ დროს შემოდის ხმარებაში რკინა, გაცილებით
უფრო მაგარი ლითონი, ვიდრე სპილენძი და ბრინჯაო. რკი-
ნისაგან დამზადებულმა იარაღმა მიწათმოქმედებასა და ხელოს-
ნობაში ითამაშა ნამდვილი რევოლუციონური როლი. ქვის
იარაღების განდევნა ხმარებიდან ბრინჯაომ ვერ შესძლო; ეს
წილად ხვდა რკინას. ამის შემდეგ გაჩეხეს ტყეები და მიწები
ყანებათ აქციეს, ისწავლეს ვენახის მოშენება და ღვინის დაყენე-
ბა. აგრეთვე ამზადებდენ ზეთს სხვადასხვა მცენარეებისაგან.
რკინამ მისცა ხელში ხელოსანს იარაღი გაცილებით უფრო
მჭრელი და მაგარი, ვიდრე ქვამ ან ბრინჯაომ.

უძველეს დროში ომიდან წამოყვანილი სამხედრო ტყვეები
გამარჯვებულს სახლში მიჰყავდა. პატრონი სამხედრო ტყვეს უყუ-
რებდა, როგორც თავის ოჯახის წევრს და ამგვარად ტყვე პატრო-
ნის ხელში არავითარ შევიწროებას და დამცირებას არ განიცდი-
და, იმ დროს სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. სა-
წარმოო იარაღები და საერთოდ მეურნეობა იმდენათ განუ-

ვითარებელი იყო, რომ ადამიანს რაც უნდა ბევრი ემუშავნა, იშვიათად თუ როდისმე იმაზე მეტს შეიძენდა, რაც მის პირად მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა-

ასეთ პირობებში ყველანი მუშაობდენ, იქნებოდა ის სამხედრო ტყვე, მისი პატრონი თუ პატრონის ცოლი. აქ გაბატონებული იყო მარტივი თანამშრომლობა. ადამიანთა მთელი ჯგუფი ერთად ნადირობდა, ერთად იჭერდა თევზს და ერთად იშენებდა ბინას; ხოლო შრომის ნაყოფი ჯგუფის წევრებს შორის თანაბრად ნაწილდებოდა. ამგვარათ, როგორც წარმოებაში ისე განაწილებაში, გვარის წევრებს შორის სუფევდა სრული თანასწორობა. განვითარების ის დონე, რომელზედაც ნაშინდელი საზოგადოება იდგა, შეუძლებელს ჰხდიდა ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის მონაპოვარის მითვისებას, ადამიანის მიერ ადამიანის გაყვლეფას. ეს არის **პირველყოფილი კომუნიზმი**.

მაგრამ მეურნეობის შემდეგმა განვითარებამ და შრომის განაყოფიერებამ საზოგადოების ამ მდგომარეობას ნიადაგი გამოაცალა. სამხედრო ტყვეები პატრონმა მონებათ აქცია მან ჩამოართვა მონებს თავის ოჯახში თანაშემწის ადგილი და ასობით სახელოსნოებსა და მინდვრებში სამუშაოთ გამორეკა. ასე გაიყო საზოგადოება ორ კლასად: გაჩნდენ მონები და ბატონები (თავისუფლები).

ხალხის სიმდიდრე კიდევ უფრო გაიზარდა.

ხელოსნობა, როგორც განსაკუთრებული დარგი წარმოებისა, გამოეყო მიწათმოქმედებას. მოხდა საზოგადოებრივი შრომის განაწილება ხელოსნებსა და მიწის მუშებს შორის. ამ დროდან უმეტეს ნაწილს საგნებისას ამზადებენ გასაყიდათ. იწყება **ვაჭრობა**. წინეთ ყოველგვარი ნაწარმოები გვარის საკუთრებას შეადგენდა და გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა გვარებს შორის. ახლა კი ყველაფერი ეს გადავიდა კერძო ოჯახის, კერძო პირის ხელში, ვაჭრობა გაჩაღდა არა მარტო გვარსა და გვარს შორის, არამედ გვარის შიგნითაც. დაირღვა პირველყოფილი, კომუნისტური მეურნეობა და წარმოებაში მნიშვნე-

ლოვანი ადგილი დაიჭირა კერძო საკუთრებამ. დაირღვა ქონებრივი თანასწორობა და თავისუფლება და მონების და თავისუფლების გვერდით გაჩდნენ მდიდრები და ღარიბები.



სურათი № 10
პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფური მუშაობა.

ველურების და ბარბაროსების სოციალ-პოლიტიკური წყობილება.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ ვითარდებოდენ და იცვლებოდენ ეკონომიურ განვითარების მიხედვით სოციალ-პოლი-

ტიკური ფორმები. ჩვენ ვიცით, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში ნათესაური კავშირი მყარდებოდა დედის მხრით და ამ ნათესავებს შორის ცოლ-ქმრობა თანდათანობით აკრძალული ქმნა. ამ ნათესავებისაგან შემდგარი ჯგუფი — გვარი — გახდა საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური წყობილების ფუძეთ.

გვარის სათავეში დედაკაცი იდგა, ქმარი კი მეორე გვარში ითვლებოდა წევრად, რადგანაც ერთი გვარის წევრები ერთმანეთის ნათესავები იყვნენ და მათ შორის ცოლ-ქმრობა ნებადართული არ იყო. გვარის ჩანასახი ველურობის ხანას ეკუთვნის, ხოლო ის განვითარდა და თავისი დასრულებული სახე მიიღო ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე. გვარის წევრთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა, ხოლო ის მიწაწყალი, რომელიც გვარს ეპირა, მეურნეობის განუვითარებლობის გამო ვერ აძლევდა მას საკმაო საარსებო საშვალებებს. ამგვარად ჩნდებოდა **მოჭარბებული მოსახლეობა.** სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ გვარები ნაწილდებოდენ და ცალ-ცალკე მიწაწყალს იპერდენ. ერთმანეთისაგან ასეთი გამოყოფა, გამოთიშვა გვარში შემდეგაც გაგრძელდა და წარმოიშვენ მონათესავე გვარები. ხშირი მოვლენა იყო ამ დროს უცხო გვარებს შორის ომები და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ერთი გვარი მეორე გვარის გარეკვას და მისი მიწაწყლის დაპერას მოინდომებდა. ასეთ შემთხვევებში მონათესავე გვარები ერთმანეთს შორის კავშირს ჰკრავდენ და გარეშე მტრის წინააღმდეგ ირაზმებოდენ. გვარებს შორის კავშირი თანდათანობით მტკიცდებოდა და შემდეგ მან მუდმივი ხასიათი მიიღო. მონათესავე გვარების კავშირი **მუხლს** წარმოადგენდა.

გვარსა და მუხლს გარდა იყო აგრეთვე **ტომი.** ეს ყველაზე უფრო ფართო და დიდი ორგანიზაცია იყო. ტომში შედიოდა რამდენიმე მახლობელი მუხლი. ხშირი შემთხვევა იყო აგრეთვე ტომებს შორის კავშირი. ტომთა კავშირი ნაყოფი იყო გარეშე საფრთხისა, უცხო ტომებისაგან მოსალოდნელ თავდასხმისა.

მას შემდეგ, რაც კი დედაკაცმა ოჯახის უფროსობა და-

კარგა და მატრიარქატმა ადგილი დაუთმო პატრიარქატს, გვარის უფროსი და ხელმძღვანელიც მამაკაცი შეიქმნა. გვარი ირჩევდა მამასახლისს და მხედართმთავარს. უკანასკნელი მუდმივი არ იყო, მას უფრო ხშირად ომის დროს ირჩევდენ. არჩევა ხდებოდა სახალხო კრებაზე. **სახალხო კრება** იყო გვარში უზენაესი ძალა-უფლების მატარებელი; მასში შედიოდენ ყველა მოზრდილი წევრები—დედაკაცები და მამაკაცები. მამასახლისის უფლება გვარში არ იყო განუსაზღვრელი. მის მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებდა **უხუცესთა საბჭო**, გვარის ხანში შესული წევრებისაგან შემდგარი.

მხედართმთავარი მეთაურობდა მეომრებს. გვარს უფლება ჰქონდა, გამოეცვალა როგორც მამასახლისი, აგრეთვე მხედართმთავარი (ბელადი). თანამდებობიდან გადაყენებული ისევ გვარის უბრალო წევრი ხდებოდა. გვარის რომელიმე წევრი როდესაც მოკვდებოდა, მისი ქონება გვარს რჩებოდა. გვარი იყო თავისი წევრის ქონების მემკვიდრე.

გვარი, როგორც ვიცით, ნათესაობაზე იყო დამყარებული, გვარის წევრნი ერთი სისხლისა იყვნენ. ამიტომ თვითეული გვარის წევრის ინტერესი გვარს უნდა დაეცვა. თუკი ერთი გვარის წევრი მოჰკლავდა მეორე გვარის წევრს, მოკლულის გვარს სისხლი უნდა აეღო, სამაგიერო გადაეხადა მკვლელისთვის ან მკვლელის გვარისთვის. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საქმე მორიგებითაც თავდებოდა, მკვლელის გვარი მოკლულის გვარის წინაშე ბოდიშს იხდიდა და საჩუქრებს უგზავნიდა მას. ამით თავდებოდა ყველაფერი. თვითეულ გვარს თავისი სარწმუნოებრივი შეხედულებები და დღესასწაულები ჰქონდა.

რამდენიმე გვარისაგან სდგებოდა მუხლი. ის აწესრიგებდა მასში შემავალ გვარებს შორის დამოკიდებულებას. მუხლის მამასხლისი და მხედართმთავარი ირჩეოდნენ სატომო საბჭოზე, ხოლო მათ ამტკიცებდენ მუხლებში შემავალი გვარები. ომის დროს ჯარები ირაზმებოდენ მუხლებათ და მათ ჰყავდათ თავიანთი ხელმძღვანელი (ბელადი).

მუხლზე უფრო დიდი კავშირი იყო ტომი, მასში შედი-

ოდა რამოდენიმე მუხლი. ტომს ეჭირა განსაზღვრული ტერიტორია. ერთი ტომის ტერიტორიას (მიწაწყალს) ჰყოფდა მეორე ტომის ტერიტორიისაგან ნეიტრალური ხაზი. ტომის სამოსახლო ადგილს გარშემო ერტყა სანადირო და სათევზო ადგილები. ეს მიწაწყალი ტომის საერთო კუთვნილება იყო და მტრის შემოსევისაგან მას იცავდა ტომი მთელი თავისი ძალებით. ტომში არსებობდა სატომო საბჭო, რომელიც შესდგებოდა გვარების წარმომადგენლებისაგან (მამასახლისებისაგან და მხედართმთავრებისაგან). საბჭო არჩევდა სხვა ტომებთან დამოკიდებულების საკითხებს; მისი საქმე იყო ომის გამოცხადება და ზავის ჩამოგდება. ტომს ჰკავდა თავისი განსაკუთრებული უფროსი. საჭიროების დროს ის იწვევდა სატომო საბჭოს სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად. ხშირად სდგებოდა აგრეთვე მახლობელი ტომების კავშირი, რომელიც მიზნად ისახავდა უცხო ტომებზე თავდასხმას ან მათგან საერთო ძალებით თავის დაცვას. ამ კავშირში შემავალ ტომებს შორის მყარდებოდა ერთგვარი მიზანთან შეფარდებული დამოკიდებულება.

ასეთი იყო სოციალ-პოლიტიკური ვითარება პირველყოფილ კომუნისტური საზოგადოებისა. აქ არ არსებობდა ქონებრივი უთანასწორობა, არ იყვნენ მდიდრები და ღარიბები; მიწა იყო გვარის განკარგულებაში და მით ყველანი თანაბრათ სარგებლობდენ. გვარში სუფევდა სრული თავისუფლება და თანასწორობა. არ იყვნენ მონები და ბატონები, არ იყო ადამიანის მიერ ადამიანის გაყვლეფა. ასეთი იყო პირველ ხანებში საგვარეულო წყობილების შინაარსი.

მაგრამ გადიოდენ ათასი წლები და ხალხის გამრავლების გამო, როგორც ვთქვით, ჩნდებოდა მოჭარბებული მოსახლეობა; აუცილებელი გახდა მეურნეობაში პროგრესი. ძველი წარმოების წესები ახალით შეიცვალა და ადამიანის შრომა განაყოფიერდა. საფუძველი ჩაეყარა კერძო საკუთრებას და გაჩნდა კერძო პირებს შორის ვაჭრობა. საზოგადოებაში ნიადაგი მოუმზადდა მონობას, წარმოიშვენ მდიდრები და ღარიბები. მდიდრებმა გავლენა მოიპოვეს ღარიბებზე და პოლიტიკურად გაბა-

ტონდენ. დაირღვა ძველი დროის თავისუფლება და თანასწორობა. საზოგადოება დანაწილდა კლასებათ.

ასეთი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსი სახელმწიფოს წარმოშობის წინა ხანებში.

როგორ ისწავლა ადამიანმა ლაპარაკი.

საზოგადოების წინსვლისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენას. ადამიანს არ შეეძლო მიეღწია რაიმე თვალსაჩინო წარმატებისათვის, თუ რომ ის ამ მეტად მნიშვნელოვანი იარაღით აღჭურვილი არ იქნებოდა.

ენის წარმოშობას დასაბამი აქვს ადამიანთა ცხოვრების უძველეს ხანაში. ჩვენ ვიცით, რომ პირველყოფილი ადამიანები ცხოვრობდენ ჯგუფურად. მათ აკავშირებდა საერთო ეკონომიური ინტერესები. ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო ადამიანებს ერთმანეთისთვის გაეზიარებიათ თავიანთი აზრი, გადაეცათ საკუთარი შთაბეჭდილებანი. ხოლო ამისათვის საუკეთესო საშვალება ენა არის.

ენის წარმოშობას საფუძვლად დაედვა შრომის მომენტი. ჯგუფური მუშაობა, რათა მას უფრო მწყობრი და წესიერი ხასიათი მისცემოდა, იწვევდა მომუშავეთა შორის ყვირილს. ჯერ ახლაც ჩვენში, დასავლეთ საქართველოში, სიმინდის თოხნის დროს, როდესაც რამოდენიმე კაცი ერთად მუშაობს, მუშაობის მწყობრად ჩასატარებლად და შრომის გასანაყოფიერებლად შემოღებულია ტაქტის მიმცემი სიმღერები: „ოდოია“ და „ნადური“. ეს სიმღერები ამხნევებენ მუშებს, ყველანი ერთად იქნევენ თოხებს და მუშაობის ნაყოფიც მეტია. უძველეს დროში ამ წესს უთუოდ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა და, აუცილებელია, ყვირილის ეს ნაწყვეტები უნდა გადაქცეულიყვნენ ენის პირველ ელემენტებათ. მასთან ერთად ჯგუფური ცხოვრების ნიადაგზე მუშავდებოდა სხვა საგნების აღმნიშვნელი სიტყვები. ერთსადაიმავე საგანს ერთ ჯგუფში ერთი სახელი ერქვა, მეორეში—სხვა.

ამგვარათ, საფუძველი ეყრებოდა და მუშავდებოდა სხვადასხვა ენა. როდესაც ეს ჯგუფები გაიზარდნენ და გვარებათ ჩამოყალიბდენ, ენის განვითარებას უფრო ფართო სარბიელი მიეცა. მონათესავე გვარების გამრავლებას და მათს მეზობლებში და ტომებში თავის მოყრას ენა გამოჰყავდა მერყევ მდგომარეობიდან და მას უფრო გარკვეული სახე ეძლეოდა. ამ ერთობლივი ცხოვრების ნიადაგზე ტომის ფარგლებში მუშავდებოდა ერთი, ყველასათვის გასაგები სატომო ენა.

სარწმუნოება

პირველყოფილ ადამიანს არ ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი განსხვავება ძილსა და სიკვდილს შორის. მაგრამ თანდათანობით—დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ—ის დარწმუნდა, რომ ადამიანი ძილის შემდეგ იღვიძებდა და ჩვეულებრივი ადამიანი ხდებოდა. იყო მეორე მოვლენა, როდესაც ადამიანი სამუდამოთ ჰკარგავდა გრძნობას და იხრწნებოდა. ველურმა გაიგო, რომ პირველ შემთხვევაში ადამიანს ეძინა, ხოლო მეორეში კი მან სამუდამოთ დაჰკარგა სიცოცხლის უნარი. ველურმა შეამჩნია, რომ ადამიანი კვდება მაშინ, როდესაც ის კარგავს სუნთქვის უნარს, როდესაც მის სხეულს შორდება **სული**.

სულის შესახებ მან იქიდანაც გაიგო, რომ როცა მას ეძინა, მისი სხეული უგრძნობი იყო, ხოლო „რაღაც მეორე" ისევ გრძნობდა, მოძრაობდა. ეს სულია, მისი მოქმედება კი—სიზმარი. მაშ, ადამიანი ორი ნაწილისაგან შესდგება—სხეულისა და სულისაგან, მხოლოდ სიცოცხლის წყარო სულია. ველურმა იცოდა, რომ ჯოხი, რომელიც ადამიანის ხელში იყო, მოძრაობდა. როგორც კი მას ის გააგდებდა ხელიდან, ჯოხი ჰკარგავდა მოძრაობის უნარს.

ასეთივე დამოკიდებულებაში იყვნენ ადამიანის სული და სხეული ერთმანეთთან: სანამდის სული იმყოფებოდა ადამიანის სხეულში, ის მოძრაობდა; მაგრამ როგორც კი მოშორდებოდა მას, მაშინვე ადამიანი კვდებოდა. მაშასადამე, ადამიანის

სიცოცხლის წყარო არის სული. აი როგორ ჰქონდა ველურს წარმოდგენილი ეს მოვლენა.

ველურის შეხედულებით სული იყო ერთგვარი ნივთიერება, რომლის დაჭერა, ხელში ჩაგდება და დამწყვდევა შეიძლებოდა. ამიტომ, როდესაც ადამიანს ასაფლავებდენ, ყოველთვის სასაფლაოში ტოვებდენ ხვრელს, რათა სულს მისცემოდა საშვალება, როდესაც კი მოინდომებდა, ენახა თავისი სხეული.

სული ველურის წარმოდგენით ადამიანის სხეულის დატოვების შემდეგ იწყებდა დამოუკიდებელ ცხოვრებას. პირველყოფილი ადამიანი ფიქრობდა, რომ სული სჭამს საჭმელს, როგორც ხორციელი ადამიანი. აქედან განვითარდა მსხვერპლის შეწირვა სულებისადმი. აქიდანვე წარმოიშვა პირველყოფილი საღმუნოება—**ანიმიზმი** (ლათინურად „ანიმუს“ სულსა ნიშნავს.)

სულებს შორის განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა გვარის მამასახლისის სულმა. გვარის გარდაცვლილ მამასახლისთა სულებსა და ცოცხალ მამასახლისს შორის, კავშირი უნდა ყოფილიყო, წინაპართა სულები ეხმარებოდენ გვარის უფროსს საქმეების მოწესრიგებაში. გვარში თანდათანობით მუშავდებოდა წარმოდგენა საერთო და დიდებული წინაპრის შესახებ, რომელმაც, მაშინდელი ადამიანის წარმოდგენით, ასწავლა გვარს ნადირობა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და, საერთოდ, მოევლინა მას მფარველად. დროთა განმავლობაში ხალხის ყველა სხვა წინაპრები დავიწყებას მიეცა. გაიზარდა მხოლოდ ერთი წინაპრის—გვარის უფროსის—მნიშვნელობა; ასე წარმოიშვა მითიური პიროვნება. ამ უკანასკნელს აწერს ხალხი გვარის დაარსებას და მის მოწყობას. გვარებს ჰქონდათ თავიანთი საკუთარი სახელები. თვითეული გვარი ანუ ტომი ატარებდა იმ ცხოველის ან მცენარის სახელს, რომელნიც ბლომათ მოიპოვებოდნენ ამა თუ იმ გვარის გარშემო და შეადგენდნენ მათთვის საარსებო საშვალებას. ასეთი იყო „კუ“, „დათვი“, „ბანანი“ და სხ. ხალხის წარმოდგენაში შემუშავდა ისეთი აზრი, თითქოს თვით ეს საგნები ყოფილიყვნენ გვარის

მფარველნი და ხელის შემწყობნი. აქედან თანდათანობით გვარში მითიური წინაპრის ადგილი ცხოველებმა, მცენარეებმა და სხვა საგნებმა დაიპირეს. ასე წარმოიშვა ცხოველებისა და მცენარეების კულტი. ადამიანმა ღვთაებრივი ძალა საგნებს მიაწერა. წარმოიშვა და განვითარდა **ფეტიშიზმი**.

თვითეული გვარი პირველ ხანებში მის მიერ გაღმერთებული ტოტემიური მცენარეებითა და ცხოველებით იკვებებოდა, მაგრამ სინამდვილემ დაანახვა ადამიანს, რომ განუწყვეტლივ მცენარეულობით კვება და ცხოველების ხოცვა გამანადგურებლათ მოქმედებდა ამ მცენარეებსა და ცხოველებზე. ამის გამო აკრძალულ იქმნა გვარის წევრებისათვის ტოტემიურ ცხოველებით და მცენარეებით კვება განსაზღვრულ დროს განმავლობაში. როცა ეს დრო გაივლიდა, ხელახლა განაახლებდნენ აკრძალულ მცენარეებით და ცხოველებით კვებას. ეს არის მარხვის ჩანასახი.

თვითეულ გვარს თავისი ღვთაება წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც მისი ნაშრომ-ნაამაგარის მფარველი, მისი კეთილდღეობის ხელის შემწყობი.

ზოგიერთი გაძლიერებული გვარი მისს გარშემო მობინადრე ჯგუფებზე გავლენას ახდენდა. ამასთან დაკავშირებით ეკონომიურად ძლიერი გვარის ღვთაება სხვა გვართა ღვთაებებს შორის პირველ ადგილს იპერდა; ასე რომ, როდესაც გვარებისაგან შესდგა ტომი, ყველაზე უფრო ძლიერი გვარის ღვთაება მთელი ტომის უზენაეს ღვთაებათ იქცა. ამავე დროს თვითეულ გვარს თავისი საკუთარი ღვთაებაც ჰყავდა, რომელიც ტომის ღვთაებას ემორჩილებოდა. ასეთი იყო პირველყოფილი საზოგადოების სარწმუნოებრივი წარმოდგენა.

ქართველი ტომები ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე.

ქართველებს სამი-ოთხი ათასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე უცხოვრიათ ქალდეაში ანუ კარდუში! მხოლოდ ათასი, ათას ხუთასი წლის წინათ ქრისტეს წინ — მესოპოტამიაში, კაპადოკიასა და პონტოში. მესოპოტამია, რაც ნიშნავს შუამდინარეს, მდებარეობს ეფრატსა და ტიგროსს შუა. იმ დროებში იქ თურმე მეტად კარგი საცხოვრებელი ყოფილა. ბერძენ ისტორიკოსის ჰეროდოტეს თქმით (ცხოვრობდა 500 წ. წინათ ქრ. წ.), იმ ქვეყანაში მის დროს მოსავალი ერთი-ორასათ და მეტიც მოდიოდა. მისივე თქმით, იქ მშვენიერი სოფლები და დაბა ქალაქები იყო გაშენებული; მთელი ქვეყანა ყანებით იყო მოფენილი, ხშირი სარწყავი არხებით და გზებით იყო დასერილი. ახლა იქ მხოლოდ მწყემსნი, ღარიბ-ღატაკი არაბები ცხოვრობენ. სადაც მაშინ განთქმული ქალაქი ნინევია იყო, დღეს მის მახლობლად ქალაქი მოსული მდებარეობს*). კაპადოკია ვრცელ ვაკეს წარმოადგენს. სამხრეთით მას ტავრის და ანტი-ტავრის მთები საზღვრავენ. იქვე მას არგას მწვერვალი დაჰყურებს. ეს ქვეყანა დასერილია ღრმა ხევებით. წვიმები იქ ხშირი იცის, ჰაერი ნოტიოა. მთის მდინარეები უხვათ არის. შუაგული ადგილი კი მშრალი და უწყლოა. იქ ერთი მდინარეა—ღალისი, ან, როგორც მას ახლა უწოდებენ, ყიზილ-ირმაყი. ამ ნაწილში ჰავა

---

* ახლა ის განთქმულია მდიდარი ნავთის წყაროებით, ამიტომაც მის გარშემო დიდი ბრძოლაა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. თვითეული მათგანი ცდილობს მის ხელში ჩაგდებას. ჯერ-ჯერობით ის მაინც ინგლისელების ხელშია.

კონტინენტალურია (მშრალი), მეტად ცხელი ზაფხული იცის და ზამთარი კიდევ მეტად მშრალი და მკაცრი. მხოლოდ მდ. ზეიჰუნის მახლობლათ ბუნება მდიდარია: ხშირი ტყიანი მთები, მწვანე ბალახით მოფენილი ველები და სხვადასხვანაირი მცენარეულობა ამკობენ ამ ქვეყანას. კაპადოკიაში მეცხვარეობას და მესაქონლეობას ახლაც ძლიერ მისდევენ.

პონტოს ქვეყანა ზღვის პირად სძევს და ნოტიო და რბილი ჰავით ხასიათდება.

ეს ქვეყნები დღეს ოსმალეთის ხელშია. ათასი, ათას ხუთასი წლის წინათ ქრისტემდე, ქართველი ტომები ამ ქვეყნებში ცხოვრობდენ—საზღვრებს შორის: აღმოსავლეთით—ეფრატი, დასავლეთით—ტავრის მთები; აღმოსავლეთით ქართველი ტომების მოსახლეობა არარატის მთებამდე აღწევდა; სამხრეთით—კილიკიის ბიდამოები. არარატის სანახებს მაშინ ურართუ ერქვა და იქ მცხოვრებ ქართველ ტომებს კი ურართელები ანუ არარატის ქართველები. ქართველ ტომების მეზობლებთაგან სხვებზე უწინ ასურელები უნდა მოვიხსენიოთ. ისინი ქართველებზე სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდენ. მათი მართვა-გამგეობის ფორმა დესპოტიას წარმოადგენდა. უფრო დაწვრილებით ამაზე შემდეგ შევჩერდებით. ასურული წყაროები საშვალებას გვაძლევენ ვიცოდეთ ჩვენი წინაპრების შესახებ მეთორმეტე-მეთერთმეტე საუკუნიდან ქრისტეს წინ. ქართველ ტომებს ამ წყაროების მიხედვით იმ დროს პირველყოფილი ფორმები მეურნეობისა და საზოგადო წყობილებისა უკვე გავლილი ჰქონიათ. ისინი მისდევდენ მიწათმოქმედებას. ეს დარგი მეურნეობისა ისე ჰქონდათ განვითარებული, რომ მაღალ ღირსების, კულტურულ მცენარეების მოშენებაც იცოდნენ: ისინი მშვენიერ ბაღებს აშენებდნენ, კარგათ უვლიდნენ ვაზს და საუკეთესო ღვინის დაყენებაც ცოდნიათ. მისდევდნენ თურმე აგრეთვე მეფუტკრეობას, მესაქონლეობას; საუკეთესო ჯიშის ცხენებით იყვნენ განთქმული. მადნეულობის დამუშავება და მისგან სამუშაო და საომარ იარაღების კეთება მათ ხელობას შეადგენდა. მეცხრე საუკუნეში ქ. წ. მესხები ასურეთის ბატონს

ხარკათ აძლევდნენ თითბრის ჭურჭლეულობას, ხარებს, ცხენებს და ღვინოს. მეორე ტომი ქართველებისა—იბერნი (ტაბალი, თუბალი) ასურეთის მეორე ბატონს საუკეთესო ჯიშის, მაღალი ტანის ცხენებს აძლევდა ხარკად. ვერცხლი, ოქრო, თუთია, თითბერი, რკინა ხმარებაში იყო ქართველთა შორის. ვერცხლს და ოქროს სამკაულად ხმაროობდენ, დანარჩენებისაგან ჭურჭლებს და იარაღს აკეთებდნენ. მეცხრე საუკუნის შუა ხანებში მტრებმა იბერებს (თობალთ) ვერცხლის და სხვა ლითონის მაღაროები წაართვეს. ლითონის და კერძოთ რკინის აღმოჩენამ და გამოყენებამ კაცობრიობას დიდი ნაბიჯი წაადგმევია წინ. ამის შემდეგ ადამიანი გაბატონდა ბუნებაზე და მის წინსვლას ვერაფერი უდგებოდა წინ. ამ მხრივ უძველეს ქართველებს დიდი ღვაწლი მიუძღვით კაცობრიობის წინაშე. ეჭვს გარეშეა, რომ მეტი ნაწილი ლითონეულობისა პირველად ქართველ ტომების მიერ არის აღმოჩენილი და გამოყენებული. ამას ამტკიცებს შემდეგი მოვლენა: როდესაც რომელიმე ახლად აღმოჩენილი საგანი გავრცელდება მისს სამშობლოს გარეშე, ის ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის, უცხოეთშიაც თავის პირვანდელ სახელს ან კიდევ თავის სამშობლოს სახელს ატარებს. სულ უბრალო მაგალითებით შეიძლება ამის ნათელყოფა. ერთ-ერთს ჩვენში გავრცელებულს და ფრიად სასარგებლო შინაურ ფრინველს ინდაური ჰქვიან, რუსულათ—„ინდეიკა", და ასე სხვა ენებშიაც. ის ინდოეთის ქათამია და მას ყველგან მისი სამშობლოს სახელი დაარქვეს. აგრეთვე „პრიმუსი", „აეროპლანი", „ავტომობილი", „პლატინა", „სამოვარი" და სხვა. ოქრო, ვერცხლი, ტყვია, სპილენძი, თითბერი, ბრინჯაო, რკინა... არც ერთი ამ სახელებთაგანი არაა უცხო ენიდან ნასესხები; ყველა ესენი ნამდვილი ქართული სიტყვებია. ეს კიდევ ცოტაა: ზოგიერთი ლითონი უცხოელებს პირველად ქართველ ტომების ქვეყანაში უნახავსთ, მათგან შეუძენიათ და შეუსწავლიათ მათი გამონახვა და გამოყენება. ცხადია, ამ ლითონებს ისინი ქართულ სახელებს დაარქმევდნენ. მართლაც, ფოლადს ბერძნულად ხალვიბდოს, ხილვიბდიკოს ჰქვიან და ხა-

ლიბურს ნიშნავს, ხალიბი კი ქართველ ტომის სახელია. ან კიდევ, ევროპული სახელწოდება ბრინჯაოსი „ბრონზა“ ქართული სპილენძისაგანაა წარმომდგარი (ეს ახსნილი აქვს პრ. ნ. მარს და პრ. ი. ჯავახიშვილს მოყვანილი აქვს თავისი „ქართველის ისტორია“-ში, ნ. I, გვ. 79. იქ მსურველი სხვა ბევრ საგულისხმიერო ცნობასაც ნახავს). ამრიგათ, მეათე-მეცხრე საუკუნეებში ქ. წ. ქართველებში განვითარებული ყოფილა მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგები, აგრეთვე მესაქონლეობა, მადნეულობის დამუშავება და მისგან სხვადასხვა ფრიად სასარგებლო იარაღთა და ნივთების კეთება. თვითეული ამ მეურნეობის დარგთაგანი განსაზღრული ჯგუფების ხელში იყო მოთავსებული. აი, რამდენად ჩამოყალიბებული ყოფილა ამ დროს შრომის განაწილება ქართველთა საზოგადოებაში.

მჭედლობა ძველ დროში დიდ საპატიო ხელობათ ითვლებოდა. ქართველების მჭედლობასა და ხელობაზე ძველ ებრაელების წიგნში „დაბადებაში“ ნათქვამია: „თობელი (ტუბალ-იბერი) ესე იყო კვერით ხუროჲ... მჭედელი რვალისა და რკინისა“.

საწარმოო იარაღთა გაუმჯობესება იწვევს შრომის განაყოფიერებას. შრომის განაყოფიერებას მოსდევს შრომის განაწილება; შრომის განაწილება თავის მხრივ შრომის განაყოფიერებას იწვევს და ასე შემდ. იქმნება იმაზე მეტი პროდუქტი, რაც განსაზღვრულ საზოგადოებას სჭირდება. აქ უკვე იწყება აღებ-მიცემობის წარმოშობა. სულ პირველად, როგორც ვიცით, საკუთრება გვარს ეკუთვნოდა. ამ დროს კი, მეურნეობის და წარმოების განვითარების ამ დონეზე, საკუთრება კერძო პირებსაც უჩნდებათ. (ჩვენ ლაპარაკი გვაქვს უძრავ-მოძრავ ქონებაზე, თორემ საომარი იარაღები და სამკაულნი პირველყოფილ კომუნისტურ საზოგადოებაშიც ცალკე პიროვნებათა საკუთრებას შეადგენდა). სანამ ადამიანთა ჯგუფებს არ გააჩნდათ მარჯვე იარაღი, სანამ შრომის ნაყოფიერება უმნიშვნელო იყო და შრომის განაწილება არ იცოდნენ, ადამიანთა ჯგუფებს არ ესაჭიროებოდათ

ზედმეტი მუშა ხელი. მართალია, ომები მაშინაც ხდებოდა, მაგრამ მძლეველნი ძლეულებს ან სრულიად ამოხოცავდნენ, ანდა, თუ ცოცხალი გადაურჩებოდათ, თავიანთ გვარის თანასწორ წევრებად ხდიდნენ. იმ დროიდან კი, როცა ქართველებს კერძო საკუთრება გაუჩნდათ და ზედმეტი საქონლის კეთება იწყეს, უთუოდ ზედმეტი მუშა ხელიც დასჭირდებოდათ. ამიტომაც, ახლა სამხედრო ტყვეებს კი არ ხოცავენ, არამედ შინ მოჰყავთ და მონებათ ხდიან. ამაზე იმავე „დაბადებაში“ ნათქვამია: „თობელი და მოსოხ (იბერნი და მესხნი) ვაჭრობდნენ შენ შორის (ქალაქ ტვიროსში) სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდაო“. ესე იგი, ქართველები თურმე მიდიოდნენ ქალაქ ტვიროსში (ფინიკიაში) და საბერძნეთში და ჰყიდდენ მონებს და ლითონისაგან გაკეთებულ ჭურჭლებს. ასე რომ, ამ დროს ქართველებში მონობა არამც თუ ყოფილა, ისინი მონებით ვაჭრობდნენ კიდეც. აქ სახელწოდებაში „ქართველები“, ქართველი დიდკაცობა უნდა ვიგულისხმოთ: ამ ხელობას—მონებით ვაჭრობას—უმეტეს შემთხვევაში დიდკაცობა ეწეოდა; ამრიგად, იყვნენ მონები და თავისუფალნი. თავისუფლებს შორის ყოფილან „დიდებულნი“. ამის შესახებ ასურეთის ერთი დესპოტი—სარგონი (722—705 წ.) კვეხულობს: ტაბალების (იბერების) ქვეყნის „დიდებულნი“ ტყვეთ წავიყვანეო.

ქართველებს ზედმეტი პროდუქტი უკეთებიათ და ფინიკიელებთან და ბერძნებთან ვაჭრობა გაჩაღებული ჰქონიათ. ჯერ პირველად სავაჭრო საშვალებათ ოთხფეხი საქონელი—ხვადაგი—იყო, რასაც მაშინ ფულის მნიშვნელობა ჰქონდა. აქედანაა წარმომდგარი ქართული სიტყვა „ხვასტაგი“, რაც სიმდიდრეს, დოვლათს ნიშნავს. შემდეგ დროებში ვაჭრობის გასაადვილებლათ ლითონის ხმარება შემოიღეს (წონით). ფულის მოჭრა ქართველებმა უფრო გვიან ისწავლეს. ჯერჯერობით ნახულია ქართული ფული მხოლოთ პირველ საუკუნისა ქ. წ.

ქ ა ლ ა ქ ე ბ ი.

ქართველ ტომებს მეთერთმეტე საუკ. ქ. წ. სააღებმიცემო სავაჭრო ცენტრები -- ქალაქები — უკვე ჰქონდათ. ქართულ ქალაქების სახელებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ისეთი ეკონომიური მდგომარეობა, როგორიც ჩვენ უკვე დავინახეთ იმდროინდელ ქართველებში, უთუოდ გულისხმობს მათს არსებობას. ამის საბუთიც მოიპოვება: ასურეთის ბატონები (1100 წ. და 722 წ. ქ. წ.) კვეხულობენ, მესხების **ქალაქები** ავიღეთ, დავაქციეთ და გადავბუგეთო.

საგვარეულო წყობილება.

ქართველების საზოგადო ცხოვრება საგვარეულო წესწყობილებაზე იყო დამყარებული. გვარის სათავეში მამასახლისი იდგა. ამ მამასახლისებს უცხოელები, მაგ., ასურელები, მეფეებს უწოდებდენ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ თვით ასურელების დესპოტები მეფეების სახელს ატარებდნენ. ამიტომაც ქართველი გვარის და ტომის უფროსნი მათ მეფეები ეგონათ. ასე, მაგალითად, ასურეთის ბატონი ამბობს: ოცი ათასი მუსკი (მესხები) და მათი ხუთი მეფე დამესხნენო. ცხადია, ეს მეფეები არ იყვნენ, არამედ მამასახლისნი. მამასახლისები უფროსობდნენ გვარს, ან გვართა კავშირს. მათი არჩევა ან დანიშვნა ამ დროს უთუოდ მემკვიდრეობის მიხედვით ხდებოდა. გვარები და ტომები კავშირდებოდენ ურთიერთ შორის. რა თქმა უნდა, ამ კავშირებს და კავშირთ-კავშირებს თავიანთი მეუფროსე ან მამასახლისი ჰყავდათ. მამასახლისი ხშირად მხედართ-მთავრის როლს ასრულებდა, მაგრამ ეს უფრო დროებითი მოვლენა იყო. გვარის ან ტომის უმაღლესი ძალა-უფლება სახალხო კრებას ეპყრა. სახალხო კრების შემდეგ უფლებამოსილი დაწესებულება იყო უხუცესთა საბჭო. აქ გვარის უფროსნი—ხანში შესული პირები—თავს იყრიდნენ და ბჭობდნენ ქვეყნის ჭირ-ვარამზე. აგრეთვე ტომებს და ტომთა

კავშირსაც ეხუცესთა და მამასახლისთა საბჭოები განაგებდენ. ასეთი წესი ქართველებში მტკიცეთ მოქმედებდა. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო: მუდმივი საფრთხე გარეშე მტრის წინაშე უკარნახებდა მათ ამას და მართლაც ჩანს, რომ ხშირად იკვრება მთელ ქართველ ტომთა კავშირი და ისინი ერთად გამოდიან მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბრძოლა ასურელებთან.

მეთორმეტე საუკუნეში (1150 წ. ქ. წ.) მესხების კავშირს ასურელების ქვეყნები ალძი და პურუკუკი დაუპყრია. ამას შემდეგ ქართველ ტომებს მტერი მომძლავრებია და ისინი შეტევის მაგიერ თავდაცვაზე გადასულან. მაგრამ მაინც ასურელების აღმატებულ ძალას ქართველები თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ მიუწევია. შემდეგ, როდესაც სამხრეთ-დასავლეთის ქართველი ტომები: მესხები, იბერნი და კოლხნი (მუსკნი, ტაბალი და კასკი) დასუსტებულან უსწორო ბრძოლაში, ჩრდილო-აღმოსავლეთით გაძლიერებულან ქართველების სხვა ტომები. ეს ტომები ცხოვრობდნენ ვანის ტბის და არარატის მთის მიდამოებში. მათ ერქვათ ურკაშდიმები, ანუ არარატის ქართველები. ესენი ჯერ თვითონ შეკავშირდნენ და შემდეგ ზემოთ დასახლებულ ქართველებს,—მესხებს, იბერთ და კოლხებს—შეუკავშირდნენ და ამ ერთობლივი გამოსვლით ასურელებს საგრძნობი ზიანი მიაყენეს. ურართელებს ამ დროს მეთაურობდა მამასახლისი რუსა, დასავლელებს კი—ამბარისი. მაგრამ ვერც ამ კავშირმა გაუძლო მრავალრიცხოვან ასურელების ძალას და გამარჯვება ამ უკანასკნელთ დარჩათ. ეს იყო მერვე საუკუნეში (720 წ. ქრ. წ.) ამის შემდეგ ქართველების კავშირი დაირღვა, მაგრამ ზოგი ქართველი ტომი კიდევ მაინც იცავდა თავს; ზოგნი კიდევ იძულებული გამხდარან ქედი მოეხარათ მტრის წინაშე და საჩუქრებით და ხარკის ძლევით მოეშორებიათ თავიდან. ასეთი დღე ადგათ ასურელებისაგან სხვა მცირე ტომებსაც.

კიმერიელნი და ასურეთის დაცემა.

ამ დროდან არც ასურელებს დადგომიათ კარგი დღე. მეშვიდე საუკ. ქ. წ. მათ ბოლო მოუღეს არიელ ტომებმა. ასურელ ბრძანებლების მთავარ საარსებო საშუალებას ომი და ცარცვა-გლეჯა, ნადავლი და მონები შეადგენდნენ. მთელი ქვეყანა საომარ ბანაკად იყო გადაქცეული. ხალხში მეურნეობა და წარმოება თანდათან ეცემოდა. მასა მონობაში ჰგმინავდა და ქონებრივად გაღატაკებული იყო. ბოლოს ისიც ისე გამხეცდა, ომიანობას ისე მიეჩვია, რომ მხოლოდ მასში ხედავდა შველას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ხალხის სიმაგრეს, მის დღეგრძელობის ფუძეს, შეადგენს არა მარტო ნადავლი, ნაძარცვი, ნაყაჩაღარი, არამედ შინამეურნეობა, შინამრეწველობა, უნარი, ცოდნა დოვლათის დამზადებისა. ამ მხრივ ასურელები განადგურებული იყვნენ. ამ სამხედრო ბანაკს გაუჩნდა მოწინააღმდეგე არა ნაკლებ დარაზმული, ვინემ თვით ასურელები. ეს მეორე გამანადგურებელი ძალა, რომელიც მოაწვა წინა აზიას, იყო ინდო-გერმანელ მოდგმის ხალხი—სკვითები ანუ კიმერიელნი. ისინი ცხოვრობდნენ ჩრდილო-კავკასიის იქით, შავი და კასპიის ზღვების ჩრდილოეთით, დღევანდელს სამხრეთ რუსეთში. ეს უნაყოფო და გაუვალი ველები მდ. დუნაიამდე წვდებოდა. მათ მიწის დამუშავება არ იცოდნენ, რადგანაც ამას გეოგრაფიული პირობები ხელს არ უწყობდა. მათს მოჭარბებულ მოსახლეობას ვერ ჰკვებავდა მათი სამყოფელი ადგილი, მით უმეტეს, რომ ისინი მეურნეობის და საერთოდ განვითარების მხრივ ძლიერ დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათი საქმე ხეტიალი, ომი და თავდასხმა იყო. ეს ხალხი მოაწვა ასურეთ-ბაბილონს ჩრდილოეთით. სასტიკი იყო მათ შორის ბძოლა, მაგრამ ბოლოს ასურეთის მოღლილმა და მონობაში მყოფმა ხალხმა ვერ გაუძლო მოსულებს. 607წ. ქ.წ. ასურეთის დედაქალაქი ნინევია დაეცა მოსულ კიმერიელების მახვილის ქვეშ. ნადავლი, ნაყაჩაღარი ქონება ასურეთისა, მტერს ჩაუვარდა ხელში, ხალხს არაფერი დარჩა. შიგნით, როგორც ვთქვით, მეურნეობა მოშლილი იყო და ამიტომ ქვეყნის პოლი-

ტიკურად დაცემასთან ერთად დაეცა თვით ერი და მის შემდეგ მოისპო მისი ფიზიკური არსებობაც [1]) კიმერიელებმა ჯერ მიდიელების და შემდეგ სპარსელების სახით შეჰქმნეს დიდი, ძლიერი დესპოტია და მთელს აზიაში გაბატონდნენ. ამასაც არ დაჯერდნენ და მათი და. ძველი ბერძნების ეკონომიური ინტერესები შეეჯახნენ ერთმანეთს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე. ბრძოლა ბოლოს თვით ევროპის მიწაწყალზე გადავიდა; გამარჯვება ბერძნებს დარჩათ, თუმცა ეს გამარჯვება უფრო თავის გადარჩენას წარმოადგენდა. სპარსელები მაინც ერთადერთ ბატონად დარჩნენ მთელ აზიაში.

მათ იმ დროიდანვე ჰქონდათ დიდი გავლენა ქართველ ტომებზე. მაგ., ჰეროდოტეს თქმით (მეხუთე საუკ. ქ. წ.), შავი ზღვის სამხრეთით მთებში მოსახლე ქართველ ტომების მიწაწყალი სპარსეთის მეცხრამეტე საგამგეო ოლქს წარმოადგენდა. მათს კულტურულ-ეკონომიურ გავლენაზე, რომელსაც ისინი ახდენდენ ქართველებზე, შემდეგ გვექნება საუბარი. მეოთხე

---

[1]) ასე მოუვიდათ რომაელებსაც: თავიანთი არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში (4-5 საუკ.) ისინი დაპყრობითმა პოლიტიკამ და გაბატონებამ დაპყრობილ ერებზე გადააჩვია შრომას, მთელი ერი— „რომის მოქალაქე"—სამარცხვინოდ სთვლიდა შრომას და მხოლოდ წანაგლეჯით, სპეკულიაციით ცხოვრობდა. როდესაც მას მოაწვა ბარბაროს გერმანელების მოჭარბებული მოსახლეობა, მან ვერ გაუძლო მოსულებს. ბოლოს, 476 წ. შ. რომის პოლიტიკურ არსებობასთან ერთად, მოისპო ერიც. მაგრამ ასე არ მოუვიდათ თანამედროვე გერმანელებს. 1918 წ. გერმანეთი ძლეულ იქმნა მოკავშირეთაგან. მრავალი ნადავლი გაიტანეს იქიდან თანამედროვე ყაჩაღებმა: ასე წარმოიდგინეთ, ძაღლები და მეწველი ძროხებიც კი გაიყვანეს გადასახადების სახით. მაგრამ ეს ხალხი უმაღლესი სამეურნეო და საწარმოო ტეხნიკის მქონეა. ამასთანავე გერმანიის პროლეტარიატი ძლიერია და გამსჭვალული მსოფლიო პროლეტარიატისადმი კლასობრივი სოლიდარობით და მთელი ქვეყნის პროლეტარიატი მხარს უჭერს მას. ამიტომ პროლეტარულ გერმანიის არსებობა უთუოდ უზრუნველყოფილია.

საუკუნეში ქ. წ. (332) მათს ბატონობას ბოლო მოუღო ალექსანდრე მაკედონელმა. მთელი იმ დროს ცნობილი ქვეყნიერება—მათ შორის სპარსეთიც—ალექსანდრემ თავის მონარქიათ აქცია. ალექსანდრეს მონარქიაც მალე დაიშალა და მის ნანგრევზე მრავალი პატარა და დიდი სახელმწიფო აღმოცენდა, მათ შორის პართელების სახელმწიფოც. პართელები კასპიის ზღვის სამხრეთით ცხოვრობდნენ. მათი სამეფო მალე გაფართოვდა და მესამე საუკუნეში ქრ. წინ სპარსეთის სახელწოდებით მთელი წინა აზია დაიჭირა. ამ დროიდან მათი გავლენა ქართველებზე უფრო ძლიერი გახდა. მათ ქართველებს თავიანთი ზნე-ჩვეულება და სარწმუნოება მოახვიეს თავს. სპარსეთის ტირანები ხშირად თავიანთი გვარიდან ქართველებს გამგეებსაც უნიშნავდენ.

ქართველები შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაპირებზე.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ასურელებთან ბრძოლებმა, მერე კიმერიელების გამანადგურებელმა ქარ-ცეცხლმა შინაური მეურნეობა ქართველებში სრულიად მოშალეს; ბოლოს ისინი იძულებულნი იყვნენ დაეტოვებიათ თავიანთი მიწაწყალი და მადნეულობის მაღაროები. ამას მივუმატოთ ახალი ბრძოლები ახალ ტერიტორიაზე და კიდევ საშინელი მკაცრი ჰავა წინანდელთან შედარებით, მიწის სივიწროვე, სიმწირე და ჩვენ დავინახავთ, რომ ყოველნაირი უარყოფითი პირობები მზად იყო იმისთვის, რომ ქართველები მთლად და სამუდამოდ თუ არა, ძლიერ და დიდი ხნით მაინც დაცემულიყვნენ. გარდა ამისა, ამ ბრძოლებს უთუოდ ხელი უნდა შეეწყო სოციალური უთანასწორობისათვის ქართველებში. ასეც მოხდა. გამუდმებულ ომიანობაში გაჩდნენ ნადავლით და ნაყაჩაღარით გამდიდრებული წრეები. ქონებრივად წელგამაგრებულმა წრეებმა და პირებმა ხელთ იგდეს ძალა-უფლება. გაჩნდა ტყვეებით ვაჭრობა, აქ კიდევ სარწმუნოების წარმომადგენლებმა ლოცვით და

ცოდნა-გამოცდილებით განამტკიცეს თავიანთი გავლენა. გაჩნდა სოციალური უსწორ-მასწორობა და ისედაც გალატაკებულ და გაველურებულს დაბალ წრეს შავი დღე ეწვია. უკმაყოფილება-აჯანჯღებები ხშირი იყო, ამას ჩვენ ცოტა ქვევით დავინახავთ, მოსინიკებს შორის ბრძოლის დროს.

მეოთხე საუკუნეში ქ. წ. (401 წ.) ჩვენს ქვეყანაში გაიარა თავისი ჯარით საბერძნეთის ცნობილ მეცნიერ-ისტორიკოსმა ქსენოფონტემ და აღწერა ქართველების მდგომარეობა თავის თხზულებაში „ანაბაზის“ ანუ „ათი ათასის დაბრუნება“. იმის მოწმობიდან ჩანს, რომ ქართველებს ამ ხანებში უცხოვრიათ შავი ზღვის სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთს ნაპირებზე—მდ. ჭოროხის ხეობაში და ზღვის გასწვრივ ქ. ტრაპეზუნდამდე (ამ ფარგლებში შედიოდა ქ. ტრაპეზუნდიც). აქ ეს ქართველები ძალიან ცოტათი ჰგავან მეათე-მერვე საუკუნეების ქართველებს—წინანდელი განვითარებული და კულტურული ცხოვრების მსგავსებაც კი არა ჩანს. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. ხალხი ქონებრივად განადგურდა, მას არც კი ახსოვს წინანდელი ფორმები მეურნეობისა, გაცვლა-გამოცვლისა; აქედან ბუნებრივი შედეგი: გაველურება, განადგურება. მაგალითად, მოსინიკები დაცემას, დატყვევნას და ცარცვა-გლეჯას უფრო მისდევდნენ, ვინემ მეურნეობას და სხვა რამე ხელობას. ისინი ზნეობრივადაც დიდ უსუსურობას იჩენდნენ. ქსენოფონტე მოგვითხრობს, რომ ამ ხალხს საზოგადოებაში თავი ისე უჭირავს, ვითომ მარტო იყოსო, მაგრამ როდესაც მარტოა, ის საუბრობს თავისთვის, იცინის, ცეკვავსო. სქესობრივი სირცხვილი მათ არ იცოდნენ. მართალია, ყველა ქართველი ტომები არ ყოფილან ასე დაქვეითებულნი, მაგრამ მსგავსება ხომ მაინც იქნებოდა ყველა მათში. აი რამდენათ უკან დასწია და გააველურა ქართველი ტომები ქონებრივმა გალატაკებამ, გამუდმებულმა ომებმა, მტრებისაგან ცარცვა-გლეჯამ, ახალ, უცხო ქვეყანაში გადმოსახლებამ და შიგნით ქონებრივმა უთანასწორობამ. ამ დროს დასავლეთელ ქართველების სამყოფელი ადგილი

ორ ნაწილად იყოფოდა. ერთი იყო ზღვის პირი; აქ, მართალია, სახნავ-სათესი ადგილი ცოტა იყო, მაგრამ რაც იყო, ძლიერ ნოყიერი და თავის მუშაკს უხვად აჯილდოებდა. აქ სამიმოსვლო საშვალებათ ზღვა იყო გამოყენებული და შესაძლო იყო მეთევზეობა. აქ ცხოვრობდნენ ტიბარენები (ტიბარი-თუბალი, იბერი), კოლხები და ნაწილი მოსინიკებისა (მეგ.-ჭანი.) ისინი მისდევდენ მიწათმოქმედებას და პური კიდევაც ბლომათ ჰქონდათ. ქსენოფონტეს იქ გასული წლის გაულეწავი პური ბევრი უნახავს—შარშანდელს ვხმაროობთ ჯერ კიდევო, უთქვამთ მისთვის. გარდა ამისა, ისინი მეთევზეობას, მესაქონლეობას და მეფუტკრეობასაც მისდევდენ.

ბერძნებმა ზღვისპირელი მოსინიკების (სანი-ჭანი) ოჯახებში დიდ ქილებში ჩადებულ-დამარილებული ზღვის ღორის ხორცი ნახეს. მის ქონს ძროხის ერბოს მაგივრად ხჭაროობდენ. მეფუტკრეობა ძლიერ გავრცელებული იყო იქ, ასე რომ ბერძენ ჯარისკაცებმა სიხარბით ისე ბლომათ მიირთვეს თაფლი, რომ დაითვრენ კიდეც და რამოდენიმე დღის განმავლობაში მათი გამოკეთების იმედი აღარ იყო. იქაურ ქართველებს ღვინო მოჰყავდათ, მაგრამ მეთერთმეტე-მეათე საუკუნეებში ქ. წ. თუ მათი ღვინო ყველგან ქებული იყო, ამ დროს უკვე მწყლარტე და უვარგისი ყოფილა. ცხადია, ბაღების გაშენება, ვაზის მოვლა და ღვინის დაყენება მათ უკვე დავიწყებული ჰქონიათ. სადგომი სახლები ხისა ჰქონდათ აშენებული, ორსართულიანი. წკნელიც უხმარიათ ამისთვის. ზედა სართულში თავისთვის და საქონლისთვის სანოვაგეს ინახავდენ, დაბლა კი თვითონ მთელი საქონლით ცხოვრობდნენ.

მეორე—მთა-გორიანი ადგილი იყო. აქ ნიადაგი მიწათმოქმედებისთვის სრულიად გამოუსადეგარი იყო. ბუნებრივ პირობებს კი დიდი გავლენა აქვს ადამიანის განვითარებასა და კეთილდღეობაზე. ეს გავლენა მით უფრო ძლიერია, რაც ხალხი განვითარების დაბალ საფეხურზე დგას. აი ამ მთებზე მობინადრე ქართველი ტომები: მოსინიკები (სანებ-ზანები, მეგრელ-ჭანების მონათესავე ტომები) ტაოხები (ტაოელი ქართველე-

ბი — ტაო-კლარჯეთი მდინარე ჭოროხის ხეობას ერქვა) მაკრონები (მეგრელი) და სხვები მეზობლების ნაცარცვით, ნანადირევით და ხის ნაყოფით ირჩენდნენ თავს. წაბლი და კაკალი იქ ბლომად იყო. წაბლს მოხარშულს ჭამდნენ, უფრო მეტად მას ახმობდნენ, ფქვავდნენ და მისგან გამომცხვარ პურით იკვებებოდნენ. საომარ იარაღათ ამ დროს ქართველები ხმაროობდნენ რკინის შუბს, ხანჯალს და ცულს, ტანზე სელის ჩაჩქანი ეცვათ, ფეხებზე — პაიქები და თავზე ჩაფხუტი ეხურათ, გვერდზე ხის ფარები — ხარის-ტყავგადაკრული. აქედან მაინც ცხადია, რომ მიწის დამუშავება, მესაქონლეობა, მეთევზეობა, მადნის დამუშავება და ლითონის ჩამოსხმა, ჭურჭლეულობის და იარაღის კეთება ქართველ ტომებს კიდევ ცოდნიათ.

საზოგადო ცხოვრება აქაც საგვარეულო წყობილებაზე იყო დამყარებული. სუფევდა სახალხო კრება, უხუცესთა საბჭო და მამასახლისის და მხედართმთავრის თანამდებობანი. ქართველმა ტომებმა ქსენოფონტეს და მის მხედრობას საქმე გაუჭირეს. მათს ვაჟკაცობაზე ბერძნები მოგვითხრობენ, მაგრამ სად იყო მათში წინანდელი შეგნება, შეგნება იმისა, რომ მტერს ერთობლივ უნდა გამკლავება, საჭიროა საერთო კავშირი; პირიქით, ისინი ცალ-ცალკე მოქმედობდნენ და ეს კიდევ ცოტაა, ერთი ნაწილი ერთისადაიმავე ტომისა მეორის საწინააღმდეგოთ ბერძნებს ეკედლებოდა იმ პირობით, რომ ბერძნებს ეშველნათ მოწინააღმდეგის დამარცხებაში. ეს იგივე მოსინიკები იყვენ. ერთს ნაწილს მოსინიკებისას ეჭირა ციხესიმაგრე. მეორე ნაწილის წარმომადგენელნი მივიდნენ ქსენოფონტესთან და აღუთქვეს უვნებლობა და სანოვაგის მიწოდება, თუკი ბერძნები უშველიდნენ მათ იმ სიმაგრის აღებაში. მათ უთხრეს, ვინც იმ გამაგრებულ ადგილს ჰფლობს, ის კიდევაც ბატონობს სხვაზეო, უსამართლოდ წაგვართვეს და გვინდა დავიბრუნოთო. ბერძნები დიახაც დაეთანხმებოდნენ ამაზე. მოსინიკებმა მათ ნავებით მეომრები გამოუგზავნეს. ომი მათ სასარგებლოთ დამთავრდა. სიმაგრეში იმყოფებოდნენ მამასახლისი და უხუცესთა საბჭო. მათ თავის წესისა და ადათის მი-

ხედვით სიმაგრეს თავი არ დაანებეს და შიგ გამოიწვენ. აქ ჩვენ ერთს ახალ მოვლენას ვამჩნევთ. საქმე ისაა, რომ ქართველებში ყოფილა ერთი-მეორის ჩაგვრა და ბატონობა არა მარტო წოდებრივი, არამედ ჯგუფობრივი, ტომობრივი. ერთი ჯგუფი, ერთი ტომი ბატონობს მეორეზე, ცარცავს მას. ამ ნიადაგზე გამუდმებული ბრძოლა იყო მათ შორის. ამ მოვლენას ჩვენ უფრო ნათლად დავინახავთ ქვემოთ, როდესაც კოლხებზე და იბერებზე გვექნება ლაპარაკი.

ტ ა ტ უ ი რ ო ბ ა.

მთელ სან-ჭანებში ხშირი იყო ტანის ფერადი წამლებით მოხატვა (ტატუირობა). ამ ჩვეულების მატარებელი ხალხი, რა დროსაც უნდა ცხოვრობდეს იგი ან სად, სულერთია, ველურ მდგომარეობაში იმყოფება. ამ დროს ომში დაკოდვა ვაჟკაცობის მიჩვენებელია და ამნაირი ჭრილობა ამკობს, ამშვენიერებს კიდეც თავის მატარებელს. გარდა ამისა, თვითეულ ჯგუფს—გვარს ესაჭიროება თავისი გარეგანი ნიშანი. ამ მხრივ ტატუირობა ნიშანია, დალია, თავისიანების გამოცნობის საშვალებაა. დროთა განმავალობაში ეს ჩვეულება სამკაულის მნიშვნელობას ითვისებდა და ამიტომ ეს ხელოვნების ჩანასახად უნდა იქნას ცნობილი. ამას გარდა, მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული, რომ ველურს ტანისამოსი არ ჰქონდა, ან თუ ჰქონდა, იმით ის იფარავდა მხოლოთ განსაზღვრულს ნაწილს თავის ტანისას, უფრო კი სხეულის სასირცხვო ნაწილებს.

სურათი № 11.

ადამიანის წინსვლასთან ერთად ეს ჩვეულება თანდათან იკარგება. ან კი რა საჭიროა ეს, როდესაც ადამიანმა ლაპარაკი კარგათ იცის, შეუძლია ოდნავად მაინც განყენებული აზროვნება, მაგ, მას შეუძლია წარმოიდგინოს ადამიანი ცალკე და მისი ღვაწლი, გმირობა—ცალკე. ამის გარდა, ის ტანისამოსით იფარავს მთელ ტანს. ველურობის შემდეგი

ეტაპი ბარბაროსობაა და ეს ჩვეულებაც ბარბაროსობაში არა ჩანს. მეათე-მერვე საუკ. ქ. წ. ეს ჩვეულება ქართველებში სრულიად არ იყო.



სურათი № 12
ველურის ტანისამოსი და ტატუირობა.

ქართველების გადმოსახლება ამიერ-კავკასიაში.

ჯერ ასურელების და შემდეგ კიმერიელთა შემოსევამ ქართველი ტომები კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს ტერიტორიალურად. თუ ერთი ფრთა ქართველ ტომებისა გაეშურა დასავლეთით შავი ზღვისაკენ, მეორემ ვანის ტბის და არარატის მიდამოებიდან გამოსწია დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოსაკენ.

ქართველები და სომხების წინაპრები ერთს ოჯახს — იაფეტიანთა შტოს — ეკუთვნოდენ, მაგრამ როდესაც ამ იაფეტელთა ერთ ნაწილში გაერიენ კიმერიელები, იქ აღრევა მოხდა ამ აღრევისაგან წარმოსდგა ახალი ხალხი, სომხობა, უკვე არა იაფეტიანთა შტოის, არამედ ინდო-გერმანულისა. ქართველ ტომების მიერ დატოვებული მიწაწყალი ნაწილობრივ ამ ახალმა ხალხმა, სომხებმა დაიკავეს. ვანის ტბისა და არარატის მთებიდან წამოსულმა ქართვე-

ლებმა **ქართების** სახელით დაიჭირეს დღევანდელი აღმოსავლეთი საქართველო. ქართველების მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ მრავალი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. დღევანდელი სამშობლოს—ამიერ და იმიერ საქართველოს—მკვიდრათ მათ ჩვენ ვხედავთ პირველ საუკ. ქ. წ. და შ. ვის ეჭირა დღევანდელი საქართველო ქართველების მოსვლამდე, ჩვენ არ ვიცით. მხოლოთ, რომ იმ ხანებში აქ სხვებს უცხოვრიათ, ეს ფაქტია. ისინი ქართველებს ზოგი ამოუწყვეტიათ, ზოგი გაუქართველებიათ და ზოგი კიდევ ჩრდილოეთით მთავარ კავკასიის ქედს იქით გადაურეკიათ. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ისინი ნატუხელების და ავარელების წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ (ეს უკანასკნელნი ლეკების მონათესავე ხალხია). ქართველების კვალი აქ დაახლოვებით მეათე საუკუნიდან ჩანს ქ. წ. ჩვენ ამ დროს ქართველებს სამხრეთში, შუა-მდინარესა და პონტო-კაპადოკიაში ვხედავთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ხალხის გადასახლება არა ერთს და ორ წელს, არა ათეული წლების, არამედ ასეული და მრავალ ასეული წლების განმავლობაში ხდება. ქართველების გადასახლების პროცესიც შორეულ ხნიდან დაწყებულა და გაგრძელებულა დაახლოებით ათასი წელი. ამ ხნის განმავლობაში ქართველების სვლა ჩრდილოეთისაკენ მრავალ ტალღებათ მომხდარა. პირველი ამ ~~ტალღათაგანი~~ აბხაზნი, სვანები, მოხეკენი, ფშავ-ხევსურნი ყოფილან. შემდეგ, ალბად, კოლხები დაძოულან, მერე ქართები და სხვა. კოლხებს დღევანდელი მტკვრის სათავეში გაუკეთებიათ თავიანთი ბინადრობა. შემდეგი ტალღა მესხებისა უნდა ყოფილიყო. ამ უკანასკნელთ კოლხები იქიდან გაურეკიათ. კოლხების ერთი ნაწილი წასულა ჩრდილო-დასავლეთით და მერმინდელი კოლხეთი დაუჭერია, მეორე ნაწილი კი აღმოსავლეთისაკენ დაძრულა. მათი ჩამომავლობა კახნი უნდა იყვნენ. დასავლეთ კოლხების დღეს არაფერი ჩანს. ცხადია, ის ტომი ან ამოწყვეტილა, ან გადაგვარებულა—გამეგრელებულა.

ქართველები ამიერ-კავკასიაში.

პირველ საუკუნეში ქ. წ. საქართველო აწერა ბერძენმა მეცნიერმა — სტრაბონმა. მაშინ საქართველოს დასავლეთი ნაწილი კოლხეთად იწოდებოდა. საზღვრები ასეთი ჰქონდა მას: ჩრდილოეთით — მთავარი კავკასიონის ქედი, სამხრეთით — მესხეთის მთები და ზღვის პირი ქ. ტრაპეზუნდამდე; აღმოსავლეთით — ქ. შორაპანი (ეს უკანასკნელი კოლხეთს ეკუთვნოდა), დასავლეთით — შავი ზღვა. ტრაპეზუნდიდან მოყოლებული ზღვის პირად დღესაც ცხოვრობენ ლაზები და ჭანები. ისინი მეგრელების მონათესავე ტომებია. მათი ენა მეგრულს იმდენად ჰგავს, რომ ამ ორი ტომის წარმომადგენელებს ერთმანეთის ენა ესმისთ. ახლა ლაზისტანი და სამეგრელო ერთმანეთს დაშორებული არიან, შუაში გურია, ქობულეთი და აჭარის ნაწილი ძევს.

შორაპნის გასწვრივ, სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზით, იწყებოდა იბერია. აღმოსავლეთით მას საზღვრავდა მდ. ალაზანი, ჩრდ. — კავკასიონის ქედი, სამხრ. — ერევნის მთები უნდა ყოფილიყო საზღვრად. სამხრეთ — საქართველო (ახალციხის, ახალქალაქის, არდაგანის, ართვინის მაზრები და აღმოსავლეთ ნაწილი ბათომის ოლქისა და ტაო-კლარჯეთი, მდ. ჭოროხის ხეობა) სამად იყო გაყოფილი ანუ განაწილებული: ერთი ნაწილი კოლხებს ეკუთვნოდა, მეორე — სამხრეთი ნაწილი — სომხებსა და აღმოსავლეთი კიდევ — იბერებს.

კოლხეთში მოსახლეობდა რამდენიმე ქართველი ტომი. კოლხები მიწათმოქმედებას მისდევდნენ. მოჰყავდათ პური, სელი, კანაფი; მისდევდნენ მეფუტკრეობას, აკეთებდნენ ცვილს. შინაური საქონლის მოშენება საკმაოთ ჰქონდათ განვითარებული. ნედლი მასალის გადამუშავება მათ კარგად იცოდნენ: მათი სელის ქსოვილებს უცხოეთშიაც დიდი სახელი ჰქონდა განთქმული. მიმოსვლა უცხოელებთან და ნაწილობრივ შიგნითაც გემებით უწარმოებიათ. ამისთვის ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ: ზღვა და მდინარეები და გემების საშენი მასალა ხეტყე. კოლხეთის სხვა ზოგიერთი ტომები (სვანები, ჰენიოხები)

მეურნეობის მხრივ და საერთოდ კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილნი იყვნენ. ჰენიოხები ცხოვრობდნენ ჩრდილო-დასავლეთ კოლხიდაში, იქ, სადაც კავკასიონის ქედი ზღვას უახლოვდება. ეს ადგილები გაგრა-ადლერის და სოჭის მიდამოებია. იქ ბარი ძალიან ცოტაა და ნიადაგიც მწირი. ასე რომ, ბუნებრივი პირობებიც არ უწყობდა ხელს მათ მიწათმოქმედებისათვის მიეყოთ ხელი; გარდა ამისა, კოლხეთში გაბატონებული ლაზ-მეგრელების ტომი სუსტს და მცირე ტომებს ხშირად თავს ესხმოდა და ავიწროებდა. ასეთ მდგომარეობაში იყვნენ, გარდა ჰენიოხებისა, აფხაზნი, აფშილები და სვანები. ყველა ისინი შერეკილნი იყვნენ მთებში, უვარგის ადგილებში. ყველა ეს მიზეზები აფერხებდნენ მათს ეკონომიურ ძალების განვითარებას და ამიტომ ისინი დაცემით და ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს. იბერიის მცხოვრებლები ორ ნაწილად იყოფოდნენ: ბარში და მთებში მცხოვრებლებათ. ბარში მცხოვრები იბერნი მიწის მუშანი იყვნენ, მესაქონლეობა და ხელოსნობა მათ ძლიერ განვითარებული ჰქონდათ. ამას ისიც ამტკიცებს, რომ სტრაბონის თქმით მათ კრამიტით დახურული მშვენიერი სახლები დგმიათ. ჰქონიათ ქალაქები და მოედნებზე კი საზოგადო დაწესებულებანი. მთის მცხოვრებ იბერებს უფრო თავდასხმისა და წაგლეჯაზე ეჭირათ თვალი.

საქართველოს სავაჭრო და სტრატეგიული მნიშვნელობა რომაელებისა და სპარსელებისათვის.

ამიერ-კავკასიაზე და, მაშ, საქართველოზედაც გადიოდა დიდი სავაჭრო გზა ევროპასა და აზიას შუა. ევროპელნი გაცნობილი იყვნენ აზიას დიდი ხნიდან. დასავლეთის კაპიტალს ბეჯითად ეჭირა თვალი ინდოეთისაკენ. ალექსანდრე მაკედონელმა (335—332 წ.) მთელი მცირე აზია, თურანი და ინდოეთი დაიპყრო. ის მთელს მაშინ ცნობილს აღმოსავლეთ ქვეყნებს დაეპატრონა. მაგრამ დასავლეთის სავაჭრო კაპიტალი ვერ აღმოჩნდა ისეთი ძლიერი, რომ ეკონომიურათ შეეერთებია

და შეეკავშირებია ყველა ეს ქვეყნები. ალექსანდრეს მონარქია დაინგრა. მის ნანგრევებზე ბევრი სხვადასხვა დიდი და პატარა სახელმწიფო ერთეულები აღმოცენდნენ. მაგრამ ალექსანდეს დაწყებული საქმე განაგრძო რომმა. ის გახდა მის მემკვიდრეთ. რომი ამ დროსთვის დიდ მსოფლიო იმპერიალისტურ სახელმწიფოთ იქცა.

სპარსეთმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ განადგურების შემდეგ თუჰცა იწყო წამობოგინება პართელების სახელმწიფოს სახელწოდებით, მაგრამ მაინც სუსტი იყო და რომს, რა თქმა უნდა, მეტოქეობას ვერ უწევდა. რომს გაჩაღებული ჰქონდა მიმოსვლა და გაცვლა-გამოცვლა აზიის შორეულ ქვეყნებთან. ინდოეთიდან ევროპაში მიდიოდა სპილოს ძვალი, ძვირფასი ქვები და ბუნების სხვა მდიდარი ნაყოფი; აგრეთვე სპარსეთიდან, თურანიდან და ამიერ-კავკასიიდანაც. მიმოსვლა წარმოებდა დღევანდელი ოსმალეთის და სპარსეთის გზითაც, მაგრამ იქ გაუვალი, ათასის ვერსის მანძილზე გადაჭიმული უდაბნოები უშლიდნენ ხელს ქარავანთა მიმოსვლას. ძველად, საუკეთესო სამიმოსვლო საშვალებათ ზღვები და მდინარეები ითვლებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ამიერ-კავკასია მოკლე გზას წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შუა. ეს გზა მიდიოდა ასე: ინდოეთიდან დღევანდელი ავღანისტანით და ბელუჯისტანით, თურანიდან მდ. სირ-დარია და ამურ-დარიას საშვალებით და მერე ხმელეთით კასპიის ზღვამდე. კასპიის ზღვიდან მდ. მტკვრით ჩვენს ხაშურამდე; აქედან სურამის უღელტეხილით ქ. შორაპნამდე მგზავრობა ოთხ დღეზე მეტს აღარ გრძელდებოდა. შემდეგ მდ. ყვირილით და რიონით ფოთამდე და ზღვით ევროპაში. ამ გზას, მიუხედავად დღევანდელი სამიმოსვლო საშვალებათა განვითარებისა და სუეცის ყელის გაჭრისა, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მსოფლიო მნიშვნელობა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ამ გზის მახლობლათ მცოვრებ ტომების წარმატებას,—ამან განავითარა საქართველოს მეურნეობა და ვაჭრობა. მათს ნაწარმოებს ფართე გასავალი მიეცა. ამრიგად, გაცხოველდა შემოტანა და გატანა ნაწარმოებთა. საგარეო აღებ-

მიცემობა და ურთიერთობა წარმოუდგენელია, თუ შიგნით არაა შესაფერისად მოწყობილი სამეურნეო და სამოქალაქო ცხოვრება. მართლაც, სტრაბონის მოწმობით, კოლხიდაში მდინარე რიონზე ას-ოცი ხიდი ყოფილა გაკეთებული. ამას ისიც მივუმატოთ, რომ ფოთიდან შორაპნამდე გემები დადიოდნენ. თუ არა მჭიდრო მოსახლეობა და ხშირი მიმოსვლა ურთიერთ შორის, აბა რა საჭირო იქნებოდა მიმოსვლის ამდენი საშვალებანი და ხიდები. ასე იყო გართულებული ქართველ ტომების ცხოვრება პირველ საუკუნეში ქრ. წ. და შემდეგ. ასეთ სამეურნეო და სააღებმიცემო მდგომარეობას თან სდევს ქონებრივი უსწორმასწორობა და სოციალური დაყოფა. გარდა ამისა, ტომობრივს ჩაგვრას ფარული ასპარეზი ეძლევა. მაგ., მეგრელ-აჭანები ავიწროებდნენ და ჩაგრავდენ აფხაზთ, სვანებს და სხვებს. ასე იყო იბერიაშიც. ამ ნიადაგზე ტომთა შორის უკმაყოფილებებს და ომებსაც ექნებოდა ადგილი. ამ დროს საგვარეულო წყობილება თუმცა შერყეულია, მაგრამ მისი სახე გარეგნულათ მაინც ხელუხლებელი რჩება. თვითეულ გვარს ან ტომს კიდევ ჰყავს თავისი მამასახლისი, უხუცესთა საბჭო, ან, როგორც ევროპელნი ეძახდნენ, სენატი და სახალხო კრება. მაგრამ მთელს მონათესავე ტომებში ერთი ტომი და მისი დაწესებულებანი ბატონობენ სხვებზე. ასე იყო, მაგ., კოლხიდაში; აქ გაბატონებული იყო მეგრელ-ჭანთა ძალა-უფლება და მათს მამასახლისს უცხოელები მეფეს უწოდებდენ. ამ მდგომარეობაში იღვიძებს სურვილი გამდიდრებისა და ამის საშვალებათ დაცემა და წართმევა მიაჩნიათ. თუ წინათ ომიანობა თავდაცვას ემსახურებოდა, ახლა იგი გამდიდრების საშვალებათ იქცა. კავშირი კიდევ სუფევდა მონათესავე ტომთა შორის, მაგრამ ზემოთქმულის გამო ის ირღვეოდა და კავშირის მაგივრად მათ შორის ხშირათ ომები ჩადგებოდა.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საქართველოს და მასზე გამვლელ სავაჭრო გზას მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა. ამავე დროს საქართველო სტრატეგიულათაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. ახლა უკვე პირისპირ იდგა ორი ძლიერი სა-

მეფო: რომი თავის სიძლიერით და სპარსეთი—ჯერ კიდევ არა ძლიერი, მაგრამ მაინც საგრძნობი მეტოქე რომისა; ამ სახელმწიფოთა შორის იყო გაყოფილი გავლენა და უფლება აღმოსავლეთში. ერთსაც ჰქონდა იქ სამფლობელოები და მეორესაც. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით ორივეს ძლიერ აინტერესებდათ. საქმე ისაა, რომ კავკასიონის მთავარ ქედს იქით, ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ ველურები: ხაზარნი და მთებში მობინადრე სხვა ტომები, რომელნიც თავიანთ ცხოვრებით მტაცებელთა ბანაკს წარმოადგენდენ. მათი ქვეყნიდან ორი გადმოსავალი გზა იყო: დარიალის ხეობა და დარუბანდი (დერბენტი). სხვა პატარა გადმოსავლები მაშინ უცნობნი იყვნენ. მათს ქვეყანას ზედ ეკრა ქართველთა მიწაწყალი (ალაზნის აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე ალბანია იდვა. ეს ქვეყანა, თუ მთლად არა, ნაწილი მაინც, ქართველთა მონათესავე ტომით იყო დასახლებული). ასე რომ იმ ჩრდილოელთა დაკავება მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ. როცა საჭირო იყო, ქართველებს შეეძლოთ გადმოეშვათ ისინი და მათთან ერთად ვამგზავრებულიყვნენ სანავარდოთ და საცარცავად. ვისი ქვეყნები და ქვეშევრდომნი უნდა აეწიოკებიათ მათ? რასაკვირველია, ან სპარსელების, ან რომაელების. ამას დაუმატოთ სავაჭრო გზების და ზღვისპირული ქალაქების მნიშვნელობა, და ნათელი გახდება, თუ რა სარგებლობას მოუტანდა საქართველოზე გაბატონება როგორც ერთს, ისე მეორე სახელმწიფოს. ამიტომ იყო, რომ ჯერ სპარსელები და მერე რომაელები ყოველს ღონისძიებას მიმართავდნენ, ოღონდ საქართველოზე ბატონობა მოეპოვებიათ.

რომაელებზე ადრე სპარსელებმა სცადეს ეს და კიდევაც საგრძნობ შედეგებს მიაღწიეს. სპარსელები აწარმოებდნენ ორნაირ ბრძოლას საქართველოს დასაპყრობად: ფიზიკურს—იარაღით ხელში, და კულტურულს. მათ ამ დროს, ალბათ, კარგათ იცოდნენ, რომ მარტო ფიზიკურად დაპყრობა ხანმოკლეა, დაპყრობილი, როგორც დროს იშოვის, თავს გაითავისუფლებს. ამიტომ მათ გაავრცელეს ჩვენში თავისი სარწმუნოება. საზო-

გადოთ, კულტურა, როგორც ადგილობრივი, ისე გარედან შემოსულიც, სარწმუნოება იქნება ის თუ ადათი და ზნე-ჩვეულება, ყოველთვის კლასობრივია, ის ერთს რომელიმე კლასს ხელს უწყობს თავისი კლასობრივი ინტერესების დაცვასა და გამაგრებაში., მაგ., ქრისტიანობა პირველად დაჩაგრული კლასის სარწმუნოება იყო. მაშინ მას დაბალი კლასი და დაპყრობილი ერები აღიარებდნენ, მერე ის გაბატონებული კლასის იარაღი გახდა. მის შემდეგ მას უმაღლესი წოდება დაეპატრონა და დაბალი წრეების დასაჩაგრავად გამოიყენა. სპარსელების მიერ აქ შემოტანილი სარწმუნოება—მაზდეიანობა—არისტოკრატიის სარწმუნოება იყო. ჩვენ კიდევაც ვხედავთ, რომ მაზდეიანობას ფეხი მოუკიდებია ქართველ დიდკაცობაში; დაბალი ხალხი ისევ ძველებურად მთვარეს, მზეს და სხვა მნათობთ სცემდა თაყვანს. სპარსელებმა თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლათ მესამე საშვალებასაც მიმართეს: ისინი ქართველებს უნიშნავდნენ თავის მომხრე მმართველთ, ქართველი იქნებოდა ეს თუ სპარსი. სპარსეთის მეფეები და დიდკაცობა ენათესავებოდნენ ქართველებს ქალების შერთვა-მითხოვების საშვალებით.

რომის იმპერიალიზმს არ შეეძლო მხედველობიდან გამოეშვა საქართველოს სავაჭრო გზების და ქალაქების მნიშვნელობა; არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია აგრეთვე მისი სტრატეგიული მნიშვნელობისთვის. მაშ, რომის გაბატონება საქართველოზე აუცილებელი იყო. მხოლოთ ეს დააჩქარა შავი ზღვის სამხრეთით მდგომარეობის გართულებამ: პონტოს სამეფო უკანასკნელ ორ საუკუნეში ქ. წ. ძალიან გაძლიერდა და წინ გადაეღობა რომის იმპერიალიზმს და ხელს უშლიდა აღმოსავლეთში მისს გაბატონებას. რომი ამ დროს, როგორც ნათქვამი გვაქვს, დიდს იმპერიალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისმა დაპყრობითმა პოლიტიკამ გავლენა იქონია თვით რომის შინა-მეურნეობაზე. სიცილიისა და აფრიკის დაპყრობის შემდეგ რომში პური ისე გაიაფდა, რომ წვრილ მეურნეებს არ შეეძლოთ მეტოქეობის გაწევა შემოტანილ პურისთვის. მოიშალა წვრილი მეურნეობა. ამავე დროს სხვადასხვა დაპყრობილ

ქვეყნებში მექრთამეობით, იჯარით და სხვა მცარცველობით მდიდრდებოდნენ რომის არისტოკრატები. მათ ამ გალატაკებულ წვრილ მეურნეთა მიწები შეიძინეს და ამრიგად წარმოიშვა, წვრილი, გლეხური მეურნეობის მაგივრად, მსხვილი, მონური მეურნეობა, ე. ი. აქ სამუშაო ძალას მონები წარმოადგენდნენ. მაგრამ პურის მოყვანა შიგნით იტალიაში მაინც არ შეიქმნა ხელსაყრელი და ამიტომ დაიწყეს სხვადასხვა ფუფუნების საგნების მოწევა და კეთება. ამ ახალ დარგის ნაწარმოებს ახალი ბაზარი სჭირდებოდა. ამას დავურთოთ რომის მტაცებლობითი პოლიტიკა. აი ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ახალი ქვეყნების დაპყრობა. რომის კაპიტალმა პომპეუსის სახით მიიტანა იერიში პონტოს სახელმწიფოებზე და სძლია მას. ამის შემდეგ პომპეუსს დაუდგა ხელსაყრელი დრო, დაპატრონებოდა ახალ ბაზარს—საქართველოსაც—და ამით შეექმნა საფარი ჩრდილოეთის ველურებისაგანაც. იბერებმა მცირე წინააღმდეგობის შემდეგ ზავი შეჰკრეს პომპეუსთან და მთელი ეს ქვეყანა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე რომს ჩაუვარდა ხელში. ეს იყო ქრისტეს წინ 65 წ. ამის შემდეგ ქართველობაში უფრო გაიდგა ფეხი წოდებრივობამ. მაღალ წოდებაში გაღვივდა და გაჩაღდა მადა გამდიდრებისა, რომის ფუფუნების საგანთა შეძენისა და სხვა. რომაელი პროპრეტორები, პროკონსულები და მოიჯარადრენი ტყავს აძრობდნენ დაპყრობილ ერებს. ისინი პირველად ქართველებსაც ასე ეპყრობოდნენ და ამიტომ ეს უკანასკნელნი მრავალჯერ აუჯანყდნენ რომაელებს, მაგრამ ყოველთვის ძლეულ იქმნენ. ბოლოს ქართველი დიდკაცობაც შეურიგდა რომს და ამით უკანასკნელის გავლენა და ბატონობა ქართველებზე დიდის ხნით გამტკიცდა. სპარსელებიც გულგრილად ვერ შეხედავდნენ ამ მოვლენას, მაგრამ მათი განუვითარებელი სამეურნეო ძალები და მოუწყობელი საზოგადო ორგანიზაცია ნებას არ აძლევდა რომის წინააღმდეგ გამოლაშქრებულიყვნენ. ეს მათ შემდეგ შესძლეს.

საგვარეულო წყობილებამ საქართველოში ზემოთქმული მიზეზების გამო იწყო რღვევა, მაგრამ ასეთი მეტამორფოზა

(გარდაქმნა) საზოგადო წყობილებისა მაინც დიდ დროს მოითხოვს. შემდეგ ვნახავთ, რომ ამ პროცესმა—საგვარეულო წყობილების დარღვევამ—არა ერთი ასეული წლები გასტანა.

ამ დროს მიწა იბერიაში გვარს ეკუთვნოდა. მის მეურვეთ და გამგეთ იყო გვარის უფროსი—მამასახლისი, რომლის უფლებები უკვე მემკვიდრეობითი გახდა. ასე იყო ქალაქებშიაც. თვითეული სოფელი საგვარეულო ერთეულს წარმოადგენდა. მათ შორის საზღვარი იყო, რომლის გადალახვას შეეძლო ომიც გამოეწვია. საგვარეულო წყობილების ნაშთებმა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჩვენს დრომდეც კი მოაწია. მაგალითად, სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში და სხვა მთიულებში მრავალრიცხოვანი ოჯახები დღემდეც შენახულია. უფროსს იქ დიდის პატივით და კრძალვით ეპყრობიან. მათ საერთო სალოცავი და დღესასწაულები აქვსთ. შურისძიება ჯერ კიდევ არის ამ ტომებში დარჩენილი. გვარის ერთი წევრის შეურაცხყოფა მთელი გვარის შეურაცხყოფაა. ამის შესახებ მსჯელობს მთელი გვარი. იგი აწარმოებს მოლაპარაკებას დამნაშავის გვართან. შერიგება ხდება სასყიდლის აღებით, რასაც, მაგ., სვანები „სისხლს“ უწოდებენ. „სისხლს“ იღებს როგორც შეურაცხყოფილისან მოკლულის ოჯახი, ისე აგრეთვე ახლობელი ნათესავებიც. აზნაურის სისხლის ფასი გაცილებით მეტია უბრალო სვანის „სისხლის“ ფასზე. თავადის—კიდევ მეტი. თუ მტრულად განწყობილ გვართა შორის შერიგება არ მოხდა, მაშინ მაგიერი სისხლი—მოკვლა მკვლელისა—უეჭველია. მაგრამ მკვლელი თუ მოკვდა-თავისთავად, ან გადასახლდა სხვაგან, იგივე ბედი მოელის მისს ახლობელ ნათესავს. ამგვარად, იმ შორეული წასულის საგვარეულო წესი ჩვენს მთიულებს თითქმის დღემდეც შეუნახავსთ.

მცხეთის სამამასახლისო.

ივერიაში, გარდა აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო გზისა, გადიოდა მეორე დიდი გზა სამხრეთიდან ჩრდილოეთში. ეს გზა მოდიოდა სომხეთიდან და სპარსეთიდან, გაიარდა

მტკვრის და არაგვის შესართავს და უკანასკნელის ხეობით მიდიოდა ჩრდილოეთში. ეს იგივე საქართველოს სამხედრო გზაა. ამრიგად, არაგვის შესართავთან თავს იყრიდა რამოდენიმე დიდი გზა. ამ სავაჭრო გზათა ჯვარედინზე იყო გაშენებული ქალაქი მცხეთი ანუ მცხეთა. მცხეთა საქონლის საწყობი და სავაჭრო პუნქტი იყო. აქ მრავალი უცხოელი ვაჭარი და ხელოსანი ბინადრობდა. ყველა ისინი ბაჟს იხდიდნენ. ამ ბაჟის პატრონი მცხეთის მამასახლისი იყო. მცხეთის გარშემო მცხოვრებ გვარსაც დიდი შემოსავალი ჰქონდა; ამიტომ ეს გვარი და მისი მამასახლისი სხვებზე მაღლა იდგნენ: ისინი ბატონობდნენ მთელ იბერიაზე. მცხეთის მამასახლისს ამ დროს მეუფეს ეძახოდნენ, უცხოელები კი მეფეს (რექს, ბასილევს). მამასახლისი წლოვანებით ყველაზე უფროსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უთუოდ ერთი გვარიდან ირჩეოდა. ამრიგად, ეს გვარი მოგვაგონებს მერმინდელ სამეფო დინასტიას. წლოვანებით მისი მომყოლი და ამავე დროს სიმამაცით და გამჭრიახობით განთქმული პირი ძხედართმთავრად და მთავარ მსაჯულად ირჩეოდა. მონათესავე ტომებთან და ზოგჯერ უცხოელებთანაც დამოკიდებულების საქმე ქურუმების ხელობა იყო; მათ გვერდით უხუცესთა საბჭო სუფევდა და ის საზღვრავდა პირველთა უფლებებს. მთავარი სუვერენობის (უმაღლესი უფლება) მატარებლათ ისევ სახალხო კრება დარჩა.

სამხედრო წოდება ჯერ კიდევ არ იყო. დღევანდელი მიწის მუშა ან ხელოსანი ხვალ, თუ საჭიროება მოითხოვდა, მეომარი ხდებოდა, ომის გათავების შემდეგ კი ისევ თავის ხელობას უბრუნდებოდა. იყო ოთხი წოდება: 1) უმაღლესი, საიდანაც ირჩევდნენ მამასახლის-მეუფეს და მხედართმთავარს, 2) სამღვდელოება (ქურუმები), 3) მიწის მუშები, მწყემსები, ხელოსნები და 4) საჰეუფო ყმები. ყმები მარტო სამეუფო გვარს ჰყავდა და შესაძლოა, ისინი სამხედრო ტყვეები ყოფილიყვნენ; ისინი არჩენდნენ მამასახლის-მეუფეს და მხედართმთავარს.

უცხოელები ხშირად ქართველების შინაურ, ოჯახურ საქ-

მეებში ერეოდნენ. არა იშვიათი იყო, რომ ისინი ქართველ ტომებს ისეთს რასმე ჩაადენინებდნენ, რაც ქართველების მეურნეობისა და წარმატებისათვის დამღუპველი იყო, მაგრამ მათთვის კი ხელსაყრელი; ასე, მაგ., პირველ საუკუნის პირველ ნახევარში ქ. შ. (35 წ.) რომაელებმა მცხეთის სამამასახლისო გვარს, რომელსაც ყაჩაღობასა და დაცემაზე ძალიან ეჭირა თვალი, სომხეთის დაპყრობა დააკისრეს. ამით რომაელებს ქართველების ხელით პართელების (სპარსელების) დასუსტება უნდოდათ. ამასთანავე აღსანიშნავია, თუ როგორ იცნობს სული სულს და გული გულს. საქმე ისაა, რომ რომის და საქართველოს არისტოკრატებმა და ბჟუროკრატებმა იცნეს ერთმანეთი და ძმური ხელი გაუწოდეს ერთი-მეორეს. მათ შორის მეგობრობა დამყარდა. დიახაც ასე უნდა ყოფილიყო: ისინი საერთო ძალით ჰყვლეფდნენ ქართველ მშრომელთ. ქართველი მეფე თავისი მხლებლებით სტუმრადაც კი დაბრძანდებოდა თურმე რომში, იქ მათ დიდს პატივს სცემდნენ და საპატიო ნადიმებს უმართავდნენ. რომის მეფე და ქართველი ბატონები ერთმანეთს საჩუქრებს უგზავნიდნენ თავიანთ ქვეყნებიდან, მაგრამ რომის კეისარს აბა რაში მოეწონებოდა ქართველის ძღვენი. კიდევაც, როგორც ერთი მაშინდელი რომაელი ისტორიკოსი მოგვითხრობს, ადრიანე კეისარს (მეორე საუკუნეში) მცხეთის მამასახლისის ძღვენი—ოქროთი შემკული წამოსასხამი—სასაცილოთ აუგდია. აქედან აშკარაა, რომ რომის ბჟუროკრატები და კაპიტალისტები ქართველ მამასახლისებს ეფერებოდნენ არა მოყვრობისათვის, არა გულწრფელად, არამედ თვალთმაქცობით, რომ უფრო ერთგული აგენტები ჰყოლოდათ თავიანთი მიზნების განსახორციელებლათ. მესამე საუკუნის დასაწყისში პართელების (სპარსელების) შინაწყობილება, მეურნეობა და ვაჭრობა განვითარების გზას დაადგა. ამ ახალ მიმართულებას სათავეში უდგნენ სასანელთა გვარის მეფეები. ამის შემდეგ სპარსეთი მედგარს მეტოქეობას უწევს რომს; რომი და სპარსეთი მედგრად შეებრძოლენ ერთმანეთს. სპარსეთის მეფემ მოინდომა

რომაელების გარეკა საქართველოდან და თავისი ბატონობის განმტკიცება, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა და საქართველო ისევ რომის „მფარველობის“ ქვეშ დარჩა. (ნიზიბის ზავი 298 წ.).

ქართველების უძველესი სარწმუნოებრივი შეხედულებანი.

პირველ თავში, როდესაც სარწმუნოების წარმოშობის შესახებ ვლაპარაკობდით, დავინახეთ, რომ თვითეულ გვარს თავისი განსაკუთრებული, ტოტემიური ღვთაება ჰყავდა. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ როდესაც გვარებისაგან შესდგა ტომი, სარწმუნოებრივი შეხედულებებიც ამის შესაფერისად შემუშავდა და მთელ ტომში გაბატონდა ერთი ღვთაება. ტომში ეკონომიურად და, მაშასადამე, პოლიტიკურადაც ყველაზე ძლიერი და გავლენიანი გვარის ღვთაებამ დაიპირა პირველი ადგილი დანარჩენი გვარების ღვთაებათა შორის. ეს უკანასკნელნი წარმოდგენილი ჰყავდა ხალხს, როგორც ნახევარ-ღმერთები — „გმირები“. ჩვენ ვეცნობით ისტორიაში ქართველ ტომებს იმ დროს, როდესაც ისინი ცხოვრობდნენ გვარებათ და ტომებათ. ამიტომ, უეჭველია, ქართველ ტომებს უნდა ჰქონოდათ შემუშავებული ისეთივე სარწმუნოებრივი შეხედულებანი, როგორიც შეეფერებოდა განვითარების ასეთ საფეხურზე მდგომ ხალხს. გავეცნოთ ამ საკითხს უფრო ახლოს. ქართველ ტომების უძველეს სარწმუნოებათ ცნობილი არის მნათობთა თაყვანისცემა. მნათობებს თაყვანს ცემდენ ქართველები არა მარტო მცირე აზიაში ბინადრობის დროს, არამედ, როგორც სტრაბონი მოგვითხრობს, ამიერ-კავკასიაშიც, პირველ საუკუნეებში ქრისტეს შემდეგ.

ყველაზე უფრო მეტ პატივისცემაში ჰყავდათ მთვარე. ის იყო ქართველების მთავარი ღვთაება. ქართველები თაყვანს ცემდნენ აგრეთვე მზეს და ცა-ღრუბლის ღვთაებას— „ვობი“-ს და სხვა მნათობებს. მზეს, ვობის, მთვარესთან შედარებით მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა. სარწმუნოებაში

ყოველთვის იხატება ხალხის ჭირ-ვარამი და ყოფა-ცხოვრება. გვარის უფროსის წინაპართა თაყვანისცემა, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეიცვალა ცხოველებისა და მცენარეებისადმი თაყვანისცემით, ესე იგი, ადამიანმა გააღმერთა ის, რაც მის არსებობას და კეთილდღეობას ხელს უწყობდა. აი, სწორეთ მთვარეც გამოხატავს მაშინდელ ქართველების ყოფა-ცხოვრებას და მეურნეობის მდგომარეობას. იმ დროს მთვარის ღვთაების ქანდაკებას რქებს უკეთებდნენ. ეს ფაქტი აშკარად ამტკიცებს იმას, რომ თავდაპირველათ მთვარე მეჯოგეობის მფარველი და ხელის შემწყობი ღვთაება ყოფილა. იმ ადგილებში, სადაც უძველეს დროში ქართველებს უცხოვრიათ (შუამდინარე, მცირე აზია), ჯოგზე ცუდათ მოქმედებდა მზის სიცხე და ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ჯოგს საძოვრათ ღამით გამორეკავდნენ მინდორში. ღამით კი მთვარე ანათებდა და მით დიდ სამსახურს უწევდა მეჯოგეებს. ამიტომ იყო, რომ მეჯოგეები მთვარეს არამც თუ დიდის პატივისცემით ეპყრობოდენ, არამედ მას ღვთაებრივი ძალაც კი მიაწერეს. მთვარე ქართველებს მამაკაცად მიაჩნდათ და ეს ადვილი გასაგებია: მესაქონლეობა მამაკაცის ხელობა იყო. ამიტომ ის, როგორც მამაკაცის ხელობის ხელის შემწყობი და მფარველი, ქართველი ხალხის წარმოდგენაში მამაკაცად ითვლებოდა. მთვარის საპატივცემლოთ ქართველ ტომებში უქმობდენ განსაკუთრებულ დღეს—ორშაბათს. ამ დღის აწინდელი სახელწოდება „ორშაბათი" უფრო გვიან—ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ—შემოვიდა ხმარებაში. ძველად მას ყველა ქართულ დიალექტებში „მთვარის დღეს" უწოდებდენ. ამ სახელწოდების გამოცვლა ქართულ სამწერლობო ენაში მოხდა. სხვა ქართულ არასამწერლობო დიალექტებში ხელუხლებელი დარჩა ძველი წარმართული სახელწოდება დღეებისა. მაგალითად, მეგრულში, სვანურში და ჭანურში. მეგრულად ორშაბათს „თუთაშხა" ჰქვიან, რაც მთვარის დღეს ნიშნავს. ეს მთვარის დღე (ორშაბათი) იყო უმთავრეს ღვთაებისთვის განკუთვნილი საზოგადო უქმე დღეთ კვირაში. ამ დღეს მთვარეს, სტრაბონის ცნობით,

პირველ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ იბერიაში მსხვერპლად ადამიანსაც სწირავდენ. მისი ადგილი შემდგომ კვირამ დაიჭირა.

მეორე ღვთაება იყო მზე. ის ხელს უწყობდა ადამიანს 2 მცენარეულობის მოყვანაში, ხოლო უძველეს დროში მცენარეების მოყვანა და საერთოდ მიწადმოქმედება დედაკაცის საქმე იყო და ჯგუფში უფროსობაც მას ეკუთვნოდა; ამიტომ მზე, როგორც დედაკაცის შრომის დამცველი, ქართველ ტომებს მიაჩნდათ დედაკაცად. მზის საპატივცემლოდაც, შვიდ დღეში ერთს დღეს — „კვირას“ — უქმობდნენ. სახელწოდება „კვირა“ ხმარებაში უფრო გვიან უნდა იყოს შემოსული. ძველად მას „მზის დღეს“ უწოდებდენ, მეგრულად კვირას ახლაც „ჟაშხა“, სვანურად „მიჟლადეხ“ ჰქვიან, რაც ქართულად ნიშნავს მზის დღეს. ხმელეთის ყველა საქმეები მზეს ეკითხება. აქედან ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ პირველათ მზის გავლენა და მნიშვნელობა უფრო ვიწრო ფარგლებში მოქმედობდა, ხოლო შემდგომ მისი მნიშვნელობა გაზრდილა და ცხოვრების სხვა მხარეებსაც შეჰხებია. მაგრამ მთვარესთან შედარებით მას მაინც მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა.

მესამე არის ცა-ღრუბლის ღვთაება „ვობი“. ის განაგებდა ბუნების ძალებს: წვიმა-სეტყვას და ელვა-ქუხილს და მათს მოქმედებას აძლევდა ადამიანისათვის ხელსაყრელ მიმართულებას. ამ ღვთაებისათვისაც იყო გადადებული კვირაში ერთი დღე. მას ახლა პარასკევს ვუწოდებთ და მაშინ კი „ვობის დღე“ ერქვა. მეგრულად მას ახლაც „ობიშხა“, სვანურად კი „ვებიშ“ ჰქვიან და ნიშნავს ვობის დღეს.

სხვა ღვთაებათა წარმოშობისა და მნიშვნელობის განხილვას ჩვენ აქ არ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ, სარწმუნოების წარმოშობის მიზეზები წმინდა პრაქტიკული ხასიათისა იყო და მასთან მისი (სარწმუნოების) შინაარსი ყოველთვის იცვლებოდა წარმოების წესის განვითარებასა და შეცვლასთან ერთად. ასეთია, სხვათა შორის, ქრისტიანობის ისტორიაც, რომელსაც ჩვენ ქვემოთ გავაცნობთ მკითხველს. მნათობთა თაყვანისცემის კულტის საქ-

მე განსაკუთრებული წოდების—ქურუმთა ხელში იყო. ისინი აკვირდებოდენ მნათობთა მოძრაობას და ამით არკვევდენ მეურნეობის საჭირო მომენტების მოახლოებას; მაგალითად, თევზის ჭერისა და თესვის დროს. ამ დაკვირვების ნიადაგზე ქართველ ტომებში ძალიან ადრე განვითარდა ვარსკვლავთმრიცხველობა (ასტრონომია) და ყამთმრიცხველობა (დროს დაყოფა წელიწადებათ, თვეებათ, კვირეებათ, დღეებათ და საათებათ). ქართველ ტომებს შორის წმინდა ეროვნული კულტის (მნათობთა თაყვანისცემის) გვერდით ფეხი მოიკიდა უცხოეთიდან შემოსულმა სარწმუნოებამ—მაზდეიანობამ. პირველ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ მაზდეიანობის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) მთავარი ღმერთის—აჰურა-მაზდას—სახელზე იყო აგებული ტაძარი მცხეთის მახლობლად მთის წვერზე და ამ ტაძრის გარშემო—ციხე-ქალაქი არმაზი.

მწერლობა და ხელოვნება.

ჩვენ ახლა უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა იაფეტელ ტომთა უძველეს მწერლობისა და ხელოვნების შესახებ. ყველა იაფეტელ ტომებს მწერლობა განვითარებული ჰქონიათ. ცნობილია თავისი ლურსმული მწერლობით ქარ თველების უძველესი ქალაქი ვანი. დარჩენილია აგრეთვე იაფეტელ მოდგმის ხალხის ხეტების მრავალი ხატოვანი (იეროგლიფული) წარწერები; მათგან წაკითხულია დღემდე მხოლოდ ერთ ბეჭედზე ამოჭრილი წარწერა. ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა ტაბალებს და მუსკებს მწერლობა. მაგრამ შეუძლებელია, განვითარების ამ დონეზე მდგომ ტომებს მწერლობა არ ჰქონებოდათ. თუ დღემდე ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოება, ეს მხოლოდ მით აიხსნება, რომ ჯერ არ არის მონახული მათი მწერლობის ნაშთები.

სურათი 13.
ხეთური ბეჭედი.

ჩვენ ვპოულობთ ამ დროს ქართველ ტომებში აგრეთვე ხელოვნების ჩანასახსაც. მცირე აზიაში მობინადრე ტომები სახლების ასაშენებელ მასალად და ქანდაკების გასაკეთებლათ ქვას ხმარობდენ. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე მცხოვრები ქართველი ტომები ხისაგან აშენებდენ სახლებსა და კოშკებს, რადგანაც იქ ტყე ბლომად იყო და იაფათ ჯდებოდა. სახლების ზედა სართულში სანოვაგეს ინახავდენ, ხოლო ქვედაში თვითონ ცხოვრობდენ. იმავე ტომებს მიუვალ გორებსა და კლდეებზე ციხე-ქალაქები ჰქონდათ აშენებული. ციხე-ქალაქებს შემოვლებული ჰქონდა თხრილი და ხის კედელი. ამ ციხეებს მათვის წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა: მტრის შემოსევის დროს ხალხი თავს აფარებდა ამ ციხეებს. სტრაბონი მოგვითხრობს, რომ პირველ საუკუნეში ქრ. შემდეგ ქართველებს კარგათ მოწყობილი ქალაქები ჰქონდათ, სადაც შენობებს ხუროთმოძღვრების წესის მიხედვით აგებდენ; სახლებს კრამიტით ხურავდენ და მოედნებს კი საუცხოო საზოგადო დაწესებულებების სახლები ამშვენებდნენ. აი რას წარმოადგენდა ქართველების უძველესი კულტურის ნივთიერი და სულიერი განძი.

ყველა ზემოთ მოყვანილი ცნობები ახასიათებენ ჩვენს წინაპრებს, როგორც ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე მდგომ ტომებს.

მაგრამ მარტო ქართველ ტომებს როდი გაუვლიათ თავის ხანგრძლივი არსებობის გზაზე ის საფეხურები, რაც ჩვენ მიერ ზემოთ იყო ნათქვამი; ისტორიულ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ყველა კულტურულ ერებს ახასიათებდა ასეთი საზოგადოებრივი ვითარება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზოგიერთმა ეს უფრო ადრე განიცადა, ზოგიერთმა უფრო გვიან: ბერძნებმა ეს ხანა განვლეს დაახლოვებით მეათე საუკუნემდე ქრ. წინ; ეს დრო ცნობილი არის ისტორიაში „ჰომიროსის ეპოქად;“ რომაელებმა—მეექვსე საუკუნემდე, ხოლო გერმანელებმა—პირველ საუკუნეებში ქრისტეს შემდეგ.

ქრისტიანობა.

რომის დაპყრობითმა პოლიტიკამ და მცარცველობამ საშინლად დააბეჩავა როგორც რომის გლეხობა, აგრეთვე დაპყრობილი ქვეყნებიც. თვით რომაელი გლეხი ხშირად სტოვებდა თავის საშობლოს და „თავისუფლებას“ და ბარბაროსების ბანაკში გადადიოდა, რომ გადასახადები და უსამართლობა მოეშორებია თავიდან. ეს საერთო მოვლენა იყო და რომის დაცემას მოასწავებდა. უფრო საშინელი მდგომარეობა იყო დაპყრობილ ქვეყნებში. იქ ადგილობრივი ყაჩაღები (მდიდრები) ურიგდებოდნენ რომის მცარცველებს და ორივენი ერთად ათასნაირად აძრობდნენ ტყავს საწყალ ხალხს. არავინ იყო უზრუნველყოფილი მონობისა და ცოლშვილიანათ უცხოეთში გაყიდვისგან. ასეთი უმწეო მდგომარეობა მით უფრო ღრმავდებოდა, რამდენათაც იზრდებოდა ხალხის მტერთა მადა გარყვნილებასა და ფუფუნებისადმი. მრავალ აჯანყების და დამარცხების შემდეგ ხალხი სულიერად ეცემოდა, მას ხსნის იმედი ეკარგებოდა. ის ჰფიქრობდა, რომ ვეშაპ რომის და მტაცებლების კლანჭებისაგან მისი ხსნა უბრალო მოკვდავთ არ ძალუძთ. ხალხში ფეხი გაიდგა ცრუმორწმუნეობამ—სასწაულებისადმი მიდრეკილებამ. მისთვის აუცილებელი გახდა გაჩენილიყო ზეკაცი და ამ ცოდვილ მიწაზე დაემყარებია „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ებრაელები ამნაირ ზეკაცათ მესიას თვლიდნენ. ყველა სხვა მესიებთაგან იესებ ხუროს შვილმა იესომ მოიხვეჭა მეტი გავლენა და მნიშვნელობა. მას მეტ სახელად ქრისტე დაარქვეს, რაც ცხებულს, ღვთის ნაკურთხს ნიშნავს. განსაზღვრულმა წრემ მას ღვთის შვილობაც მიანიჭა. ამრიგად ხუროს შვილი, აწ უკვე ღმერთ-კაცი და მესია (ქრისტე) გახდა გაყვლეფილთა და დაპყრობილთა მხსნელად, მან კიდეც მოუწოდა „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ“ და ხსნას და ნეტარებას შეჰპირდა. რა თქმა უნდა, მას მრავალი ღარიბ-ღატაკი გაჰყვა. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ყველა მდიდართა და გამყვლეფლებს.

გარდა ამისა, მისი მოძღვრების შინაარსს კომუნიზმი შეადგენდა. ყველა მათ, ვინც მას იწამებდა, უნდა გაეყიდათ თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონება და ან ღარიბთათვის დაერიგებიათ, ან საძმოში—კომუნაში—უნდა მოეტანათ.

ამრიგათ შეიქმნა ახალი მოძღვრება, რომლის შინაარსს შეადგენდა კლასობრივი შუღლი და კერძო საკუთრების უარყოფა, აგრეთვე დაპყრობილ ერთა განთავისუფლება. ეს მოძღვრება ისტორიაში ცნობილია **„ქრისტიანული კომუნიზმის“** სახელით. ამ მხრივ ის საშიში შეიქმნა დამპყრობელ და გაბატონებულ კლასისთვის. მას დევნა დაუწყეს და ბოლოს რომის ხელისუფლებამ ჯვარს აცვა ქრისტე, მისი მიმდევრები კი ათასობით ეწამნენ. აქ ერთ მთავარ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: საქმე ისაა, რომ ეს კომუნიზმი ქადაგებდა, როგორც ნათქვამია, კლასობრივ შუღლს და კერძო საკუთრების მოსპობას, მაგრამ მან სრულიად გვერდი აუხვია შრომის ორგანიზაციას—პირიქით—ქრისტემ შრომა და მარაგის შექმნა უარჰყო:—ნუ ზრუნავთ სულისა თქვენისათვის, რაი სჭამოთ ან რაი სვათ, ნურც ხორცისა თქვენისათვის, რაი შეიმოსოთ“-ო... ან კიდევ:—„ნუ ზრუნავთ ხვალისთვის, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისათვის“. „შეხედეთ ფრინველთა ცათასა, ისინი არც სთესვენ, არც მკიან, მაგრამ ღმერთი ჰკვებავს მათ“-ო.

ამრიგათ, როგორც ვხედავთ, ქრისტიანული კომუნიზმი გამზადებული სანოვაგის და საზოგადოთ ნაწარმოების მოხმარებას ქადაგებდა, ის **მოხმარების** კომუნიზმი იყო და არა **წარმოების**. ამიტომ ეს კომუნიზმი დროთა განმავლობაში თანდათან ისპობოდა და ბოლოს უბრალო საქველმოქმედო სექტად გადაიქცა, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მას საშვალებანი სჭირდებოდა, რის გამოც ბევრს მდიდარს გაეხსნა გზა ამ საძმოებში (კომუნაში) შესასვლელათ. საქმე ისაა, რომ იმ გახრწნილ ხანაში ბევრს გათახსირებულს, ფუფუნებასა და უსაქმობაში ჩამხრჩვალ მდიდარს ჰქონდა მობეზრებული სააქაო ცხოვრება. მათ სჭირდებოდათ მოსვენება. ზოგი მათგანი იწყებდა ფიქრს საიქიო, საიმქვეყნო ცხოვრებაზე. ქრისტიანებმა უსახსრო-

ბის გამო აღუთქვეს მათ იმ ქვეყანაში ცხონება და ნეტარება, თუკი ისინი თავის ქონებას ან მის ნაწილს საძმოებს მოუტანდნენ. ამასთანავე ქრისტიანები თავიანთ უბრალო ცხოვრებით, სიმტკიცით და მრავალი ტანჯვა-წვალების ატანით გავლენას, ავტორიტეტს პოულობდნენ მდიდარ ქალებში და არისტოკრატ ახალგაზრდობაში; ამრიგად, ამ „კომუნისტურ“ ორგანიზაციაში თავი მოიყარეს ყველა წრის წარმომადგენლებმა: იქ იყვნენ მონები, პროლეტარები, მდიდრები და არისტოკრატები. ცხადია, მეტს გავლენას ამ წრეებში მდიდრები მოიპოვებდნენ. ასეც მოხდა და მალე ქრისტიანობა შეიქმნა საშინელ ბჟუროკრატიულ ორგანიზაციათ. ახლა მან უკვე გვერდზე დასტოვა ის, რაც მას წინად ასულდგმულებდა—კლასობრივი შუღლი და საკუთრების უარყოფა. კიდევ მეტი: თუ წინად ის იყო ძლიერი იარაღი დაჩაგრულთა ხელში ბატონების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახლა ის ბატონების ხელში მოექცა და საშინელ მახვილად იქცა იმავე ჩაგრულთა კიდევ უფრო მეტად დასამონებლათ. ამგვარად, ეკლესია არისტოკრატიულ და ბჟუროკრატიულ დაწესებულებათ იქცა, ის ბატონი, ფეოდალი შეიქმნა, ბოლოს კი დესპოტი, ქვეყნის ბატონი (რომის პაპი). აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქრისტიანობა თავის დროზე, იმ ხანაში, პროგრესიულ-ისტორიული მოვლენა იყო. მაშინ მან შეჰქმნა თავისებური კულტურა. მან გადაარჩინა ანტიური კულტურა დაღუპვას და გადასცა კაცობრიობას ახალი ერის—გერმანელების—საშვალებით. მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ, რამდენად ის პირველად პროგრესიული მოვლენა იყო, იმდენათ და მრავალჯერ მეტადაც შემდგომ ჩაგვრის და უსამართლობის საშვალებათ იქცა. მისი მეოხებით გაბატონებულმა კლასმა მრავალ საუკუნეების განმავლობაში სტანჯა საზოგადოების ნაწილი.

საქართველო იმ ხანებში, როგორც ვიცით, იმავე რკალში იყო მომწყვდეული, როგორც სხვა დაპყრობილი და გაყვლეფილი ქვეყნები. ქრისტიანობა სწორედ ამნაირ დაპყრობილი და დაჩაგრულ-გაცარცული ხალხის სარწმუნოება იყო.

მას სასტიკათ სდევნიდნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“. სამი საუკუნის განმავლობაში თანდათანობით იცვლებოდა ქრისტიანულ საზოგადოების შემადგენლობა და მასთან ერთად მისი შინაარსიც. ბოლოს ეს პროცესი იმით დამთავრდა, რომ თვით ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ, „დიდათ“ წოდებულმა, აღიარა ქრისტიანობა და სახელმწიფო სარწმუნოებათ გამოაცხადა. ამის შემდეგ ქრისტიანობა გამოეცალა ხელიდან დაბალ წოდებას, როგორც ბრძოლის საშუალება, სამაგიეროდ ის იქცა ჩაგვრის იარაღათ მაღალ წოდების ხელში დაბალი კლასის კიდევ უფრო მეტად დასამონებლად.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მრავალი ზღაპრული მოთხრობა შეიქმნა: ის ვითომ „წმინდა“ ნინოს უნდა გაევრცელებიოს საქართველოში. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ამასთან დააკავშირეს და შეთხზეს მრავალი საასწაულები და მით საუკუნეების განმავლობაში ტვინს უბნელებდნენ საწყალ ხალხს. შესაძლოა ვინმე „ნინოს“ ან სხვას კიდეც ექადაგოს ქრისტიანობა ქართველთა შორის, მაგრამ მისი გავრცელება წმინდანების მიერ, და ისიც ერთის დაკვრით, ყოვლად წარმოუდგენელია. ქრისტიანობა ქართველმა ხალხმა შეითვისა თანდათანობით და იმ ხანებში, როდესაც ის დაჩაგრულთა მოძღვრება იყო.

მოკლე გეოგრაფია.

გეოგრაფიულად მთელი საქართველო სამ ნაწილად იყოფა: 1) აღმოსავლეთ, 2) დასავლეთ და 3) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდ. აღმოსავლეთ-საქართველო მდებარეობს სურამის ან ლიხის მთის აღმოსავლეთით და აღწევს მდინარე ალაზნამდე, დასავლეთ-საქართველო—იმავე სურამის ან ლიხის მთის დასავლეთით—შავ ზღვამდე. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ძევს აჭარის მთების სამხრეთით და თრიალეთ-ბაკურიან-ბორჯომის დასავლეთით.

ეს სამი ნაწილი ბუნებრივათ ძალიან განცალკევებული

არიან ერთი-მეორისაგან. სურამის უღელტეხილი ძველად მთელი ზამთრობით წყვეტდა მიმოსვლას დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. აგრეთვე, და კიდევ მეტად, დასავლეთი და სამხრეთ დასავლეთი საქართველო მოწყვეტილი იყო ერთმანეთს.

თვითეული ზემოხსენებული მხარეთაგანი მოქცეულია საქართველოს სამი მთავარ მდინარის აუზში: აღმოსავლეთ-საქართველოს რწყავს მდინარე მტკვარი; დასავლეთს—რიონი და სამხრეთ-დასავლეთს—ჭოროხი და ნაწილობრივ მტკვარი თავისი შენაკადებით. ეს მთავარი ხეობებია. თვითეული მათგანი კიდევ იყოფა შედარებით პატარ-პატარა ხევებათ. დასავლეთ-საქართველოში ასეთი ხევები შემდეგია: ცხენის-წყლის, ინგურის, ტეხურის და ხობის ხეობები. ზემო-იმერეთი (აწინდელი შორაპნის მაზრა) შესდგება მდინარე ყვირილის, ძირულის და ჩხერიმელის ხეობებისაგან.

აღმოსავლეთ-საქართველოსაც ამ მხრივ ამნაირივე მდებარეობა აქვს: ლიახვის, ქსნის, არაგვის, იორის, ალაზნის, ბერდუჯის (ბორჩალო), ალგეთის, ქციის (ხრამი) და სხვა მდინარეთა ხევები სერავენ ამ მხარეს. აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსაც ცალ-ცალკე ხეობებათ ჰყოფენ მდ. ჭოროხი, იმერხევი, აჭარის-წყალი, მტკვარი და ფოცხოვის წყალი.

მთელს საქართველოს ჩრდილოეთით სდარაჯობს კავკასიის მთების მთავარი ქედი. ამ ქედს საქართველო ზედ ეკვრის. ამ მთავარ ქედის პარალელურად დასავლეთ საქართველოში აღმართულია სვანეთის მთები. ამ მთებს შუა სვანეთი არის მომწყვდეული. სვანეთის გამოსავალში, ს.ჯვარში, დღესაც დგას ძველებური ციხე-კოშკი. მთელს დასავლეთ-საქართველოს სამხრეთით გადაჭიმულია ლიხის ანუ სურამის მთის გაგრძელება—ფესათი და აჭარის მთები, ხოლო აღმოსავლეთით—სურამის ქედი. ასე რომ, ეს ქვეყანა მხოლოდ დასავლეთითაა ღია; ამ მხრით მას შავი ზღვა საზღვრავს.

ასეთია ნიშანდობლივი თვისება საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა.

არაგვის ხეობაში გადის საქართველოს სამხედრო გზა, რაც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში აგვიწერა გეოგრაფმა სტრაბონმა. არაგვის გაღმა-გამოღმა, მყინვარიდან მცხეთამდე დიდი ხევია, რომლის გამოსავალსაც მცხეთასთან ციხე-კოშკი ყარაულობს. აღმოსავლეთ საქართველოს სამის მხრით—ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით—მთები საზღვრავენ; მხოლოდ აღმოსავლეთის მხარეა გაშლილი და ველიანი (ყარაიაზი, შირაქი).

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დასერილია მთებით, მდინარეებით და ხეობებით. IX და X საუკუნეებში იქ ჩაისახა ქართული სახელმწიფოებრიობა, იმავე ხანებში ის ვახდა ქართული კულტურის კერათ. ეს არის ძველი მესხეთი, ერუშეთი, ჯავახეთი და ტაო-კლარჯეთი.

ტყეები საქართველოში უხვადაა. ძველად ის კიდევ უფრო ხშირი და ულრანი იყო.

დასავლეთ საქართველო ზღვისპირული ქვეყანაა, იქ წვიმები ხშირი იცის და ამიტომ ნიადაგს რწყვა არ ჭირდება. აღმოსავლეთ საქართველოში კი ჰავა უფრო მშრალია და ნიადაგს მორწყვა უნდა. დასავლეთ-საქართველოში ახლა მოჰყავთ უმთავრესად სიმინდი, მაგრამ ეს ამერიკული პურეული მცენარეა და მხოლოდ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, მეთექვსმეტე საუკუნიდან, გავრცელდა ყველა ქვეყნებში და ჩვენშიაც. მანამდე დასავლეთ საქართველოში მოჰყავდათ პური, ღომი, შვრია, ბრინჯი და სხვა. ვაზს მაღალ ხეებზე უშვებდენ. სთესავდენ აგრეთვე სელს და კანაფს. აღმოსავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოჰყავდათ და დღესაც მოჰყავთ უმთავრესად ხორბალი, დიკა, შვრია, ქერი და სხვა. ვაზს აქ უძველესი დროიდან უვლიდნენ.

საგვარეულო წყობილების მოშლა საქართველოში და ფეოდალიზმის დასაწყისი.

მესამე—მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, ქართველებში მიწის დამუშავებას საკმაოთ განვითარებული სახე ჰქონდა. ამ

დროდან ჯოგი კერძო საკუთრებათ იქცა. ქალაქებში მოთავსდნენ ხელოსნები და ვაჭრები. აქ საქონელს მარტო თავიანთ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კი არ აკეთებდნენ, არამედ გასაყიდადაც. საქართველოში გამვლელ სავაჭრო გზებით და ზღვისპირული ქალაქების საშვალებით სწარმოებდა აღებმიცემობა უცხოელებთან. ვაჭრები სხვას არაფერს აკეთებდენ, გარდა საქონლის ყიდვისა და გაყიდვისა, უმთავრესათ ისინი ქალაქებში ცხოვრობდენ. მცხეთა, ტფილისი, ფოთი (ფაზისი), სოხუმი, ძველი ქალაქი (აწინდელი ნაქალაქევი), ქუთაისი, შორაპანი—სავაჭრო და საწყობ პუნქტებს წარმოადგენდნენ.

ეს ისეთი დროა, როდესაც სურვილი გამდიდრებისა ძალიან ძლიერი იყო. (ბარბაროსობიდან ცივილიზაციაზე გადასვლა); გამდიდრების მიზნით, სხვათა შორის, ომებსაც აწარმოებენ. მდიდრდებიან ვაჭრები, მეომრები. ამ დროს მიწაც კერძო საკუთრებათ ხდება, ისიც საქონელია, მისი ყიდვა-გაყიდვაც შეიძლება. რამდენათ მდიდრები ჩნდებიან, იმდენათ ღარიბნიც მრავლდებიან. ჩნდება საზოგადოებაში წინააღმდეგობა, ანტაგონიზმი. საგვარეულო წყობილების დროს ასეთი წინააღმდეგობა არ არსებობდა. ასეთმა მდგომარეობამ შეუძლებელი გახადა საგვარეულო მყუდრო ცხოვრების გაგრძელება. თუ წინანდელი მამასახლისი გვარის თანასწორი წევრი იყო და მას პატივს სცემდნენ, როგორც უფროსს და ხელმძღვანელს, ახლა მისი უფლება გადიდდა, ის საზოგადოების უბრალო წევრი კი არა, მისი მბრძანებელია. ეს უფლება მემკვიდრეობით გადადის განსაზღვრულ გვარის წევრებზე (გვარი ახლანდელი მნიშვნელობითაა ნახმარი). ამრიგათ ჩნდება უფლებამოსილი გვარი.

თუ წინეთ მთელი მიწა თემს ეკუთვნოდა, ახლა მისი ნაწილი კერძო ოჯახების ხელში გადავიდა, ხოლო დანარჩენს მამასახლისი დაეპატრონა. აი ეს საკუთრება—მიწა—ანიჭებს მას უფლებებს. მამასახლისი ხელმძღვანელობს ომებს, ნადავლიდან მას დიდი ნაწილი ერგება და ეს კიდევ უფრო ზრდის მის სიმდიდრეს და გავლენას. მას დიდძალი საქონელი ჰყავს. ღა-

რიბებს კი სჭირდებათ სამუშაო საშვალებანი: ხარი, გუთანი, ხე-ტყე, საბალახო ადგილები. მამასახლისი და სხვა მდიდრებიც ამ შემთხვევაში ხელს უწყობენ მათ და სამაგიეროთ სამსახურს მოითხოვენ.

როგორც ზემოთაა ნაჩვენები, მთელი საქართველო ხეობებათაა დაყოფილი. ეს ბუნებრივი დაყოფა გვაგონებს ძველ საბერძნეთს, სადაც მთელი იქაური ტერიტორია ბუნებრივათ მთებით იყო დაყოფილი ცალ-ცალკე ხეობებათ. ამან ხელი შეუწყო ძველ საბერძნეთში კანტონალური ერთეულების ჩამოყალიბებას. ამნაირივე მდგომარეობას ვხედავთ საქართველოშიაც. თვითეული საგვარეულო ერთეული ანუ თემი მომწყვდეული იყო ცალკე ხეობაში. ამ ხეობებს შორის ბუნებრივი საზღვარი (მთები) არსებოდა, რომლის გადალახვაც ერთმანეთის ნებადაურთველად დანაშაულობას წარმოადგენდა. როდესაც თვითეულ თემში მამასახლისის უფლება განმტკიცდა, როდესაც მან უმეტესი ნაწილი მიწისა მიითვისა, მიმოსვლის ნებართვაც მის ხელში გადავიდა. ამ დროებში მიმოსვლა უფრო სავაჭრო მიზნით სწარმოებდა, ამიტომ მამასახლისმა (მეუფემ) ყოველ გატანილს და შემოტანილ საქონელს ბაჟი დაადო. ამ საბაჟოებს საუცხოოთ ხელს უწყობდა თემის ტერიტორიის მდებარეობა: ერთი თემიდან მეორეში გადასვლა, სხვა გზის უქონლობის გამო, ხევის ყელით ხდებოდა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში საცალფეხო ბილიკებს, მაგრამ ამ გზით ხომ საქონელი არ გადავიდოდა).

სვანეთიდან სამეგრელოში მხოლოთ ენგურის ხეობით შეიძლებოდა მიმოსვლა. აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმიდან ვაკე იმერეთში მიმავალს უთუოდ ქუთაისი უნდა გაეარა და პირიქით; არაგვის ხეობას მხოლოთ მცხეთაში ჰქონდა გამოსავალი. აი, სწორეთ ამ ყელებთან „მეუფეებმა“ ააგეს ციხე-კოშკები და აქედან მგზავრ-ვაჭრების დაბეგვრა სამაგალითოდ მოხერხდა. ამან კიდევ უფრო გაზარდა ბატონების სიმდიდრე.

როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, მთავარ გასასვლელების პატრონი მეუფეები სხვებზე მეტად მდიდრდებოდნენ,

ამიტომაც მათი პოლიტიკური უფლებაც სჭარბობდა სხვა პატარა და განცალკევებულ ხეობების პატრონ-მეუფეების უფლებებს. ამიტომაც იყო, რომ მცხეთის მამასახლისი აღმოსავლეთ საქართველოში და ლაზ-მეგრელების—დასავლეთში, სხვა ყველა მამასახლისებზე ძლიერნი იყვნენ. მათ ციხე-ქალაქებში მრავალი სავაჭრო გზა იყრიდა თავს და, მაშ, ბაჟიც მეტი შემოსდიოდათ.

სამამასახლისო გვარის სხვა წევრებიც მდიდრდებოდენ და უფლებრივათ მაღლდებოდენ. ეს დამოკიდებული აზნაურებია (ამაზე შემდეგ). ამრიგათ ნათელია, რომ საგვარეულო წყობილებას სამეურნეო და საღებმიცემო პირობები ანგრევდა. სიმდიდრე, ქონებრივი ძლიერება განსაზღვრულ წრეებს ბატონობას ანიჭებდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში (4-8 ს. ქ. შ.) ხდებოდა სოციალური დიფერენციაცია (დანაწილება, დაყოფა). მართალია, ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული გლეხის ვალდებულება ბატონისადმი, მაგრამ ეს ფაქტიურად მაინც ხდებოდა: გლეხი ბატონის მიწით სარგებლობდა, ბატონი მას სესხს აძლევდა, ბატონის კალთის ქვეშ იფარავდა ის თავს. სამაგიეროთ გლეხი ბატონს ძღვენს უზიდავდა და ემსახურებოდა.

მეხუთე საუკუნეში საქართველოში აზნაურები უკვე ყოფილან. იმავე საუკუნის ერთ ძეგლში („შუშანიკის მარტვილობა") მოხსენებულია „აზნაურნი დიდ-დიდნი... აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი"... სიტყვა „აზნაური" თავისუფალს ნიშნავს, მაგრამ ამ დროს უკვე „ბატონს" ეთანასწორებოდა. მაშ, ამ დროს პირველ წოდებას „აზნაურნი დიდ-დიდნი"—ე. ი. დიდებულნი შეადგენდნენ; მეორეს—უბრალო აზნაურნი; მესამე წოდება სამღვდელოება იყო და მეოთხე—მხედრები ან მეომრები. იყვნენ აგრეთვე „ყრმები" ანუ ყმები, „მსახურნი", „მონანი", და „მხევლები".

საქართველოს მართვა-გამგეობა ამ დროს აზნაურების ხელში ყოფილა. „ამ ჟამითგან (ვახტანგ გორგასალიდან) ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთაო"—მოგვითხრობს ისტორიკოსი-

დიდ აზნაურს, დიდი ოლქის გამგეს, ერის მთავარი ერქვა, ოოტა შემდეგ კი—ერისთავი და ერისთავთ-ერისთავი. მამასახლისობაც არსებობდა ამ დროს, მაგრამ, ცხადია, ეს საგვარეულო წყობილების მამასახლისი კი არ ყოფილა, არამედ ბატონი, მმართველი. (ერთს ძეგლში მოხსენებულია „გრიგოლ ქართლისა მამასახლისი“).

ქართველ დიდ მოხელეთ „პიტიახშიც“ ითვლებოდა. ვარქსენი—შუშანიკის ქმარი—„პიტიახში“ იყო (იხილე „ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმ. შუშანიკისი“). სპარსელების მიერ შემოღებული დიდი მოხელეობა მარზპანობა იყო. „მარზპანი“ საზღვრის მცველს ნიშნავს და დასავლეთ ევროპის „მარკგრაფს“ უდრის.

„ქათალიკოსობა“ საქართველოში მეხუთე საუკუნეში უკვე იყო შემოღებული. ქათალიკოსი და მისგან დამოკიდებული ეპისკოპოსნი, ქორ-ეპისკოპოსნი, ხუცები და დიაკვნები ცალკე გაბატონებულ წოდებას წარმოადგენდნენ.

ლაზიკა. ბიზანტიელები და სპარსელები ლაზიკაში.

მე-IV საუკუნეში რომის იმპერია ორად გაიყო: დასავლეთ ნაწილს რომის სახელი შერჩა, ხოლო აღმოსავლეთს—ბიზანტიის. ამ დროიდან სპარსელების მეტოქეთ აღმოსავლეთში ბიზანტია გახდა. ამავე ხანებიდან სპარსეთმაც იწყო ფეხზე წამოდგომა. ახლა უკვე ორი შედაოებით თანასწორი ძალა ებრძოდა ერთმანეთს აღმოსავლეთში ბატონობის მოსაპოებლათ. ბიზანტიელებს, გარდა სპარსელებისა, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ბარბაროსებიც აუტყდნენ და ხშირათ საქმეს უჭირვებდნენ მათ. ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ერთ-ერთ მთავარ სადაო საგნათ საქართველოს საკითხი იყო. საქართველოზე გაბატონება ერთსაც და მეორესაც დიდ სარგებლობას მოუტანდა. საქართველოს სავაჭრო გზები და სტრატეგიული მნიშვნელობა მოსვენებას არ აძლევდა არც ერთს და არც მეორე

სახელმწიფოს. გარდა იარაღით ხელში ბრძოლისა, ისინი კულ-ტურულ ბრძოლასაც აწარმოებდნენ საქართველოზე გასაბატო-ნებლათ. ასეთ იარაღათ მათ სარწმუნოება გამოიყენეს. სანამ საქართველოში მაზდეიანობას (ცეცხლთაყვანისცემა) ჰქონდა ფეხი მოკიდებული, სპარსელების ბატონობაც უზრუნველყოფილი იყო აქ. მაგრამ ქრისტიანობამ ნელ-ნელა განდევნა მაზდეიანო-ბა და თვით დაიჭირა მისი ადგილი. ამან კი დიდი გავლენა იქონია საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე. ამის შემდეგ საქართველოს უფრო ბიზანტიისაკენ ეჭირა თვალი, თუმც, შემთხვევის და შესაძლებლობის მიხედვით, ის ორივეს ბა-ტონობას გაურბოდა. სპარსელების ბატონობა მაინც უფრო აღმოსავლეთ საქართველოზე (ივერიაზე) იყო გავრცელებული, ბიზანტიას კი დასავლეთ საქართველოზე ჰქონდა მეტი გავლე-ნა. მაგრამ, როცა ბიზანტიელებმა ლაზიკის (დასავლეთ საქარ-თველო მე-IV საუკუნედან მე-VIII-დე ლაზიკათ იწოდებოდა) არისტოკრატიის და ვაჭრების გამდიდრების წყარო ხელში ჩა-იგდეს, ამათაც აჯანყება მოაწყვეს და ბიზანტიის წინააღმდეგ სპარსელები მოიწვიეს.

საქმე შემდეგში იყო: საქართველოზე, როგორც ვიცით, დიდი სავაჭრო გზა გადიოდა. შავი ზღვის პი-რად მდებარე ქალაქები დიდი საგარეო სააღებმიცემო ცენ-ტრები იყო. ლაზიკის ვაჭრები და გაბატონებული წოდების წარმომადგენელნი თვით აწარმოებდნენ აღებმიცემობას. ეს უკანასკნელნი უცხოელ და შინაურ ვაჭრებს დიდ ბაჟს ახდე-ვინებდნენ და ხშირად სცარცვავდნენ კიდეც. ბიზანტიელებმა და განსაკუთრებით ერთმა მათმა მხედართ-მთავარმა, იოანე ციმა, მთელი ეს ვაჭრობა ხელთ იგდო. აღმოსავლეთიდან და დასა-ვლეთიდან მოსულ საქონელს თვითონ ყიდულობდა ეს მხე-დართ-მთავარი და მერე თავის ნებაზე ჰყიდდა. ამის გამო ლა-ზიკაში როგორც ვაჭრებს, ისე დიდკაცობას, საქმე ცუდათ წაუ-ვიდათ, რადგან გამდიდრების სახსარი მოესპოთ. ამიტომ აჯანყება განიზრახეს, მაგრამ რადგან თვითონ სუსტნი იყვნენ, სპარსე-ლები მოიწვიეს. ატყდა ომი. ამ ბრძოლამ მთელი ათი წელი-წადი გასტანა.

ამრიგად ვაჭრების და დიდებულების ინტერესების დასაცავათ გამოწვეულმა ხანგრძლივმა ომიანობამ ქვეყანა გაანადგურა და აუარებელი უდანაშაულო გლეხობა მსხვერპლათ შეიწირა. ბოლოს (563 წ.) ბიზანტიამ და სპარსეთმა ზავი შეჰკრეს. ამ ზავით ორივე ქვეყნის **ვაჭრებს თავისუფალი აღებმიცემობის ნება ეძლეოდათ,** როგორც საქართველოში, ისე სპარსეთსა და ბიზანტიაში. ეს ერთი. მეორე: არც ერთს და არც მეორე მხარეს ჩრდილოეთიდან არ უნდა გადმოეშვათ მეომარი ტომები; მესამე: ლაზიკა ბიზანტიის გავლენის ქვეშ რჩებოდა, იბერია კი — სპარსეთის.

სპარსეთის და ბიზანტიის ყაჩაღები მე-VII საუკ. დასაწყისში კიდევ ერთხელ შეებრძოლენ ერთმანეთს. ბიზანტიელებს მეთაურობდა მეფე ჰერაკლე. ამათ ხაზართა შემწეობით აიღეს ტფილისი, ააოხრეს ის და აუარებელი ხალხი ამოჟლიტეს. ხშირათ ასე უბრალოთ ეწირებოდა ქართველი ხალხი შინაურ და უცხო ბატონების ინტერესებს.

ამ დროიდან აღმოსავლეთში უკვე სხვა ძალა ილესავდა კბილებს გასაბატონებლათ. ესენი იყვნენ არაბები.

ა რ ა ბ ე ბ ი.

მეურნეობის და ვაჭრობა-მრეწველობის შემდეგს განვითარებას და ქვეყნის წინსვლას ჩვენში ხელი შეუშალა ახალი მტრების — არაბების — შემოსვლამ.

არაბები უხსოვარ დროიდან არაბეთის ნახევარკუნძულზე სცხოვრობდნენ. ჯერ კიდევ ახლაც არაბეთის ნახევარკუნძული გაუვალ უდაბნოს წარმოადგენს. რამოდენიმე ასეული ვერსის მანძილზე აქ ადამიანი გახურებული ქვის და სასტიკათ მწველი მზის სხივების მეტს ვერას ნახავს. აქ ადამიანი მხოლოთ ზოგან შეხვდება ისეთს ადგილს, სადაც რამდენიმე ხეა ამოსული და წყალიც იშოვება. ასეთს ადგილებს ოაზისი ჰქვიან. (რუს სახელოვან პოეტს ლერმონტოვს ერთ-ერთი ასეთი ოაზისი ძალიან მხატვრულად აქვს აღწერილი თავის ლექსში — „Три пальмы“).

არაბების უმრავლესობა იმ დროს ამ უდაბნოებში ცხოვრობდა. ისინი ჯერ კიდევ (მე-VI-საუკ.) პირველყოფილი მეურნეობის ფორმებს და საზოგადო წყობილების წესებს ვერ გაცილებოდნენ: ამისათვის მათ ნიადაგი და ჰავა არ უწყობდა ხელს; არც მიწათმოქმედება, არც მეჯოგეობა, არც ხელოსნობა, მით უმეტეს არც აღებმიცემობა მათ არ იცოდნენ. მათს საარსებო საშვალებას მგზავრებსა და ერთმანეთზე თავდასხმა და ცარცვა-გლეჯა შეადგენდა. კავშირები საგვარეულოთა შორის მხოლოდ დაცემისა და ყაჩაღობის მიზნით მყარდებოდა, მაგრამ ასეთი კავშირები (მუჰამედამდე მაინც) არას დროს არ ყოფილა მათ შორის დღეგრძელი.

მცირერიცხოვანი მეორე ნაწილი არაბებისა ზღვის პირად სცხოვრობდა, სადაც ახლა ჰეჯასი და იემენია. ისინი შედარებით უფრო კულტურული ხალხი იყვნენ. მიწის დამუშავებას, ხელოსნობას, მეჯოგეობას და ვაჭრობას უკვე ფეხი ჰქონდა მათში გადგმული. მათს ზღვისპირულ ქვეყნებში უცხოელები დადიოდნენ სავაჭროთ. არაბებიც ამავე მიზნით მიმოდიოდნენ უცხოეთში. ამრიგათ, ეკონომიური პირობები მათში უკვე მომწიფებული იყო უფრო რთული და განვითარებული ორგანიზაციის შესაქმნელად. მაგრამ ამისთვის, ადგილობრივი პირობების მიხედვით, საჭირო შეიქნა ახალი იდეოლოგიის — ახალი სარწმუნოების — ჩამოყალიბება. ამ დრომდის არაბებს განსაზღვრული საერთო სარწმუნოება არ ჰქონდათ. მათს სარწმუნოებრივ შეხედულებებზე გავლენა ჰქონდა ქრისტიანობას, ებრაულ სარწმუნოებას და სხ. იყვენ აგრეთვე მოუხეშავი კერპთაყვანისმცემელნიც. ჭკვიანმა არაბმა მუჰამედმა ყველა ამ სარწმუნოებებიდან გამოკრიბა ის ელემენტები, რაც არაბების საერთო ზნე-ჩვეულებებს და მოთხოვნილებებს შეეგუებოდა, ცოტა რამ თვითონაც დაუმატა და ამრიგად შეჰქმნა, ჩამოაყალიბა ახალი სარწმუნოება — მუსლიმანობა.

ეს სარწმუნოება თავის მიმდევრებისაგან დიდს არაფერს მოითხოვდა: „ერთ არს ღმერთი (ალაჰი) და მუჰამედი მისი

წინასწარმეტყველია". მუსლიმანი უნდა ეომოს არამართლ-მორწმუნეთ, ე ი. არამუსლიმანთ ეს უპირველესი სათნოება იყო. არაბებს ხომ მხოლოთ ომიანობა და ცარცვა-გლეჯა აკმაყოფილებდა. კიდევ რამოდენიმე გარეგანი სარწმუნოებრივი ნიშანი უნდა აესრულებია მართლმორწმუნეს და ამით საქმე თავდებოდა. ერთი სიტყვით, პირველ ხანებში მაინც, ეს სარწმუნოება იმდენად მარტივი იყო, რომ მისი ათვისება და მისი წესების შესრულება არაბის განვითარების დონეს არ აღემატებოდა.

ამავე დროს ეს სარწმუნოება თავის მიმდევარს უხვად აჯილდოვებდა როგორც ამ ქვეყნათ, ისე საიქიოშიც. ამ ქვეყნათ მუსლიმანები ფიზიკურ მუშაობისაგან თავისუფლდებოდენ. ისინი მხოლოთ ომობდენ და მათი ცოლებ-მვილებიანათ რჩენა, საზრდოობა დაპყრობილ ერებს ედვათ ვალათ. გარდა ამისა, მუდმივი ომიანობისა და ცარცვა-გლეჯისაგან დიდძალი ნადავლიც რჩებოდათ მათ. იმ ქვეყნათ — საიქიოს — მუსლიმანობა თავისს მიმდევარს აღუთქვამდა ყველაფერს, რაც მას ამ ქვეყნათ ჰხიბლავდა.

ამრიგათ მუჰამედმა და მისმა თანამოაზრეებმა საუცხოოთ აუღეს ალლო არაბების სუსტ მხარეებს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მათ პოლიტიკური და რელიგიური უფლებები ერთი ბატონის — ხალიფის — ხელში მოათავსეს. ხალიფას პირით ბრძანებლობდა უზენაესი ძალა ცისა — ღმერთი — და ამ ქვეყნისა, — ხელმწიფე. ცხადია, მისი ნების აუსრულებლობა არაბისთვის ყოვლად წარმოუდგენელი იყო. განმტკიცდა რკინის დისციპლინა. როგორც ვხედავთ, მუჰამედმა და მისმა პარტიამ თავიანთ სარწმუნოებას საფუძვლად წმინდა პრაქტიკული შინაარსი დაუდვეს და ამიტომაც იყო, რომ რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში არაბები ისე შეკავშირდნენ და ისე გაძლიერდნენ, რომ მთელს ქვეყნიერებას შიშის ზარი დასცეს.

მე-VII საუკუნის პირველ ნახევარში (643-5 წ.) საქართველოში გამოგზავნილ იქმნა არაბების მხედართ-მთა-

ვარი. არაბთა და ქართველებს შორის დადებულ იქმნა პირობის ხელისწერილი და საქართველო უომრათ ხალიფატს დაუმორჩილდა. ამ პირობის მთავარ ძარღვს „ხარაჯა“, ხარკი შეადგენდა. თვითეულ ქართველ მეკომურს (მოსახლეს) არაბებისთვის თითო დრაჰკანი (დაახლოვებით ერთ მანეთს უდრის) უნდა ეძლია. საყურადღებო ისაა, რომ ამ პირობის ძალით ქართველი ოჯახები არ უნდა შეერთებულიყვნენ, რომ ამით არაბებს შემოსავალი არ შემცირებოდათ. მაგრამ არც არაბებს ჰქონდათ უფლება ქართველი ოჯახები ძალით გაეყოთ გადასახადების გადიდების მიზნით. ამრიგათ, საგვარეულო წყობილების ნაშთები (მრავალრიცხოვანი ოჯახები), რაც უკვე დაშლის კარზე იყო მიმდგარი, არაბების მოსვლამ ხელოვნურათ ისევ დიდი ხნით შეაჩერა.

არაბებმა სპარსეთი სრულიათ მირეგვ-მორეგვეს. ბიზანტიას კი ჯერ ვერაფერი დააკლეს, მაგრამ მაინც მათ შორის ხშირი ომიანობა გაჩაღდა. როგორც წინეთ, ახლაც დასავლეთ საქართველო ბიზანტიელების გავლენის ქვეშ დარჩა, აღმოსავლეთი კი—არაბების. პირველ ხანებში არაბების ბატონობა ისე მკაცრი არ ყოფილა, როგორც შემდეგ. ეს იმით აიხსნება, რომ არაბები პირველათ არც იყვნენ ისე გამაგრებული და არც მათვა-გამგეობის საქმე იცოდნენ ხეირიანათ. ისინი მხოლოდ ებრძოდნენ „ღვთის მტერთ“ და იღებდნენ ხარაჯას. შემდგომ კი, როცა პოლიტიკურათ გაძლიერდნენ და გამოცდილებაც მიიღეს, დაპყრობილ ქვეყნებს, და მათ შორის საქართველოსაც, შავი დღე დააყენეს.

მე-VII საუკუნის მიწურილიდან და მე-VIII საუკუნეში არაბებმა ქართველებს გადასახადები გაუდიდეს და ძველი დავთრების (მცხოვრებთა აღწერის და საგადასახადო წიგნი იყო) მიხედვით მკვდრებზედაც დააწესეს იგი. არაბების მცარცველობას საზღვარი არ ჰქონდა; ქართული ქალაქები და სოფლები მთლად აოხრეს. ქართველები არაბების ცარცვა-გლეჯას და სარწმუნოებრივ დევნას გაურბოდენ და მთებსა და გამოქვაბულებს აფარებდნენ თავს, მაგრამ აქ მათ აბა რა ხეირი

დაეყრებოდათ: ზამთრის სიმკაცრისა და სიტიტვლე-სიმშილისაგან მრავლათ იხოცებოდენ ისინი. რას ჩადიოდა ამ დროს ქართველი დიდკაცობა? ის—ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრებას მიჩვეული—ვერ უძლებდა ამ ცხოვრების სიდუხჭირეს. არაბები კიდევ დიდს პრივილეგიებს (უპირატესობას) ანიჭებდნენ მათ, ვინც ქრისტეს სარწმუნოებას უარყოფდა და მათს ბატონობას შეურიგდებოდა, მით უმეტეს დიდკაცობას, ამიტომაც იყო, რომ ისინი (ქართველი დიდკაცობა) მრავლათ გადადიოდნენ არაბების მხარეზე. მხოლოთ თუ გამოერეოდა მათ შორის თითო-ოროლა გაუტეხელი და ეროვნულ ნიადაგზე ბატონობის შენარჩუნების მსურველი, მათ არაბები სდევნიდნენ და ავიწროვებდნენ: დააჭერინებდნენ და გათოკილს ბაღდადში ამოაყოფინებდნენ ხოლმე თავს. ამრიგად, არაბები ქართველების შინაურ საქმეებში ჩაერიენ და ცოტა-ღა აკლდა, რომ დამოუკიდებლობის ნიშან-წყალიც კი მოსპოთ. მათ ტფილისში დასვეს **ამირა**, ეს უზენაესი მართველი მთელი აღმოსავლეთ საქართველოსი. ამირების მორჩილებაში იყვნენ ქართველი ერისმთავრები. მათ ეკისრებოდათ ქართველებისაგან ხარკის აღება და არაბებისთვის მირთმევა. ვინც ასე არ მოიქცეოდა, ის ან ისე დაიტანჯებოდა, როგორც ზემოთაა ნათქვამი, ან-და თავის სამფლობელოს უნდა გაცლოდა და სხვაგან ეძებნა თავშესაფარი. ასე მოიქცა ნერსე ერისთავი, ასე მოიქცა აშოტ კურაპალატი.

არაბების ბატონობის შედეგები.

ამრიგად, ქართველ მშრომელ ხალხს კიდევ უფრო საშინელი დღე დაუდგა, ვიდრე წინეთ: მას სდევნიდნენ, აწიოკებდნენ; გაუპარტახდათ ოჯახი, მეურნეობა; მიგდებულ იქნა ხელოსნობა, შესუსტდა ვაჭრობა, ხალხი შიმშილით და სიცივით იხოცებოდა თავის ოფლით მორწყულ კარ-მიდამოს მოშორებული. თუ-კი ამ საშინელ მდგომარეობაშიც ის კიდევ დიდის ჭაპანწყვეტით ახერხებდა რამეს მომარაგებას, იმასაც ხარჯსა

და სხვადასხვა შინაურ და გარეშე მცარცველების გადასახადებში ართმევდნენ. ასეთი ქონებრივათ განადგურებული ხალხის დამონავება ადვილი საქმე იყო. ის კიდევაც გახდა ქართველ და არაბ ბატონების მონათ.

დასავლეთ საქართველო თუმც ისევ უცხოელების (ბიზანტიელების) ბატონობის ქვეშ იყო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ისინი უკეთესათ გრძნობდნენ თავს; ვინც სპარსეთის და ბიზანტიის ომიანობას გადაურჩა (VI საუკუნის ნახევარში), ის ქონებრივათ მაინც არ იყო ისე გაღატაკებული, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. არც გაცვლა-გამოცვლის საქმე იყო იქ ისე მოშლილი, როგორც აქ.

გურია-იმერეთში ქართულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის გაჩენა.

მეექვსე საუკუნემდე მთელ დასავლეთ საქართველოში მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი (მეგრელები) ცხოვრობდა. ამ საუკუნეში სპარსეთ-ბიზანტიას შორის ატეხილ ომების გამო იქ (დღევანდელ გურიასა და იმერეთში) მოსახლეობა ძლიერ შემცირდა, თითქმის სულ გაწყდა. მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული არაბების საშინელ ბატონობის გამო აღმოსავლეთ საქართველოდან ხალხმა მრავლად შეაფარა თავი დასავლეთ საქართველოს, სადაც არაბებს ხელი ვერ მიუწვდებოდათ. ეს შეხიზნული ხალხი უკაცურ ადგილებზე სახლდებოდა. თუ აქა-იქ კიდევ დარჩენილი იყო ადგილობრივი ძველი მოსახლეობა, ის შეერია მოსულებს და ამრიგად წარმოდგა ახალი — ქართულ ენაზე მოლაპარაკე — ხალხი: იმერლები, გურულები და სხ. მათს დღევანდელს სალაპარაკო ქართულ ენაში მრავლათაა დარჩენილი მეგრულის ნაშთები.

ფეოდალიზმი საქართველოში.

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, როგორ ირღვეოდა საქართველოში საგვარეულო წესწყობილება და როგორ მყარდებოდა ქონებრივი და წოდებრივი უთანასწორობა. საქართველოში არა-

ბების ბატონობის დროს უმეტესი ნაწილი მიწებისა დიდი მემამულეების ხელში იყო. ამ მამულის პატრონი და ბრძანებელი აზნაურები და ერისთავები იყვნენ. VIII და IX საუკუნეებში ფეოდოლიზმს ჩვენში საკმაოთ ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა.

როგორ განვითარდა ჩვენში პატრონ-ყმობა (ფეოდალიზმი)? თვითეული მემამულე ცდილობდა თავისი მამულისა და საბრძანებლის გაფართოებას, ხოლო ეს იწვევდა დაუცხრომელ ბრძოლას ამ მემამულეთა შორის. ბრძოლიდან გამარჯვებული ყოველთვის ის გამოდიოდა, ვისაც მეტი მამული ჰქონდა და მეტი ქვეშევრდომები ჰყავდა, მაშასადამე, ის, ვინც ქონებრივათ და პოლიტიკურად უფრო ძლიერი იყო. ამის გამო, არაფრით არ იყო უზრუნველყოფილი წვრილ მესაკუთრის და სუსტი მემამულის არსებობა. ყოველთვის მოსალოდნელი იყო, რომ მას უფრო ძლიერი მფლობელი თავს დასცემოდა, მთელი მისი სარჩო-საბადებელი ხელთ ეგდო და დამარცხებული ან თავის ყურმოჭრილ მონათ გაეხადა, ან, თუ ურჩობას გაბედავდა, სრულიად მოესპო. ასეთ პირობებში ზოგიერთი წვრილი მესაკუთრე და სუსტი მემამულე, რათა თავიდან აეშორებია მოსალოდნელი საფრთხე და უბედურება, იძულებული იყო თავის მეზობლის, მაზე უფრო ძლიერი მემამულის, მფარველობა მიეღო, მისი ყმა, მისი მორჩილი გამხდარიყო. საქართველოში იმ გლეხს, ან წვრილ მესაკუთრეს, რომელიც ულრო ძლიერი მესაკუთრის ან მემამულის მფარველობის ქვეშ შედიოდა, „ნებიერი“ ყმა ეწოდებოდა.

ხშირათ წვრილი მესაკუთრე, მემამულეებს შორის დაუცხრომელი ბრძოლის გამო, თავის საკუთრებას ჰკარგავდა. ასეთ უმიწაწყლოთ დარჩენილ გლეხებს მემამულე თავის მიწაწყალზე ასახლებდა და ყმათ იხდიდა. ნაწილი გაღატაკებული მესაკუთრეებისა მდიდრ მეზობლისაგან ვალს იღებდა თავის მეურნეობის აღსადგენათ, მაგრამ აღებულ ვალში დიდი სარგებელი უნდა ეხადა, ხოლო თუკი თავის დროზე ვერ გადაიხდიდა, ძირითად სესხს სარგებელიც ზედ ემატებოდა და მომავალში

სარგებლის სარგებელი —ვახში—უნდა გადაეხადა. ვალის ამგვარი სწრაფი ზრდის გამო მოვალე ისეთ მდგომარეობაში ვარდებოდა, რომ ვალის გადახდა მისთვის შეუძლებელი ხდებოდა და ბოლოს იძულებული იყო თავის მოსესხეს ყმობოდა. „მოვალე მონაჲ არს მოსჴსხისა და მონაჲ სყიდული, რომლის მსახურებაჲ თანა-წარუვალ არსო“,—ნათქვამია ერთს იმდროინდელს ქადაგებაში.

მაგრამ თუკი წვრილი მესაკუთრეები თავის არსებობის უზრუნველსაყოფად იძულებული იყვნენ თავი შეეფარებიათ მათზე უფრო ძლიერი მესაკუთრისა და მფლობელისათვის, არც ეს უკანასკნელნი იყვნენ უზრუნველყოფილნი მათზე უფრო მსხვილი და ძლიერი მემამულის თავდასხმისაგან და ამიტომ ისინიც თავის მხრით შედიოდნენ კიდევ უფრო ძლიერი მემამულის მფარველობის ქვეშ, იჩენდენ თავიანთ პატრონებს. ამგვარათ, როდესაც ერთი მემამულე თავის ნებით მეორე მემამულის მფარველობის ქვეშ შედიოდა, ამას საქართველოში „შეწყალება“ ეწოდებოდა, ხოლო დასავლეთ ევროპაში „კომენდაციას“ უწოდებდენ. თვით პატრონისაგან შეწყალებულ მემამულეს „ყმა“ ერქვა, დასავლეთ ევროპაში კი „ვასალი“, ხოლო „პატრონი“ შემწყალებელი იყო და ევროპაში მას „სენიორი“ ეწოდებოდა.

პატრონი და შეწყალებული ყმა ერთმანეთს პირობით ეკვროდენ, მაგალითად, ომიანობის დროს ყმა პატრონს თავის რაზმით უნდა მიშველებოდა, ხოლო საჭიროების დროს პატრონს თავის მხრით ყმა გარეშე მტრისაგან დაეფარა. ამგვარათ, ფეოდალურ სისტემაში წოდებათა შორის დამოკიდებულება ერთგვარ კიბეს წარმოადგენდა. მემამულე ერთსადაიმავე დროს პატრონიც იყო და ყმაც,—ვასალიც იყო და სენიორიც. ამ იერარქიის (კიბის) სათავეში იდგა ერისთავთ-ერისთავი, რომელიც არავის ყმათ არ ითვლებოდა (მეფობა ჯერ კიდევ არ იყო), ხოლო წოდებათა შორის ყველაზე უფრო დაბლა გლეხობა იდგა, რომელიც სხვისი ყმა იყო, მაგრამ არავის პატრონად არ ითვლებოდა. პატრონ-ყმული (ფეოდალური) დამოკიდებულება გაბატონებული იყო აგრეთვე ეკლესიაშიც.

ეკლესიის წარმომადგენლები მაღალ წოდებიდან გამოდიოდენ. მათ ჰქონდათ ყმებით დასახლებული საკუთარი მამულები. ამას ემატებოდა საერო მამულების მიერ ეკლესიისადმი „სააღაპოთ“ შეწირული ყმებით დასახლებული ადგილები. ასე გაჩნდენ უმთავრესად სასულიერო ფეოდალები. ეკლესიის მეთაური და უდიდესი ფეოდალი კათალიკოსი იყო. კათალიკოსს თავის ვასალები ჰყავდა ეპისკოპოსების სახით, ხოლო ამათაც თავიანთი ხუცები და ამ უკანასკნელთა დასაყრდნობ წოდებას ისევ გლეხობა შეადგენდა.

სასულიერო და საერო ფეოდალებს შორის საქართველოში მეტოქეობა და შუღლი ხშირი მოვლენა იყო. ეკლესიას უნდოდა თავისი გავლენა და ბატონობა განემტკიცებია; ის თავის თავს ამ ქვეყნათ ქრისტეს მოადგილეთ აცხადებდა და პირველობაში საერო ფეოდალებს ედავებოდა. „მღვდელობაჲ უფროს არს ყოველთა დიდებათა, სულიერთა და ხორციელთაო“,—ამბობდენ მაშინდელი სასულიერო პირები. მაგრამ ეს შუღლი და მეტოქეობა დამთავრდა არა ეკლესიის გამარჯვებით, რასაც ადგილი ჰქონდა საშუალო საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში, არამედ საერო ფეოდალების გამარჯვებით. სასულიერო ფეოდალებზე საერო ფეოდალების გამარჯვება საქართველოში უფრო მით აიხსნება, რომ აქ გარეშე მტრის შემოსევის დროს ჯარის მეთაურებათ ყოველთვის საერო ფეოდალები იყვნენ და ეს აძლიერებდა მათ გავლენას.

საქართველოში, როგორც სხვა ქვეყნებშიაც, ფეოდალური მეურნეობის საფუძველი მიწათმოქმედება იყო. ამ დროს ჯერ კიდევ ვაჭრობა-მრეწველობა არ იყო განვითარებული. მას მხოლოდ ქალაქებში ჰქონდა ადგილი და სოფელზე თავის გავლენას ვერ ახდენდა. მაშინდელი სოფლის მეურნეობა გამოიხატებოდა ხორბლის, ფეტვის, სელის და ზოგიერთი სხვა მცენარეების მოყვანაში და აგრეთვე ბოსტნის, ვენახის და ხეხილის მოშენებაში. გლეხები მუშაობაში ერთმანეთს ეხმარებოდენ, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა. ეს მარტივი თანამშრომლობაა. გლეხობას თავის შრომით უნდა ერჩინა

გაბატონებული წოდება. რადგანაც ფულის ტრიალი იმ დროს ნაკლები იყო, გლეხს გადასახადი პატრონისათვის ნატურით უნდა ეძლია. ის პატრონს აძლევდა თავის შრომის ნაყოფიდან განსაზღვრულს ნაწილს კულუხისა (ღვინის გადასახადი) და ღალის (პურის გადასახადი) სახით. გლეხის სხვა ვალდებულებანი (ძროხის შებმა, [1]) პირადი სამსახური და სხვ.) პატრონისადმი მიწის რაოდენობასთან იყო დაკავშირებული. ამ მხრით საგადასახადო ერთეულს **ფუძე** შეადგენდა, რომელიც დაახლოვებით თორმეტ დღიურს უდრიდა. შეიძლებოდა ერთ ფუძეზე ორი კომლი მჯდარიყო, მაგრამ პირადი ვალდებულების რაოდენობა ამით არ იცვლებოდა და ორივე იმდენს იხდიდა, რამდენსაც ცალკე ფუძეზე მჯდომი ერთი ოჯახი. გლეხების მართვა-გამგეობა რამდენიმე ნაწილათ იყო გაყოფილი, ყმების კუთვნილების მიხედვით: საეკლესიო გლეხებს კათალიკოსის მიერ დაყენებული მოსამართლე ჰყავდათ, ხოლო სააზნაურო გლეხებს—აზნაურის მიერ დანიშნული მამასახლისი. როცა საეკლესიო და სააზნაურო გლეხებს შორის ჩამოვარდებოდა რაიმე უთანხმოება, აზნაურის მამასახლისი და კათალიკოსის მოსამართლე ერთად არჩევდნენ საქმეს და გამოტანილი განაჩენი სისრულეში იმ მოხელეს მოჰყავდა,რომლის გლეხიც გამტყუნდებოდა. ასე რომ, განაჩენის გამოტანა და სისრულეში მოყვანა ერთიდაიმავე მოხელის ხელში იყო.

ამგვარათ, გლეხის მდგომარეობა არასახარბიელო იყო, მაგრამ ბატონის მიერ მის ყვლეფას საზღვარს უდებდა წარმოების წესი. ბატონს არც მოთხოვნილება ჰქონდა მაინც და მაინც იმდენათ განვითარებული, რომ გლეხი უსაზღვროთ ეყვლიფა და არც ქვეყნის საერთო ეკონომიური პირობები უწყობდა ამას ხელს. ბატონს შეეძლო მიეთვისებია თავის ყმის ნაწარმოებიდან მხოლოდ ის, რაც მისი აოსებობისთვის მიუცილებელი იყო. კიდევაც რომ გამოერთმია ყმისათვის იმაზე მეტი, რაც მის მოთხოვნილებას აღემატებოდა, ფულის სიმცირისა და ბაზრის უქონლობის გამო, მისთვის ეს სრულიათ

[1]) გლეხს, სხვათა შორის, ჰქონდა დაკისრებული ბატონის ძროხის შებმაც.

უსარგებლოთ დაიკარგებოდა. მშრომელი მასის უსაზღვრო ყვლეფა მხოლოდ ფეოდალის ბატონობის ხანაშია შესაძლებელი; ეს ახასიათებს კაპიტალისტურ ხანას, რის შესახებ ჩვენ ვრცლად გვექნება ლაპარაკი თავის დროზე.

საქართველოს გაერთიანება და სახელმწიფოს წარმოშობა.

ქართლის ერისთავი აშოტ დიდი არაბების მიერ შევიწროებული მე-VIII საუკუნის მეორე ნახევარში კლარჯეთში, ქალაქ არტანუჯში გადასახლდა. ეს მხარე სპარსელების და არაბების ბატონობის დროიდანვე აოხრებული იყო. სოფლები და მოსახლეობა აქა-იქ თუ მოიპოვებოდა და ამიტომ დიდი ნაწილი მიწებისა უპატრონოდ იყო მიტოვებული. აშოტი საკმაოთ მდიდარი მთავარი იყო და შავშეთ-კლარჯეთში მდებარე სოფლები მან შეიყიდა; მთელი თავისუფალი მიწებიც ხელში ჩაიგდო. ამის შემდეგ ქართლიდან გადმოიყვანა გალატაკებული და ყოველგვარ სამეურნეო საშუალებას მოკლებული მცხოვრებლები, თავისუფალ მიწებზე დაასახლა და თავის ყმებათ აქცია. აშოტმა ბიზანტიის კეისრის მფარველობაც მიიღო და მით კიდევ უფრო გაიმაგრა ზურგი არაბთა შემოსევისა და აოხრებისაგან. ასე დაიწყო მესხეთის ამ ნაწილის განახლება და მით საფუძველი ჩაეყარა ტაო-კლარჯეთის საერისთავოსაც. ამავე დროს დაიწყო იმ გარეშე ძალების დასუსტება, რომელნიც საქართველოს ბუნებრივ განვითარებას მუდამ ხელს უშლიდენ. მე-VIII საუკუნის მიწურულში არაბთა ძლიერება დაცემის გზას დაადგა. ამით ისარგებლეს ტფილისის ამირებმა და იწყეს ზრუნვა ხალიფასგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. სანამდის ბიზანტია ძლიერი იყო, ყოველთვის იმას ცდილობდა, რათა მის გავლენის ქვეშ მყოფ დასავლეთ საქართველოში რომელიმე ერისთავი ან მსხვილი ფეოდალი იმდენათ არ გაძლიერებულიყო, რომ მისთვის ურჩობის გაწევა გაებედნა; მაგრამ იმავე მერვე საუკუნის დამლევს, შინაური არეულობისა და გარეშე მტრებთან ბრძოლის

გამო, ბიზანტიაც მოუძლურდა. ამით ისარგებლა აფხაზეთის ერისთავმა, რომელიც ლიხთ-იმერეთში ქონებრივად სხვებზე უფრო მდიდარი იყო, რომელსაც სხვებზე მეტი მამული ჰქონდა და მთელი დასავლეთ საქართველო ლიხის მთამდე ხელში ჩაიგდო.

კახეთიც ამ დროს ერთ სამთავროს წარმოადგენდა.

ამგვარად, მე-VIII საუკუნის დასასრულს და მე-IX დასაწყისს, საქართველო პოლიტიკურად ოთხ ნაწილად იყო გაყოფილი: დასავლეთ საქართველო, აფხაზეთად წოდებული, ცალკე სამთავროს წარმოადგენდა, საქართველოს სამხრეთ—დასავლეთი ნაწილი—შავშეთ-კლარჯეთი—ცალკე საერისთავო იყო, კახეთსაც თავისი მთავარი ჰყავდა, რომელსაც ქორეპისკოპოსი ერქვა, ხოლო ქალაქი ტფილისი და მისი მიდამოები არაბ ამირას ეჭირა. თვითეული მათგანი ცდილობდა თავის ბატონობისა და საზღვრების გაფართოებას, ხოლო ეს იწვევდა დაუცხრომელ ბრძოლას ამ სამთავროებს შორის.

ამ ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო მე-IX საუკუნეში და გასტანა სრული სამი საუკუნე. ის დასრულდა საქართველოს ყველა სამთავროების ერთ სახელმწიფოში გაერთიანებით.

რომ ჩვენ ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი ამ ბრძოლის მიმართულება და შედეგები, საჭიროა გათვალისწინება ამ სამთავროების ეკონომიური ძლიერებისა, რადგანაც ბრძოლიდან ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის, ის მთავარი გამოდიოდა გამარჯვებული, რომელიც უფრო მდიდარი იყო, რომელსაც სხვაზე მეტი ნივთიერი საშვალებები გააჩნდა.

ჩვენ ვიცით, რომ ფეოდალიზმის მთავარ საფუძველს შეადგენდა მიწათმფლობელობა და კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობა. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ერთ სამეურნეო ერთეულში, ერთი მემამულის მიწაწყალზე, ყველაფერი იმდენი ყოფილიყო, რამდენიც საჭირო იყო მცხოვრებთა აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამას თვით ბუნებრივი პირობები არ უწყობდნენ ხელს და ამიტომაც სრულიად კარჩაკეტილი სამეურნეო ერთეულების არსებობა შეუძლებე-

ლი იყო. როდესაც მემამულეს რამე არ ყოფნიდა ან სრულიად არ გააჩნდა თავის მამულში, ის გაცვლის საშვალებით იძენდა საჭირო საგნებს მეორე მემამულესაგან. ხშირად მემამულე, ან დამოუკიდებელი ოჯახის პატრონი, წვრილი მესაკუთრე, ქალაქშიც კი მიდიოდა და იქ ჰყიდდა და ყიდულობდა საჭირო საგნებს. ასეთი მდგომარეობა ახასიათებდა საერთოდ ფეოდალურ ხანას ყველა ქვეყნებში. საქართველოზედაც იგივე ითქმის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ განსაკუთრებული გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გამო, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ვაჭრობას და აღებ-მიცემობას უფრო ღრმათ ჰქონდა გადგმული ფესვები. ამ საქმეში მთავარ როლს უცხო ქვეყნებთან დაახლოვება და დაკოკიდებულება თამაშობდა. ამ მხრით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში სამიმოსვლო და სავაჭრო გზების არსებობას.

საბერძნეთიდან ხმელეთით მომავალი გზა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე—კლარჯეთზე – მოდიოდა და ჯავახეთში ორ შტოთ იყოფოდა: ერთი—აღმოსავლეთისაკენ მიმავალი— ზემო ქართლს გაივლიდა და მცხეთამდე აღწევდა, მეორე ჩრდილოეთისაკენ მიიმართებოდა, სამცხის ქალაქ ოძრხეში (ახლანდელ აბასტუმანში) გაივლიდა და აქედან რკინის ჯვრით (ეხლანდელი ზეკარის უღელტეხილით) დღევანდელ დასავლეთ საქართველოში გადადიოდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან (ტაოდან აღმოსავლეთ საქართველოში მოკლე გზითაც შეიძლებოდა გადმოსვლა; ამ შემთხვევაში მგზავრს უნდა გაევლო ჯავახეთი, თრიალეთი, მცხეთა და ამის შემდეგ კახეთს მიადგებოდა. მცხეთიდან ტფილისამდე დიდი გზა იყო გაყვანილი. მცხეთიდან, როგორც თავის ადგილას იყო ნათქვამი, გზა დარიალის ხეობით ჩრდილოეთ კავკასიაშიც მიდიოდა. საბერძნეთიდან (ბიზანტიიდან) საქართველოში ზღვითაც შეიძლებოდა მოსვლა: ნავებით ფოთამდე მოდიოდენ, აქედან გზა ქუთაისში გაივლიდა და სამცხედან მომავალ გზას უერთდებოდა. ტფილისსა და სომხეთს აერთებდა გზა, რომელიც გადიოდა ტფილისის სამხრეთით მდებარე ციხე სამშვილ-

ლეზე. იყო აგრეთვე გზა, რომელიც საქართველოს აერთებდა ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილთან.

საბერძნეთიდან ხმელეთით მომავალ ქართლის გზაზე იდვა ქალაქი არტანუჯი, რომელიც აშოტმა („დიდათ" წოდებულმა) თავის სამყოფ ადგილათ გაიხადა. მე-IX და მე-X საუკუნეში ეს ქალაქი მთელს ტაო-შავშეთ-კლარჯეთში ვაჭრობისა და კულტურის ცენტრი გახდა. აქ თავს იყრიდა მრავალი ვაჭარი ქართლიდან, აფხაზეთიდან, სომხეთიდან, ტრაპეზუნტიდან და ასურეთიდან. შემოჰქონდათ გასაცვლელად სხვადასხვა საქონელი. შემოტანილ საქონელზე ტაო-კლარჯეთის მფლობელი ბაჟს ახდევინებდა და აქედან შემოსული გადასახადით მისი სიმდიდრე და ძლიერება იზრდებოდა. ამავე დროს აფხაზეთშიაც საკმაოთ იყო ქალაქები: ქუთაისი, ფოთი, სოხუმი და სხვა, რომელნიც შეერთებული იყვნენ ერთმანეთთან გზებით. დასავლეთ საქართველოს სომხეთში, იბერიაში და ფოთში მიმავალი გზები უადვილებდენ ვაჭრობის გაცხოველებას და მეზობლებთან დაახლოებას.

ამგვარათ, საქართველოში ძლიერდებოდა ორი სამთავრო: დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის მთავარი განაგებდა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთს — ტაო-კლარჯეთის.

ამ ორ გაძლიერებულ სამთავროს შორის იყო დაუკხრომელი მეტოქეობა და ბრძოლა მთელს საქართველოზე გაბატონებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას მეტოქეებში იპყრობდა ქართლი, რომელსაც მთელი საქართველოს შუაგული ეჭირა; მისი მფლობელი გარეშე მტრის შემოსევის დროს ყოველთვის სხვებზე უფრო უზრუნველყოფილი იყო. ამავე დროს ქართლის მფლობელისთვის უფრო ადვილი განსახორციელებელი იყო საქართველოს ერთ სახელმწიფოში გაერთიანების საქმე.

ტაო-კლარჯეთის ბატონები დიდი ანგარიშის ხალხი იყო და თავის გასაძლიერებლად არავითარ საშვალებებს არ ერიდებოდენ. ისინი ხშირად გარედან შემოსულ მტრებსაც ემხრობოდენ, რათა მათგან დახმარებისთვის საჩუქრები მიეღოთ და ამავე დროს თავის მეტოქე საქართველოს ბატონები დაეუძლუ-

რებიათ. მაგალითად, როდესაც ხალიფამ გამოაგზავნა საქართველოში ტფილისის განდგომილი ამირას დასასჯელათ ბუღა თურქი დიდის ლაშქრით, მეცხრე საუკუნის ნახევარში, ტაო კლარჯეთის მთავარი მას მიემხრო, ხოლო აფხაზეთის მთავარი კი ტფილისის ამირას მხარეზე იყო. მაგრამ ბუღამ კლარჯეთის მთავრის დახმარებით დაამარცხა მოწინააღმდეგეები, აიღო ტფილისი და გადასწვა, ხოლო მცხოვრებლები ამოხოცა. ამ დახმარებისათვის ტაო-კლარჯეთის მთავარს ბუღასაგან დიდი საჩუქრები და სიმდიდრე მიუღია და თავის სამთავროს საზღვრებიც საგრძნობლად გაუფართოებია.

ამგვარი გაძლიერება ტაო-კლარჯეთის მფლობელისა არც აფხაზთა მთავრისათვის იყო ხელსაყრელი და არც კახეთის ქორეპისკოპოსისათვის. ამ საერთო მტრის საფრთხემ შეაკავშირა ქვეყნის ეს ორი განაპირა სამთავრო და მათ შეერთებულის ძალით ქართლი და კახეთის სამხრეთით მდებარე ჰერეთი ხელში ჩაიგდეს. აფხაზეთის მთავარს ქართლი ხელში ჩაუვარდა და თავის სამთავროს შემოუერთა.

მაგრამ დიდგვარიან აზნაურებისათვის სრულიად არ იყო ხელსაყელი საქართველოს გაერთიანება, მისი ერთ მთლიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ამით მათ თავვასულ თარეშს და მშრომელი ხალხის ყვლეფას ფრთები საგრძნობლად შეეკვეცებოდა. ამიტომ ყოველგან და ყოველთვის დიდგვარიანი აზნაურები საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების წინააღმდეგ მოქმედობდენ. როდესაც აფხაზეთის მთავარმა ქართლი ხელში ჩაიგდო, ქართლის დიდგვარიანი აზნაურები—მსხვილი მემამულეები—აფხაზთა მთავრის პოლიტიკას წინ აღუდგენ. აფხაზთა მთავრის საქმეები აღმოსავლეთ საქართველოში აიწეწ-დაიწეწა და ამასთან ერთად მას კახეთის ქორეპისკოპოსთანაც დამოკიდებულება გაუმწვავდა. ამას დაერთო ამ დროს ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით აფხაზეთის მთავრის სასახლეში მომხდარი არეულობა. ამგვარათ, მეათე საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის მთავრის ძალა-უფლება დასუსტებული იყო. სამაგიეროთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-

ლოს ბატონი თანდათანობით ძლიერდებოდა. გაცხოველებული ვაჭრობის გამო ქონებრივად წელში გამართული და გალაღებული ტაო-კლარჯეთი სუსტ მეზობლებს ართმევდა მიწა-წყალს და თავის საზღვრებს აფართოებდა. ტაო-კლარჯეთის მთავარი დავით კურაპალატი იმდენათ ძლიერი იყო, რომ მან შესძლო ბიზანტიის კეისრისთვის საგრძნობი დახმარება გაეწია ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დახმარებისთვის კეისარმა მას დიდძალი სიმდიდრე გამოუგზავნა საჩუქრების სახით და ბევრი ახალი ქვეყანა მისთავაზა.

ამრიგად, მეათე საუკუნეში არც ერთ ქართველ მთავარს ცალკე არ შეეძლო მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. დავითის მემკვიდრე ბაგრატ მესამე კიდევაც დაეპატრონა ჯერ ქართლს, შემდეგ დასუსტებულ აფხაზეთს. ახლა ჯერი კახეთზე მიდგა და ეს ქვეყანა მე-XI ს. დამდეგს ბაგრატმა თავის სამეფოს შემოუერთა. ამგვარათ, მთელი საქართველო, გარდა ტფილისის საამიროსა, გაერთიანდა ერთ სახელმწიფოში.

მაგრამ ჯერ კიდევ საქმე გათავებული არ იყო. მას აკლდა ბევრი ისეთი რამ, რაც აუცილებელია სახელმწიფოს არსებობისათვის: მას არ ჰყავდა მუდმივი ჯარი და სხ. მაშინდელი ჯარი შესდგებოდა მსხვილ მემამულეთა რაზმებისაგან. მეფე უზრუნველყოფილი არ იყო იმ მხრივ, რომ საჭიროების დროს მისი ყმა, ფეოდალი, მას ჯარს მიაშველებდა. ძალიან ხშირი ყოფილა საქართველოს სინამდვილეში ისეთი შემთხვევა, რომ ფეოდალები მეფეს განდგომიან და მის წინააღმდეგაც გამოულაშქრიათ. რასაკვირველია, თვითეულს ასეთს შემთხვევაში მათ ამოქმედებდათ თავიანთი პირადი ინტერესები.

ამით სარგებლობდა ბიზანტია, რომელსაც თავიდანვე დიდი გავლენა ჰქონდა ტაო-კლარჯეთის და აფხაზეთის მთავრებზე და რომლისთვისაც სრულიად არ იყო ხელსაყრელი საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება. ამიტომ, რათა საქართველოს გაერთიანებისთვის ხელი შეეშალა, ბიზანტია აქეზებდა ქართველ ფეოდალებს და ყოველგვარი ხელის შეწყობით ამხედრებდა მათ ქართველ მეფეების წინააღმდეგ. მე-XI საუკუ-

ის ნახევარში ბაგრატ მე-IV-ს აუმხედრდა თრიალეთის ძლიერი და გავლენიანი ფეოდალი ლიპარიტი, რომელსაც ბიზანტიის კეისრისაგან ჰქონდა ზურგი გამაგრებული. მას მიემხრენ ბევრი სხვა მემამულეებიც და ბაგრატს საქმე ისე გაურთულეს, რომ მეფე აჯანყებულ ფეოდალების წინააღმდეგ გამოსვლას და შებრძოლებას ვერ ჰბედავდა. ბაგრატ IV იძულებული შეიქმნა ბიზანტიის კეისართან წასულიყო კონსტანტინეპოლში და მისთვის შუაკაცობა ეთხოვა ურჩ ყმებთან შესარიგებლათ.

ამავე დროს არც სხვა მეზობლები აძლევდნენ მას მოსვენებას: თურქნი აღმოსავლეთით და სამხრეთით ესხმოდნენ ქვეყანას. ბრძოლა მათთან განუწყვეტელი იყო და ქვეყნის საზღვრებში შემოჭრილი მტერი სცარცვავდა და ჰხოცავდა ხალხს. ბოლოს საქმე იქამდიც კი მივიდა, რომ საქართველო იძულებული გახდა მტრისათვის ხარკი ეძლია. შინაური არეულობებისა, განუწყვეტელი ომებისა და მტრის შემოსევისაგან მშრომელი მასა ნადგურდებოდა ფიზიკურად და ეკონომიურად.

ამ დროს დაიწყო ჯვაროსანთა ომები, რომელთაცა დაასუსტეს საქართველოს მტრები—თურქები. დასუსტებულ მეზობლებს არ ჰქონდათ საშვალება ძველებურად აეწიოკებიათ საქართველო. გარეშე მტრისაგან მოსვენებულმა ქვეყანამ მტრებს ხარაჯას ძლევა შეუწყვიტა. ამ დროს საქართველოში მეფედ იყო დავით აღმაშენებელი. მან ისარგებლა მტრის სისუსტით და მას ტფილისის სამხრეთით მდებარე ციხე-ქალაქი სამშვილდე წაართვა. სამშვილდე მაგარი ციხე იყო და მისმა აღებამ უფრო დააფრთხო თურქები, რომელთაც ეჭირათ სომხეთის ზოგიერთი ციხეები. მათ თავი მიანებეს ამ ციხეებს და გაიქცნენ. ამგვარად, ეს ციხეებიც ხელში ჩაუვარდა დავითს.

ასე იზრდებოდა ქართველი მეფის სამფლობელო, მაგრამ რომ სრულიად განემტკიცებია თავისი ძალა-უფლება და საშუდამოთ ბოლო მოელო დიდგვარიანი აზნაურების თავაშვებისათვის და აგრეთვე უზრუნველ ეყო სახელმწიფო გარეშე

მტრების შემოსევებისაგან, დავით აღმაშენებელმა შეჰქმნა მუდმივი ჯარი. მან გადმოიყვანა ჩრდილო-კავკასიიდან ორმოცი ათასი ყივჩაყი*) დაასახლა საქართველოს მიწაწყალზე და შეადგინა მათთგან სახელმწიფოს დამცველი ძალა. ამის შემდეგ ის უზრუნველყოფილი იყო, როგორც აზნაურების ამხედრებისაგან, ისე გარეშე მტრის შემოსევისაგანაც.

საქართველოს დედაქალაქი ტფილისი ჯერ კიდევ ამირას ეჭირა. მაგრამ დავით აღმაშენებელმა იგი 1122 წელს საქართველოს შემოუერთა და ამით დამთავრდა კიდევაც საქართველოს გაერთიანება.

თუ აქამდე ქართველი მეფეების საზრუნავ საგანს შეადგენდა საქართველოს გაერთიანება და გარეშე მტრებისაგან თავდაცვის საქმე, ამ დროდან თავდაცვითი პოლიტიკის ადგილი დაპყრობითმა, იმპერიალისტურმა პოლიტიკამ დაიჭირა. დავით აღმაშენებელი თავისი გაწრთვნილი ჯარით თავს ესხმოდა მეზობლებს, ამარცხებდა მათ და მოჰქონდა აუარებელი ნადავლი და ნაძარცვი სიმდიდრე, დამარცხებულ ქვეყნებს თავისს მოხარკეთ ჰხდიდა და ამგვარად მიღებული შემოსავლით თავის საჭურჭლეს (ხაზინას) ივსებდა.

---

*) ყივჩაყები იგივე პოლოვცები, კუმანნი, გადმოსახლდნენ შუა აზიიდან ჩრდილო-კავკასიასა და სამხრეთ რუსეთის ველებზე—მეთერთმეტე საუკუნის ახლობელ ხანებში. მათ აქ ჯერ საქმე გაუჭირეს და შემდეგ გადევნეს თავიანთი მოძმე ხალხი—პაჭანიკები, რუსული გამოთქმით—პეჩენეგები. ეს მოხდა მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. მონღოლების შემოსევამდე ისინი საქმეს უჭირვებდნენ სხვა მეზობელ ხალხებსაც, უფრო კი—რუსებს. მონღოლებმა მეცამეტე საუკუნეში მათ სძლიეს და გაფანტეს კიდეც. მათი სახელი, როგორც ერის, ამის შემდეგ არ ისმის. ისინი ცნობილნი იყვნენ როგორც საუკეთესო მხედრები და მეომრები. მათგან შეადგინა მეფე დავითმა თავისი მუდმივი ჯარი.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო.

უძველეს დროდან ქართველ გვარებისა და ტომების უფროსებს „მეფეებს“ უწოდებდნენ. იყო აგრეთვე სახელწოდება „ხელმწიფე“, მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ის გვაროვნული და ტომობრივი ორგანიზაციები—სამეფონი ან სახელმწიფონი ყოფილიყვნენ.

ძველს საბერძნეთშიაც (ჰომეროსის ეპოქაში) გვარების და ტომების უფროსები „ბასილევს“-ის სახელწოდებას ატარებდნენ, რომში კიდევ—„რექს“-ისა. ორივე სიტყვა მეფესა ნიშნავს, მაგრამ ისინი სრულიადაც არ ყოფილან მეფეები, ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით. ისინი იყვნენ ტომის ან გვარის უფროსნი—მამასახლისნი.

ქართული „მეფე“, ამ სიტყვის უძველესი ფორმისაგან, „მეუფესაგან“, არის ნაწარმოები, რაც იმ დროს ძალისა და გავლენის მქონეს ნიშნავდა. სიტყვა „ხელმწიფეც“ ამავე შინაარსისაა. მეექვსე საუკუნის ქართულ ძეგლში, „ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში“, მცხეთის მოქალაქენი მიმართავენ მცხეთის ციხის თავს ერთ-ერთი სამოსამართლო პროცესის გამო და ეტყვიან, მოაგვარე ეს საქმე, „რამეთუ **ხელმწიფე** ხარ ამა ქალაქისაო“.—„მე არა „**ხელმეწიფების**“ ამ საქმეშიო“, მიუგებს იგი, ე. ი. მე არა მაქვს ამის უფლებაო.

სიტყვებმა „მეფე“-მ და „ხელმწიფე“-მ თავიანთი დღევანდელი მნიშვნელობა მიიღეს ჩვენში ნამდვილ სახელმწიფოს დაარსების შემდეგ. საგვარეულო მეურნეობა და საზოგადო წყობილება, როგორც დავინახეთ, ხასიათდებოდა ქონებრივი და უფლებრივი თანასწორობით. მაშინ საზოგადოებაში ადგილი არ ჰქონდა კერძო საკუთრებას, არ იცოდნენ თუ რა იყო ყვლეფა, ჩაგვრა და ძალადობა. ეს საზოგადო წყობილება თანდათანობით მოიშალა; მისი ადგილი სხვა სახის და შინაარსის მეურნეობამ და საზოგადო წყობილებამ დაიჭირა: გაჩნდა კერძო საკუთრება, გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები. საზოგადოების ერთი, შედარებით მცირერიცხოვანი, ნაწილი

დაეპატრონა სამეურნეო საშვალებებს, საწარმოო იარაღებს, ხოლო უფრო დიდი ნაწილი ამ საშვალებებს მოკლებული დარჩა.

აი, სწორედ ამ ნიადაგზე გახდა შესაძლებელი ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და ექსპლოატაცია. საზოგადოებაში მჩაგვრელებსა და დაჩაგრულებს შორის გაჩაღდა მუდმივი ბძოლა. მაგრამ ბრძოლიდან ყოველთვის მდიდარი, შეძლებული წოდება გამოდიოდა გამარჯვებული. ის ყოველთვის მომზადებულად და მწყობრათ აწარმოებდა მოპირდაპირის წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო დაჩაგრული და გაყვლეფილი წოდება, მოკლებული აგრეთვე სათანადო შეგნებას, ვერ ახერხებდა ორგანიზაციულად გამოლაშქრებას მტრის წინააღმდეგ, ის მარცხდებოდა.

თვითეული ბატონი თავისს ურჩ ყმას სასტიკად სჯიდა: სცემდა მას, ჰყიდდა, ახდევინებდა ზედმეტს, ართმევდა საარჩო-საბადებელს და სხვა.

ამავე დროს ბრძოლა და ომები ბატონების (ფეოდალების) რიგებშიაც სწარმოებდა. ამ ბრძოლებში განსაზღვრულ ტერიტორიაზე იმარჯვებდა და თანდათან ძლიერდებოდა ერთი ბატონი. ყველა სხვა ბატონები იძულებული იყვნენ მას დამორჩილებოდნენ.

ასე წარმოიშვა ფეოდალური სახელმწიფო.

გამარჯვებული და გაძლიერებული ბატონი, აწ უკვე მეფე, ხელმწიფე, წესრიგს ამყარებდა თავის საბრძანებელში. ის კანონების შემოღებით საზღვრავდა დამოკიდებულებებს მის სამფლობელოში მცხოვრებ ფეოდალებსა და მათ ყმებს შორის.

საქართველოში პირველი კანონები გამოიცა მეფე ბაგრატ IV დროს, ხოლო უმაღლესი სასამართლო, როგორც ცალკე დაწესებულება, დავით აღმაშენებელმა დაარსა. გამოცემული კანონების ცხოვრებაში გასატარებლათ სახელმწიფომ გაიჩინა შეიარაღებული ძალა (მუდმივი ჯარი) და პოლიცია. საქართველოში მუდმივი ჯარის გაჩენა დავით აღმაშენებელის საქმე იყო. ამ საქმეებში დავითს გვერდით ედგა სამღვდელოე-

ბაც. მეფის ყოველ განკარგულებებს, მის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯებს ღვთის ნებათ, ღვთის ნაკარნახევათ სთვლიდნენ. მეფე „ღვთის ბრძანებით“ ახდენდა განკარგულებებს: „ქ.*) სახელითა... დაუსაბამოჲსა... დაუბადებელისა ღვთისაჲთა, ჩვენ მეფეთა—მეფემან“...გავაკეთეთ ესა და ესაო,—სწერია საბუთებში.

პირველი მეფე საქართველოსი იყო დავით კურაპალატის მემკვიდრე—ბაგრატ III, შემდეგ საყურადღებოა ბაგრატ IV, მაგრამ საქართველოში სახელმწიფომ სრულიად ვარკვეული და ჩამოყალიბებული სახე მიიღო მეფე დავით აღმაშენებლის დროს (მეთორმეტე საუკუნის დამდეგს). მეფის მიერ დამორჩილებული დიდკაცობა იძულებული შეიქმნა შერიგებოდა სამეფოში არსებულ წესებს და ხელი შეეწყო სახელმწიფოს განმტკიცებისთვის. ამგვარად შეიქმნა ორგანიზაცია—სახელმწიფო, რომლის სათავეში იდგა მეფე. მას გარს ეხვიენ და ეხმარებოდნენ დიდკაცობა და სამღვდელოება. სახელმწიფომ ყმებსა და ბატონებს შორის არსებული ქონებრივი და უფლებრივი დამოკიდებულებანი დააკანონა და გაბატონებული წოდების კეთილდღეობა ღარიბ-ღატაკთა ხარჯზე დიდი ხნით უზრუნველჰყო.

სახელმწიფო წარმოიშვა საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. ის არის კლასობრივი ორგანიზაცია, სადაც ძალა-უფლება გაბატონებულ წოდებას ან კლასს უპყრია ხელთ და დაჩაგრული კლასის დასამონებლათ და დასაჩაგრავათ იყენებს მას.

ბიბლიოთეკა

*) ქრისტე

ამ სახელმძღვანელოს შედგენაში შემდგენელნი ხელმძღვანელობდენ შემდეგი ლიტერატურით:

ქართული წყაროები:

1) ქართლის ცხოვრება.
2) ქართველ ერის ისტორია ნაწ. I და II—პრ. ი. ჯავახიშვილის.
3) საქართველოს ეკონომიური ისტორია—მისივე.
4) ქართული სამართლის ისტორია—მისივე.
5) Государственный строй древней Грузии и древней Армении—მისივე.
6) ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები—მისივე.
7) ისტორიული საბუთები—ს. კაკაბაძის.
8) „წამებაჲ და მარტვილობაჲ—წმ. შუშანიკისი".
9) „მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმ. ევსტათი მცხეთელისაჲ"

უცხო მწერლები:

1) Древние известия Греческих и Римских писателей о Кавказе—перевод К. Гана.
2) Ассирия и Вавилония—проф. Бецольда.
3) История культуры—Липперта.
4) Происхождение семьи, частной собственности и государства—Энгельса.
5) ანტიური ქვეყანა—კაუცკის.
6) პრ. პოკროვსკის ნაწერები.
7) Труды по истории культуры Кунова и Левин—Дорша.
8) К вопросу о развитии монист. взгляда на историю—Плеханова.
9) Беседы с учителем по историческому материализму—Ор. Трахтенберга.

მთავარ შეცდომების გასწორება:

რამოდენიმე ათას ეკზემპლიარში მე-31 გვერდზე დაბეჭდილია: „ქართველები ბარბაროსების უმაღლეს საფეხურზე". უნდა იყოს: „ქართველები ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე".

კიდევ რამოდენიმე ათას ეკზემპლიარში მე-40 გვერდზე:—„ქართველები შავი ზღვის სამხრეთ დასავლეთ ნაპირებზე". უნდა იყოს: „ქართველები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირებზე".

მე-51 გვერდზე:—„გეოგრაფიული მდგომარეობით", უნდა იყოს „გეოგრაფიული მდებარეობით".

არის აგრეთვე რამოდენიმე უმნიშვნელო შეცდომა: სასვენი ნიშნები და ზოგან ანბანიც ან გამოშობილია, ან კიდევ ზედმეტათაა ნახმარი, რაც მკითხველს აზრის გაგებაში ხელს არ შეუშლის.